პალიტრა მედია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
15 აპრილი პარასკევი 2011
№ 087 (13384) ფასი 60 თეთრი

გამორჩეულად საინტერესო:

დღეს დინამო-ოლიმპია!

4

ჩელსიში საკადრო რევოლუცია ინყება

რომან აბრამოვიჩი გუს ჰიდინკის დაბრუნებას ცდილობს

5

12

ზაზა ფაჩულიამ რეგულარული ეტაპი ათი მოხსნით დაამთავრა

ხვალიდან პლეი ოფებია...

აშკარა დასაჯერებელი:

9

ევროპის ლიგის ნახევარფინალში სამი პორტუგალიური გუნდია

ნახევარფინალი	
I მატჩები	
28 აპრილი	
ბენფიკა-ბრაგა	პორტუ-ვილიარეალი

რეალი-ბარსელონა: კლასიკომდე ერთი დღით ადრე

9

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ვრჩები!

ქეცბაია ფედერაციას შეუთანხმდა

შანსი არ დაგვიკარგავს, თუ...

ბოლო დღეებში გავრცელებულ მითქმა-მოთქმას **თემურ ქეცბაიამ** თავად დაუსვა წერტილი. შეგახსენებთ, ბერძნული პრესა მას ათენის აეკ-ში დანიშვნას უწინასწარმეტყველებდა, ახსენებდნენ სალონიკის პაოკ-ის ვარიანტსაც. თუმცა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა ერთ-ერთ კვიპროსულ რადიოარხთან საუბარში განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში სამუშაო ადგილის შეცვლას არ აპირებს და ამჟამინდელ თანამდებობაზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე, ანუ 2013 წლის ბოლომდე დარჩება.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობის გახანგრძლივებაზე უკვე შევთანხმდი, მაგრამ ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია. ამის დრო, ალბათ, მალე მოვა. საქართველოს ნაკრებში მუშაობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს, რადგან ქართველ ხალხს ფეხბურთი უყვარს და გულშემატკივრები პატივს მცემენ. რისკიანი ადამიანი ვარ და ყველანაირად ვეცდები, გუნდთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიო. პრობლემებსაც წავაწყდი, მაგრამ გადაწყვეტილება წამითაც არ მინანია", - ამბობს ქეცბაია.

იგი ისრაელში განცდილ მარცხს გულდაწყვეტით იხსენებს და საქართველოს ნაკრების შანსებზე საუბრობს: *"ხორვატიის დამარცხებამ მთელი საქართველო გაახარა, დიდებული დღე იყო. სამწუხაროდ, ამ მატჩმა იმხელა ენერგია წაგვართვა, რომ სამი დღის შემდეგ ისრაელთან სათამაშოდ გუნდი მოედანზე გამოფიტული გავიდა. ძალიან სამწუხარო მარცხი იყო, მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ. დაკარგული ჯერ არაფერია და ევრო 2012-ის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს ვინარჩუნებთ. საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს, ნიჭიერი ფეხბურთელებიც არ გვაკლია და თუ დარჩენილ ოთხ შესარჩევ მატჩში ჩვენი საუკეთესო თვისებების გამოვლენა შევძელით, ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება რეალური იქნება"*.

ლევან ჯანეზაშვილი

● ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

უნდა ვიბრძოლოთ!

საქართველოს ნაკრებისა და კრივოი როგის "კრივბასის" ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დონეცკის "მეტალურგთან" ვერ ითამაშა - მას ფეხზე მცირე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ჯაბას გუშინ უკრაინაში დავუკავშირდით.

- ქირურგიული ოპერაცია რატომ დაგჭირდა?

- უცებ ფეხი გამისივდა, ამტკივდა და სიარულიც გამიჭირდა. აღმოჩნდა, რომ დამიჩირქდა და ქირურგიული ჩარევა ამიტომ გახდა საჭირო. რამდენიმე დღე ვერ ვივარჯიშებ. მაგრამ სერიოზული არაფერია, მოედანს მალე დავუბრუნდები.

- მაინც როდის განაახლებ ვარჯიშს?

- ჭრილობის შეხორცებას რამდენიმე დღე უნდა, შაბათ-კვირის ტურსაც გამოვტოვებ და მერე ვნახოთ, ფეხი როგორ მექნება. დაახლოებით ხუთი დღე მაინც დამჭირდება. ასეთ დროს ჭრილობის გაკერვა არ შეიძლება, თავისით უნდა შეიკრას პირი და მხოლოდ მერე შეიძლება ვარჯიში. ახლა საავადმყოფოში ვწევარ, გადახვევებს და ნემსებს მიკეთებენ, გართულება თავიდან რომ ავიცილო.

- ნაკრებზეც ვილაპარაკოთ. ხორვატიასთან მატჩში გამოჩნდა, რომ ფორმაში შედიხარ. თემურ ქეცბაიაც მეტად გენდობა.

- ვნახოთ, ამას შემდეგი შეხვედრები გამოაჩენს. ფეხბურთელს ნაკრებში გარანტირებულ ადგილს არავინ შეჰპირდება, სულ ფორმაში უნდა იყო, თორემ სკამზე ჯდომაც სანატრელი გაგიხდება.

- ხორვატიასთან წარმოუდგენელი გამარჯვება მოიპოვეთ, ბევრს არც სჯეროდა, გოლი რომ გავიდა. სამწუხაროდ, ისრაელთან იმედები არ გამართლდა.

- ფეხბურთი ისეთი რამ არის, წინასწარ ვერ იტყვი, ვინ ვის მოუგებს. ხან მოულოდნელად გაგახარებს, ხანაც უცებვე დაგამწუხრებს, როგორც ჩვენ მოგვივიდა ისრაელთან.

- ხორვატიასთან მატჩის შემდეგ ისრაელთან ყველა ფრეს მაინც ელოდა. ფაქტია, რომ ქეცბაიას მწვრთნელობისას დამახასიათებელი ბრძოლისუნარიანობაც ვერ გამოავლინეთ, გამოფიტულებს ჰგავდით.

- კი არ ვგავდით, გამოფიტულები ვიყავით. მატჩებს შორის იმდენად მცირე დრო იყო, ხორვატიასთან უმძიმესი შეხვედრის მერე ძალების აღდგენა ვერ მოვახერხეთ. თუმცა კონტრშეტევაზე დასანანი გოლი გავუშვით და ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი, თორემ ვფიქრობ, მეორე ტაიმში ისეთი თამაში იყო, წასაგები არაფერი გვჭირდა. პირველ ტაიმში უფრო გვაჯობეს, მერეც შეგვეძლო გათანაბრება, მაგრამ ფეხბურთი ასეა.

- შენი აზრით, რეალურია ჯგუფიდან გასვლა, არის კი გუნდი საამისოდ მომწიფებული? ყველაფერს მაინც თავისი დრო აქვს, „ქვების შეგროვებასაც" და „ქვების სროლასაც".

- რა თქმა უნდა, გასვლისთვის ვიბრძვით. ჩვენ რომ საკუთარ თავს ვთხოვთ, იმაზე მეტს არავინ ითხოვს. თავად გვინდა ევროპის ჩემპიონატზე თამაში და საამისოდ მაქსიმუმს ვაკეთებთ. მგონი, ეს თამაშებიდან კარგად გამოჩნდა.

- დარჩენილია ოთხი უმძიმესი შეხვედრა - შენი აზრით, რამდენი ქულის აღებაა შესაძლებელი?

- არ მიყვარს დაგეგმვა, ეს თამაშს არ ადგება. სადაც სამ ქულას დაგეგმავ, შეიძლება, ფეხი სწორედ იქ დაგიცდეს და ვერ აიღო. ყველაზე მარტივი გზა ყველა მეტოქესთან ბრძოლაა. უნდა გახვიდე მოედანზე და ყველა შეხვედრის მოსაგებად მაქსიმუმი გააკეთო. წინა შეხვედრებმა კი დაგვანახვა, რომ ნებისმიერ მეტოქეესთან ბრძოლა რეალურად შეგვძლებია.

- ეს ყველამ დავინახეთ, მაგრამ ღარიბი ქვეყანა ვართ, პრინციპულ მატჩებში კი ასეთებს მსაჯები ჩაგრავენ.

- ეს ფაქტორი ფეხბურთში ნამდვილად არსებობს, მსაჯი მოედანზე ძალიან ბევრს წყვეტს, მაგრამ არა ყველაფერს. შესაძლოა, ერთი პენალტის დანიშვნით მატჩის ბედი გადაგიწყვიტოს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოედანზე შეშინებული და წინასწარ დამარცხებული გავიდეს საქართველოს ნაკრები. მთავარია, მოვინდომოთ.

- ეგ ისეთი ამბავია, ცნობილი ფილმი "გლადიატორი" გამახსენა - მაქსიმუსი იმარჯვებს იმიტომ, რომ არის ღირსეული და ძლიერი.

- ეს ჩემი საყვარელი ფილმია და გეთანხმებით, ღირსეული და ძლიერი ყველაზე დიდ წინააღმდეგობასაც გადალახავს. კაცმა რომ თქვას, ფეხბურთიც ომია და ყველაზე მეტად ჭკუა, ღირსება და ბრძოლისუნარიანობა მოგვეთხოვება.

მერაბ მამულაშვილი

ხორვატია-საქართველო: სპლიტში და ერთი დღით ადრე

როგორც მოსალოდნელი იყო, ხორვატიისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩი სპლიტში, "პოლიუდის" 35-ათასიან სტადიონზე გაიმართება. შეხვედრა თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება. რაც შეეხება მატჩის გამართვის თარიღს, იგი ორმხრივი შეთანხმებითა და უეფას დასტურით დაგეგმილზე ერთი დღით ადრე, 3 ივნისს ჩატარდება. შეგახსენებთ, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციამ ქართულ მხარეს შეხვედრის თარიღის შეცვლა რომის პაპის ვიზიტის გამო სთხოვა.

იმავე დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ხორვატიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები ჩაატარებენ. შეხვედრა სპლიტიდან 20 კილომეტრით დაშორებულ დუგოპოლიეში, "ჰრვატსკი ვიტეზოვზე" გაიმართება და თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. ეს სტადიონი 5 200 მაყურებელს იტევს.

ლევან ჯანეზაშვილი

COPA AMERICA ARGENTINA 2011

მოგზაურობა არგენტინაში
კოპა ამერიკის მატჩებზე
1-24 ივლისი 2011 წ

მსურველებს ვიწვევთ კოპა ამერიკის არგენტინისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდების ჯგუფური ეტაპის, 1/4ფინალების ნახევარფინალებისა და ფინალის მატჩებზე დასასწრებად. ასევე, 17-19 წლის ფეხბურთელებს წარვადგენთ 3-6 თვიან სტაჟირებაზე არგენტინაში და მომზადების შემდეგ ტესტირებაზე არგენტინულ კლუბებში. საქართველოს საფეხბურთო კლუბებს ვთავაზობთ მაღალი კლასის არგენტინელ ფეხბურთელებსა და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელებს. არგენტინულ კლუბებთან ამხანაგურ თამაშებს საქართველოში და არგენტინაში. მსურველთა მიღება, შედგება 7 აპრილიდან 15-20 აპრილამდე 15-დან 17 საათამდე ყოველდღე კვირის გარდა. მოგზაურთა კლუბში მისამართზე: ლეონიძის ქ№4 ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ ტელ: 92-10-60; 92-11-66; 92-00-28 მობილური: 8 79 41-53-35

"არგენტინის სახლისა" და "ზმარგ სპორტის წარმომადგენლობა საქართველოში.

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სამსაჯო თემა

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

has been accepted as member of the

UEFA Convention on Referee Education and Organisation

having attained the required minimum standards and best practices for referee education and refereeing organisation within a UEFA member association.

ოფიციალურად: საქართველო უეფას სამსაჯო კონვენციაში

თბილისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების უფროს **ლევან ფანიაშვილთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად მან უეფას სამსაჯო კონვენციაში გაწევრებაც გვამცნო. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განაცხადი 28 იანვარს დააკმაყოფილა და საქმის ბოლომდე მიყვანას ფორმალობების მოგვარებაღა აკლდა. გუშინ კი ფედერაციაში შვეიცარიიდან მოვიდა სერტიფიკატი იმის დასტურად, რომ სფფ უეფას სამსაჯო კონვენციის წევრია. სფფ-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, უეფამ ეს სტატუსი რამდენიმესაფეხურიანი შემოწმებისა და დაკვირვების შემდეგ მოგვანიჭა.

ჩვენს კანდიდატურას მხარი უეფას სამსაჯო კომიტეტმა დაუჭირა, საბოლოო გადაწყვეტილება კი ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს აღმასკომმა მიიღო. დღეს კონვენციაში ევროპული ქვეყნების დიდი ნაწილია გაერთიანებული, სულ 40-მდე ფედერაცია და ასოციაცია.

კონვენციით ქართული სამსაჯო კორპუსი დიდ სარგებელს მიიღებს. კონვენციის პროგრამით ჩვენს მსაჯებს პროფესიული დონის ამაღლების უფრო მეტი საშუალება მიეცემათ, ისინი სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას უეფას ეგიდით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაზე.

კონვენციის ფარგლებში სხვადასხვა სემინარი თბილისშიც ჩატარდება და უეფა აქ გამოცდილ ინსტრუქტორებს მოავლენს. უახლოესი სწავლება ივნისის შუა რიცხვებისთვის თბილისშია დაგეგმილი. ღონისძიება ხუთ-ექვს დღეს გასტანს და ქართველი მსაჯები საფუძვლიან ფიზიკურ, ტექნიკურ და თეორიულ მომზადებას გაივლიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფამ დანიელი ინსტრუქტორი **იორნუესტ ლარსენი** მიამაგრა, რომელიც ქართული მხარის მუშაობას სისტემატურ მონიტორინგს გაუწევს.

უეფას სამსაჯო კონვენციის საშუალებით უკვე საფუძვლიანად გაუმჯობესდა ჩვენი სამსაჯო განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. ფანიაშვილის უწყებამ უეფასგან მსაჯთა შორის საკომუნიკაციო საშუალებების ხუთი კომპლექტი მიიღო. ამას გარდა, ყველა თანამსაჯის განკარგულებაშია ელექტრონული ალმები, რაც არბიტრთან კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. არბიტრებმა მიიღეს POLAR-ის ფირმის საათები, რომლებიც სათამაშო დროის უკეთ კონტროლის საშუალებას იძლევა, შეცდომასა თუ უზუსტობას აბსოლუტურად გამორიცხავს, მსაჯს უზომავს პულსს, წნევას და ა.შ.

სფფ-ს მსაჯების ტესტირებისთვის საჭირო ინვენტარიც გადაეცა, რომელშიც გამოსარჩევია ელექტრონული კარი. ეს მოწყობილობა ტესტირებისას მსაჯის მიერ დაფიქირებულ დროს ზუსტად აღნუსხავს. სამსაჯო განყოფილებამ მიიღო აგრეთვე საოფისე ინვენტარი, ნოუთბუქები, პროექტორები და თეორიული სწავლებისათვის საჭირო სხვა ხელსაწყოები.

ისიც შევიტყვეთ, რომ უეფასგან წლეულს სოლიდური ფინანსური დახმარების მიღებაცაა მოსალოდნელი, ოღონდ თანხის ზუსტი რაოდენობა ჯერ უცნობია.

ლევან ჯანელიძე

● ლეგიონერი

ბელარუსები პუნტუსს ჭელიძეს უჭებენ

გაზეთმა "სოვეტსკაია ბელარუსიამ" 12 აპრილს გამოაქვეყნა სტატია ბელარუსის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ ბრესტის "დინამოზე", რომელსაც დღეისთვის ამ ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი **იური პუნტუსი** ავარჯიშებს.

ბრესტულ კლუბში თამაშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთავის "ოლიმპის" ყოფილი ნახევარმცველი **ზაზა ჭელიძე**, რომელმაც წლეულს სამივე შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

წერილში "პუნტუსი და მისი ხალხი" ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი ამოვიკითხეთ.

"პუნტუსი გუნდში 2009 წლის სექტემბერში მივიდა. მან თავიდანვე განაცხადა, რომ საჩემპიონო გუნდის ჩამოსაყალიბებლად სამი წელი სჭირდებოდა. "დინამოს" ხელმძღვანელობა ამ დროს მოთმინებით ელის და, როგორც ჩანს, საფუძვლიანადაც.

პუნტუსს კარგი ფეხბურთელების შერჩევის ალღო აქვს და არც ამჯერად შემცდარა. ამ ფაქტის დადასტურება ბრესტში ლეგიონერების მიწვევაა. ზაზა ჭელიძე რუსთავის "ოლიმპში" თამაშობდა, ახლა კი მის გარეშე ბრესტის "დინამოს" ნახევარდაცვა წარმოუდგენელია" – წერს "სოვეტსკაია ბელარუსია".

მერაბ მამულაშვილი

● რეგიონი

გორელებს და გორის სტადიონს უმაღლესი ლიგა მოენატრათ

დილას თანხა და მოგივაცია მოემაგა

გორის საკრებულოს სხდომაზე დადებითად გადაწყდა გორის „დილასთვის" დაფინანსების გაზრდის საკითხი. დეპუტატების გადაწყვეტილებით, გუნდს ქალაქის ბიუჯეტიდან დამატებით 85 ათასი ლარი გამოეყოფა. ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ, ბოლო წლებისგან განსხვავებით, ადგილობრივი ხელისუფლება „დილას" მეტ ყურადღებას უთმობს. ამას წინათ კლუბის ერთ-ერთმა მესვეურმა **ალბერტ საყვარელიძემ** დაგვიდასტურა კიდეც ეს ფაქტი. თქვა, რომ ასეთი ყურადღება გუნდის მიმართ არც მისი ფეხბურთელობისას ყოფილა და არც მერე. ამიტომაა, რომ წახალისებული კლუბი უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატია, სატურნირო ცხრილში დიდხანს მესამე ადგილი ეკავა, მაგრამ ხონში ადგილობრივ „იმერეთთან" გაუთვალისწინებელმა მარცხმა და შინ ბათუმის „დინამოსთან" ფრემ მეოთხე ადგილამდე დააქვეითა. მიუხედავად ამისა, გუნდის უფროსი **გოჩა ლომიძე** იმედიანადაა განწყობილი. აი, რა გვითხრა მან: *„გუნდის ბიუჯეტისთვის დამატებითი თანხების გამოყოფა, ცხადია, ჩვენ მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. მართალია, გაუთვალისწინებელი ქულები დავკარგეთ, მაგრამ ამით ჩვენი მიზანი არ იცვლება. უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის თავს არ დავზოგავთ. ფეხბურთელებიც ისევ შემართულნი არიან, რაზეც ბოლო ტურში სტუმრად „ჭიათურასთან" 3:0 მოგებული მატჩიც მეტყველებს".* ახლა მესამე ადგილზეა საჩხერის „ჩიხურა", რომელთანაც 28 აპრილს სტუმრად ვთამაშობთ. ეს იქნება პრინციპული მატჩი უმაღლესში გადასასვლელი საგზურისთვის ბრძოლაში.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

● სტუდენტური ჩემპიონატი

ლიდერი გამოიკვეთა

სტუდენტური ჩემპიონატი, ანუ უნიბური 3 აპრილს გაიხსნა, ტურნირის მონაწილე 8 უმაღლესი სასწავლებელი პლეიოფში გასასვლელ საუკეთესო ოთხეულს ერთ წრეში გამოავლენს.

მატჩები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტულ კომპლექსში ტარდება (ყოფილი ასკ-ს დარბაზი) და ტრიბუნები ხშირად გადაჭედილია.

გუშინ მესამე ტურის შეხვედრები დასრულდა და ლიდერიც გამოიკვეთა:.

სოხუმის უნივერ.-ილიაუნი 4:4

სოხუმის უნივერსიტეტი მე-15 წუთისთვის 4:1-ს იგებდა, მაგრამ **თორნიკე ჯანელიძის** კარგი თამაშის წყალობით, ილიას უნივერსიტეტმა მდგომარეობა გამოასწორა, ანგარიში გაათანაბრა 4:4 და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

თსუ-კავკასიის უნივერსიტეტი 6:1

თსუ-მ დამაჯერებლად გაიმარჯვა. შედეგიანობით გამოირჩეოდა **ირაკლი თოდუა,** რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა.'

სამხატვრო აკად.-სამედიცინო 0:6
შსს აკადემია-სტუ 1:3

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ილიაუნი.	3	2	1	0	21-9	7
2. სამედიცინო	3	2	0	1	15-9	6
3.სტუ	3	2	0	1	8-4	6
4 თსუ	3	2	0	1	11-9	6
5. კავკასიის უნი.	3	2	0	1	8-9	6
6. შსს აკადემია	3	1	0	2	4-5	3
7. სოხუმი	3	0	1	2	4-4	1
8. სამხ. აკადემია	3	0	0	3	6-23	0

ბოლოს კი არც ისე უმნიშვნელო დეტალი: იმ დროს, როდესაც საქართველოს უმაღლესი ლიგის მატჩებით დაინტერესებული გულშემატკივარი კლუბების ვებგვერდებზე სტატისტიკურ ინფორმაციას მხოლოდ დაგვიანებით ეცნობა, სტუდენტური ჩემპიონატის ვებგვერდ uniburti.ge-ზე ონლაინ-რეჟიმშია ანგარიშები, გატანილი გოლის ავტორთა და ბარათების მიმღებთა გვარები, აგრეთვე შემადგენლობები. ყოველ ოთხშაბათს, 21 საათსა და 50 წუთზე კი ტელეკომპანია GMG ტურის მიმოხილვას აჩვენებს.

მერაბ მამულაშვილი

● ინტერვიუ მამუკა გუგეშაშვილთან



მამუკა გუგეშაშვილი ერთდროულად არის რუსთავის "ოლიმპის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, "ნაციონალური მოძრაობიდან" თბილისის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" დამფუძნებელი.

გუგეშაშვილმა კარგად იცის ის სამი სფერო, რომლის გარეშეც ფეხბურთი წარმოუდგენელია: საფეხბურთო სამყარო, პოლიტიკური ელიტა და ფინანსები. იცის, რა სჭირდება ქართულ ფეხბურთს და გასაუბრება ამიტომაც გვსურდა – პრეზიდენტმა ფეხბურთი პრიორიტეტად დაასახელა და საინტერესოა, ამ მიმართულებით რა ნაბიჯები გადაიდგმება.

ცხადია, საფეხბურთო სამყაროს თავისი მოსაზრებები გააჩნია, ჩვენი რესპონდენტი კი პრობლემებში ჩახედულია.

საფეხბურთო ბიზნესპროექტები გვჭირდება!

- პრეზიდენტმა ფეხბურთის განვითარებაზე ილაპარაკა, მაგრამ ჯერ არავინ იცის, როგორი იქნება პროგრამა.

- დიდი ხანია, სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას ისედაც ეხმარება, საკაშვილის გამოსვლა კი იმის ნიშანი იყო, რომ მთავრობა უფრო სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია და ვფიქრობ, ფეხბურთის განვითარებას ხელს შეუწყობს, რაც მთელ საქართველოს გაახარებს.

- ამ პროცესში მონაწილეობას თბილისის მერიაც მიიღებს?

- რა თქმა უნდა. აუცილებლად უნდა გაკეთდეს ეროვნული სტადიონის საფარი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი მთავარი არენაა. უცხოელები რომ ჩამოდიან, საქართველოზე ამითაც ექმნებათ შთაბეჭდილება. მას გარდა, სხვა ბევრი სტადიონიც მისახედია.

ჯერ არ გადაწყვეტილა, ფეხბურთის განვითარებაში რა როლი დაეკისრება თბილისის ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ თბილისის მერია მას ეხმარებოდა და დაეხმარება კიდეც, რათა პროცესში სრულყოფილად ჩაერთოს. ეს უნდა იყოს საფუძვლიანი პროექტი და ყველა საფეხბურთო ორგანიზაცია უნდა ჩაერთოს.

სხვათა შორის, თბილისის საკრებულოს სპორტის კომისიის ხელმძღვანელმა ზაზა დოლიძემ თბილისის მერიის სპორტის სამსახურში შემოიტანა წინადადება, რომ თბილისის საფეხბურთო სკოლების ბაზაზე შედგეს რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფის ნაკრები, რომლებსაც თბილისის მერია დააფინანსებს. ჩემი აზრით, ეს ძალიან დიდი დახმარება იქნება.

ახლა ლაპარაკია სტადიონების გახანლებაზე, რაც, ცხადია, სასურველია, მაგრამ, ჩემი აზრით, პარალელურად ეს ყველაფერი ქვეყნის ბიუჯეტზეც სასიკეთოდ უნდა აისახოს.

- რას გულისხმობთ?

- ფეხბურთი მხოლოდ ბიუჯეტიდან არ უნდა ფინანსდებოდეს. საამისოდ საჭიროა დეტალურად დასაბუთებული ბიზნესპროექტი, როდის, სად და რას ვაკეთებთ და რით წაადგება ის ფეხბურთსა და ქვეყანას. ფეხბურთი დიდი ბიზნესია და საფეხბურთო მეურნეობა შეიძლება მსხვილი გადამხდელი გახდეს.

- რადგან ამბობთ, ამაზე ნაფიქრიც გექნებათ.

- დღეს მონინავე ქართული კლუბების ბიუჯეტი საშუალოდ 2-3 მილიონი დოლარია. 10 მილიონიც რომ იყოს, ძლიერ ლეგიონერებს მაინც ვერ ჩამოვიყვანთ, რადგან სერიოზული ფეხბურთელები, თუნდაც ევროპაში მოთამაშე ქართველები, მილიონ დოლარადაც არ ჩამოვლენ, რადგან ზოგიერთის ხელფასი წელიწადში მილიონ დოლარს აჭარბებს, ეგრეთ წოდებული სათაოს სახით კი კონტრაქტზე ხელმოწერისას მინიმუმ ნახევარ მილიონ დოლარს მაინც იღებენ. ესპანეთიდან და საფრანგეთიდან კი მაღალი კლასის ფეხბურთელი არ ჩამოვა და ამის იმედი არ უნდა გვქონდეს.

ამიტომ, ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალი საკუთარი კადრების მომზადებაა. დიდი ფული არა ლეგიონერების ჩამოყვანაში, არამედ მწვრთნელთა და მენეჯერთა გაზრდაში უნდა ჩავდოთ, რადგან პროფესიონალების გარეშე ამ სფეროს განვითარება წარმოუდგენელია.

ჩვენი მწვრთნელები კვალიფიკაციას იმაღლებენ გაიოზ დარსაძის სემინარებზე, აგრეთვე უცხოეთის სამწვრთნელო სკოლებსა თუ კურსებზე. მაგრამ ისინი უმაღლესი ლიგის გუნდებში მუშაობაზე ფიქრობენ, ჩვენ კი ბავშვთა ფეხბურთის სპეციალისტები გვჭირდება, რომელებიც მოთამაშეებს გაზრდიან ჯერ კლუბისთვის და შემდეგ ნაკრებებისთვის. მნიშვნელოვანია მენეჯერების გაზრდაც, რომლებიც ჩვენს ფინანსურ შესაძლებლობებს მაქსიმალურად აითვისებენ.

ეს დაახლოებით სამ-ოთხწლიანი პროექტი იქნება, მაგრამ აუცილებლად გაამართლებს და ქვეყანას მრავალმხრივ ახეირებს.

- დიდი ხანია, მწვრთნელთა აკადემიის გახსნაზე ლაპარაკობთ, მაგრამ ამას საშველი არ დაადგა.

- მიზეზი უამრავია, არადა, ჩვენდა სამწუხაროდ, მოწინავე საფეხბურთო ქვეყნებს ძალიან ჩამოვრჩით. სპეციალისტებმა გამოითვალეს, რომ 80-იან წლებთან შედარებით თანამედროვე ფეხბურთში ბურთის ფლობის მაჩვენებელი მთელი 22 წუთით გაიზარდა, ფეხბურთელები 14-15 კილომეტრს დარბიან, ბურთის მოძრაობის სისწრაფეც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამ დონეზე რომ მივიყვანოთ ფეხბურთელი სკოლიდან უამღლესი ლიგის გუნდში, საჭიროა არა მხოლოდ კვალიფიციური მწვრთნელი, არამედ ბევრი მცოდნე ფიზმომზადების სპეციალისტი, მაგრამ მათი კატასტროფული დეფიციტია. ამ პროფილის მწვრთნელთა მომზადებაზეც უნდა ვიზრუნოთ.

არადა, ბავშვთა ფეხბურთში ბევრი ნიჭიერი სპეციალისტია, რომლებსაც, ჩემი აზრით, ძალიან დიდი პერსპექტივა გააჩნიათ. მაგალითად, ლევან გვანცელაძეს და თემურ ფოცხვერიას ევროპული დონის სპეციალისტებად ჩამოყალიბება შეუძლიათ, მაგრამ ხელშეწყობა სჭირდებათ. ვინ იცის, კიდევ რამდენ ნიჭიერ სპეციალისტს არ ვიცნობთ, რადგან ხელშეწყობის გარეშე ვერავინ გამოჩნდება.

ცალკე თემაა პრობლემები სამედიცინო მომსახურეობაში, აღდგენით პროცესებში, ინფრასტრუქტურაში... ისრაელთან იმიტომ წავაგეთ, რომ ჩვენებმა აღდგენა ვერ მოასწრეს. ვისაც ფული აქვს, ყიდულობს კუნთების მასაჟორს, რომელსაც ფეხბურთელები მატჩის შემდეგ ავტობუსსა თუ თვითმფრინავში იკეთებენ და დაკარგულ ენერგიას იღდგენენ. ამ პრობლემების მოსაგვარებლად დიდი ინვესტიციაა ჩასადები.

- "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია ამბობს, რომ ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის 300 მილიონი ლარია საჭირო.

- ჩემი აზრით, დიდი საქმის კეთება 50-70 მილიონი დოლარითაც შეიძლება, რომლითაც აშენდება სამედიცინო და აღდგენითი ცენტრები, გავზრდით ფიზმომზადებისა და ბავშვთა მწვრთნელებს.

- თქვენი აზრით, ფეხბურთის განვითარებისთვის სახელმწიფო თუნდაც 50 მილიონ დოლარს გამოყოფს?

- რა თანხას გამოყოფენ, ეს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის დონეზე მალე გადაწყდება. მაგრამ, ვიმეორებ, ეს უნდა იყოს მეცნიერულ დონეზე გათვლილი ბიზნესპროექტი. რადგან ჩვენ საფეხბურთო მარკეტინგისა და მენეჯმენტის სპეციალისტები თითქმის არ გვყავს, ამ პროექტის შედგენისას უცხოელი სპეციალისტები უნდა დავიხმაროთ.

მერაბ მამულაშვილი

2010 წლის 22 აგვისტო. ოლიმპი-დინამო 1:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გამორჩეულად საინტერესო

წინა ტურს „განსაკუთრებული“ ვუწოდეთ, ახლაც დაახლოებით იგივე სიტუაციაა, და რომ არ განვმეორდეთ, მოდი, „გამორჩეულად საინტერესო“ დავარქვათ დღევანდელ შეხვედრებს. თუმცა, წინა ტურის მსგავსად, ამჟამადაც ერთი ისეთი მატჩი გველოდება, ყველა დანარჩენს რომ გადაწონის: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდი მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ! თანაც, არ დაგვაინყდეს ერთი, მაგრამ „აშკარად“ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორიც: რუსთავის „ოლიმპი“ იმ იშვიათ გუნდთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთანაც ურთიერთდაპირისპირებაში „დინამოს“ დადებითი ბალანსი არ გააჩნია...

დინამო-ოლიმპი
Bwin: 2.15 3.10 3.10
15.04. თბილისი.
ბ. პაიჭაძე
18:00

არბიტრი: გ. ვადაჭკორია; ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ლ. თოდრია
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები		ქ
						გაგ	გაშ	
1	ზესტაფონი	29	18	6	5	53	15	60
2	ოლიმპი	29	17	6	6	42	22	57
3	დინამო	27	14	8	5	38	14	50
4	ვიტ ჯორჯია	28	12	3	13	29	32	39
5	გაია	28	11	5	12	26	35	38
6	ტორპედო	29	9	11	9	19	18	38
7	სიონი	29	8	8	13	18	34	32
8	კოლხეთი	29	7	8	14	17	37	29
9	სპარტაკი	29	6	8	15	27	35	26
10	სამტრედია	29	6	7	16	23	50	25

აბსოლუტური თანაფარდობა

„დინამოსა“ და „ოლიმპის“ დაპირისპირებები სათავეს 2006 წლიდან იღებს; ამ ხუთი წლის განმავლობაში დღევანდელი მეტოქეები ერთმანეთს თოთხმეტჯერ შეხვედრიან და, ფაქტობრივად, აბსოლუტური თანაფარდობაა: „დინამომ“ და „ოლიმპმა“ ხუთ-ხუთი მატჩი მოიგეს, ოთხი შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა (ერთადერთი, მხოლოდ ბურთების სხვაობაში აქვს „დინამოს“ უპირატესობა — 14-10). ისე, ძალთა თანაფარდობა მხოლოდ ამ სეზონში დამყარდა, თორემ XXII ჩემპიონატამდე „დინამოს“ ჰქონდა უპირატესობა, — შეგახსენებთ, რომ მიმდინარე გათამაშებაში „ოლიმპმა“ ორჯერ აჯობა ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან გუნდს (ორივეჯერ, ერთნაირი ანგარიშით — 1:0), მესამე მატჩი კი ფრედ (1:1) დასრულდა. არადა, „დინამო“ თუ დღესაც ვერ შეძლებს „ოლიმპის“ დამარცხებას, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ერთი სეზონის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ შეძლო თავის უხერხულ მეტოქესთან გამარჯვება.

დღევანდელი მატჩის სატურნირო მნიშვნელობაზე ცალკე ვისაუბრებთ, მანამდე კი „დინამო“-„ოლიმპის“ ურთიერთდაპირისპირების სხვა საინტერესო დეტალები გავიხსენოთ. მოდი, ჯერ ის ფეხბურთელები ვახსენოთ, დღეს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ რომ შეიძლება ვიხილოთ: „დინამოს“ შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი მოთამაშეა, სხვადასხვა დროს „ოლიმპის“ ღირსებას რომ იცავდა (**გიორგი კახელიშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, თემურ ღონღაძე, გივი კვარაცხელია**); ეგ კი არა, „დინამოს“ ახალწვეულთაგან, უდავოდ, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს **ზურაბ არზიანს,** ვიდრე რუსეთში გაემგზავრებოდა წლების წინ, საქართველოს ჩემპიონატში ერთი მატჩი აქვს ჩატარებული „ოლიმპის“ შემადგენლობაში. თავის მხრივ, რუსთაველთა გუნდშიც არიან ისეთი ფეხბურთელები, ასევე სხვადასხვა დროს „დინამოში“ რომ ასპარეზობდნენ: **ზურაბ ბათიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი ჭელიძე, გიორგი ქავთარაძე.** სხვათა შორის, გივი კვარაცხელიამ და თემურ ღონღაძემ გასულ სეზონში „ოლიმპის“ ჩემპიონობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, მაგრამ მიზეზთა გამო რუსთავული გუნდიდან წამოსვლამ მოუწიათ და დღესდღეობით „დინამოს“ ღირსებას იცავენ. თანაც, კვარაცხელია თუ XXII ჩემპიონატის დაწყების წინ დაუბრუნდა თავის პირველ გუნდს, ღონღაძემ ამ სეზონის პირველი ეტაპი „ოლიმპის“ შემადგენლობაში ჩაატარა.

დღევანდელ მეტოქეთა ურთიერთდაპირისპირებებს ვიხსენებთ და ისიც ვთქვათ, რომ თითქმის ყველა შეხვედრა უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ისეთი სიტუაციებიც გვინახავს, რომცა სწორედ „დინამოსა“ და „ოლიმპის“ დაპირისპირებაში გამოვლენილა საქართველოს ჩემპიონი; აღარაფერს ვამბობთ უშუალოდ მატჩების დროს მომხდარ სკანდალებსა თუ შეხვედრის შემდეგ გაგრძელებულ „საქმის გარჩევებზე“, — აი, თუნდაც სულ პირველი დაპირისპირების დროს რომ მოხდა. ჰო, აი, გუნდი-გუნდზე რომ ჩხუბობდა, მსგავსი „მასშტაბის“ არც მანამდე და არც მერე აღარ გვინახავს; 2006 წლის 29 ოქტომბრის მატჩში, თბილისის „დინამო“ პირველად რომ დაუპირისპირდა რუსთავის „ოლიმპს“, ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ამბები ხდებოდა, ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია...

სამწვრთნელო ფაქტორი

„დინამოსა“ და „ოლიმპის“ ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ სამწვრთნელო ფაქტორსაც; რაღა შორს მივდივართ: „დინამოს“ მთავარ მწვრთნელს **კახა კაჭარავას** ამ სეზონში... სამ სხვადასხვა კოლეგასთან მოუწია პაექრობამ! პირველი წრის შეხვედრაში, „ოლიმპის“ გამარჯვებით რომ დასრულდა (ერთადერთი გოლი **გიორგი რეხვიაშვილმა** გაიტანა), რუსთაველთა გუნდს **თემურ მახარაძე** თავკაცობდა; მეორე წრის დრამატულ მატჩში (დინამოელი **ირაკლი ლეკვთაძის** გოლს შეხვედრის ბოლო წუთზე **რევაზ გეწაძემ** თავის „საფირმო“ საჯარიმო დარტყმით რომ უპასუხა) „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი **რამაზ მუმლაძე** გახლდათ; აი, მესამე წრის მატჩში კი, როცა „ოლიმპმა“ პირწმინდად დაჩაგრა ტიტულიანი მეტოქე (ერთადერთი გოლი გუნდის ახალწვეულმა **ირაკლი მაისურაძემ** გაიტანა), რუსთაველთა გუნდს **თორნიკე მაისურაძე** მოძღვრავდა. თუმცა, რატომ გვიკვირს: იმის მერე, რაც „ოლიმპი“ დაარსდა, ამ კლუბში სამწვრთნელო გადაადგილებები ხომ ყოველთვის ჩვეულებრივ ფაქტად აღიქმებოდა ხოლმე. აი, ზემოთ ხომ ვახსენეთ, „დინამოსა“ და „ოლიმპს“ დღემდე 14 მატჩი აქვთ ჩატარებული-თქო, ამ დროის განმავლობაში რუსთავულ გუნდში ცხრა სპეციალისტი მუშაობდა: **თემურ მახარაძე** (4 მატჩი „დინამოს“ წინააღმდეგ), **ვარლამ კილასონია** (3), **გიორგი კიკნაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ანატოლი პისკოვეცი, ხვიჩა ქასრაშვილი, ოთარ კორღალიძე, რამაზ მუმლაძე, თორნიკე მაისურაძე** (ყველას თითო-თითო). აი, „დინამოში“ კი ამ მხრივ აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა და ხუთი წლის განმავლობაში „ოლიმპის“ წინააღმდეგ ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი მხოლოდ და მხოლოდ სამ მწვრთნელს გამოუყენია: **კახა კაჭარავას** (8 მატჩი), **დუშან უჰრინს** (4), **რაინერ ცობელს** (2).

სატურნირო მოტივაცია

ბოლო წლების ორი წარმატებული გუნდის დაპირისპირების წინ სიტყვა „მოტივაცია“, ერთი შეხედვით, შესაძლოა უადგილოდაც ულერდეს. ბოლოს და ბოლოს, „დინამოს“ ხომ ნებისმიერი სეზონის დაწყების წინ „მარადიული ფავორიტის“ სტატუსი აქვს, „ოლიმპი“ კი განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ორჯერ ჩემპიონი გახდა, ერთხელ ბრინჯაოს პრიზიორი და ერთხელაც მეოთხე ადგილს დასჯერდა. აქედან გამომდინარე, ზემოთ ნახსენები ძალთა თანაფარდობაც აღარავისთვის უნდა იყოს გასაკვირი; მით უფრო, როცა დღევანდელი მეტოქეები კვლავაც უნდა განვიხილოთ როგორც ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატები. ჰო, ვინც რა უნდა თქვას, სეზონის ბოლომდე ხომ შვიდი ტურია დარჩენილი და ის ფაქტი, რომ „ოლიმპი“ სამი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ზესტაფონს“, ჯერ არაფერს ნიშნავს, - ბოლოს და ბოლოს, მომდევნო ტურში ხომ სწორედ ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს. ლიდერთან „დინამოს“ ჩამორჩენაც, ერთი შეხედვით, კატასტროფულად უნდა შეფასდეს (ათი ქულა), მაგრამ ორი გამოტოვებული მატჩიც არ დაგვავიწყდეს და ის ფაქტიც, დღეის შემდეგ კონკურენტებთან ბევრად ხელსაყრელი კალენდარი სწორედ **კახა კაჭარავას** გუნდს რომ აქვს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს... უმთავრესიც არ უნდა დაავიწყდეთ: მართალია, გუნდი მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც არის კონკურენტებზე დამოკიდებული, მაგრამ „თავისი“ მატჩები „უსიკვდილოდ“ უნდა მოიგოს. აქვე, ბარემ დანაკლისზეც ვთქვათ და ამ შემთხვევაშიც დღევანდელი მეტოქეები, ფაქტორივად, ერთნაირ მდგომარეობაში არიან: დისკვალიფიკაციის გამო მასპინძლებს საყრდენი ნახევარმცველი **ზურაბ არზიანი** და გარემარბი **გიორგი კახელიშვილი** ვერ დაეხმარება, ამავე მიზეზით „ოლიმპს“ მარჯვენა მცველი **გიორგი მურველაშვილი** (რომლის ჩინებულ ფლანგურ რიდსაც მოჰყვა კიდეც მესამე წრის შეხვედრაში ირაკლი მაისურაძის საგოლე დარტყმა) და საყრდენი ნახევარმცველი **ლუკა რაზმაძე** დააკლდებათ.

დაბოლოს, უკვე „დაჩვეულ“ სასიამოვნო ამბავზეც: ისე როგორც წინა ტურში, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით დღევანდელი საინტერესო მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი 18 საათზე დაიწყება!

გია ტუხაშვილი

ტურის ცენტრალური მატჩის შესახებ კომენტარი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს, „დინამოს“ კაპიტან ალექსანდრე კოშკაძესა და „ოლიმპის“ თავდამსხმელ ირაკლი მოდებაძეს ვთხოვეთ.

ალექსანდრე კოშკაძე:

“ვემზადებით სრული მობილიზებით და ვიბრძოლებთ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის, ჩვენთვის სხვა შედეგი არ არსებობს. ჩემპიონატში დარჩენილი ყველა მატჩი “დინამოსთვის” ფინალია და ქულათა მაქსიმუმის დაგროვება გვმართებს. ზესტაფონში სამართლიანად დავმარცხდით, მაგრამ იმ თამაშისგან სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ და გვჯერა, რომ სეზონს უდანაკარგოდ ჩავამთავრებთ.

“ოლიმპისთვის” ამ სეზონში ჯერ არ მოგვიგია და ვალდებულები ვართ, ნავსი ახლა გავტეხოთ. მეტოქე ძლიერი გვყავს და მისი დამარცხება იოლი არ იქნება. საერთოდ, ამ ჩემპიონატში სუსტი გუნდები არ თამაშობენ და თითოეულ გამარჯვებას დიდი მონდომება სჭირდება.

დარწმუნებული არ ვარ, რომ “დინამო”-“ოლიმპი” უხვგოლიანი და სანახაობრივი თამაში გამოვა, მაგრამ მთავარი შედეგია. გაიმარჯვებს ის, ვინც თითოეულ ეპიზოდში ბოლომდე იბრძოლებს. ამ ტურშიც და მერეც “დინამო” იმის დამტკიცებას შეეცდება, რომ საჩემპიონო გუნდია”.

ალექსანდრე კოშკაძე

ირაკლი მოდებაძე:

“ქუთაისში განცდილმა მარცხმა ხასიათი ძალიან გაგვიფუჭა, მაგრამ ის თამაში რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ და “დინამოსთან” დაპისპირებისთვის სათანადოდ განვეწყოთ. მეტოქის სახელიდან და ძალიდან გამომდინარე, საკუთარი თავის მოტივირების პრობლემა არც მე მაქვს და არც – ჩემს თანაგუნდელებს. ამ მატჩის მნიშვნელობა ყველას ძალიან კარგად გვესმის.

“ტორპედოსთან” წაგებამ “ოლიმპის” სატურნირო მდგომარეობა გააუარესა, მაგრამ ჩემპიონობის შანსებს ვინარჩუნებთ და თითოეულ შეხვედრაში გვმართებს იმის დამტკიცება, რომ საქართველოს საუკეთესო გუნდი ვართ. გულშემატკივრებს სტადიონზე მოსვლას ვურჩევ, დარწმუნებული ვარ, კარგი სანახაობით ისიამოვნებენ.

ვფიქრობ, ორივე გუნდს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს. წარმატება იმას დარჩება, ვინც მეტი კონცენტრაციით ითამაშებს. “ოლიმპიც” და “დინამოც” სამი ქულისთვის ითამაშებენ, მაგრამ გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. სტუმრად ვთამაშობთ და შესაძლოა, ფრე ჩვენს აქტივში ჩაინეროს”.

ლევან ჯანეზაშვილი

ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
Bwin: 1.48 3.75 6.00
15.04. თბილისი.
შატილი
16:00

არბიტრი: ხ. გაგნიძე; ასისტენტები: კ. ტეფნაძე, ზ. ბერულავა
მეოთხე მსაჯი: თ. გვანცელაძე

ზესტაფონი-სპარტაკი
Bwin: 1.16 5.75 13.50
15.04. ზესტაფონი.
დ. აბაშიძე
18:00

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი; ასისტენტები: გ. ყრუაშვილი, ზ. ერქვანია
მეოთხე მსაჯი: გ. დოგრაშვილი

სიონი-სამტრედია
Bwin: 1.40 4.00 7.00
15.04. ბოლნისი.
თ. სტეფანია
16:00

არბიტრი: ჯ. ხორავა; ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე
მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა

ტორპედო-ბაია
Bwin: 1.85 3.10 4.00
15.04. ქუთაისი.
ტორპედო
18:00

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი; ასისტენტები: დ. კურტანიძე, ს. სპიცინი
მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

● მანჩესტერ იუნაიტედი

გისურვებ წარმატებას, კონკურენტო!

შაბათს, „უემბლიზე", მანჩესტერული დერბია და ყველაფერი, რასაც ამ შეხვედრის წინ ერთი ან მეორე გუნდის ფეხბურთელები იტყვიან, თამაშის წინა „გახურებად" აღიქმება. მაგალითად, **რიო ფერდინანდმა** „იუნაიტედის" წარმატების რეცეპტზე ილაპარაკა, ინგლისურმა პრესამ კი ეს „სიტის" ჭკუის დარიგებად მიიღო — თითქოს ვეტერანი ამბობდა, თუ მართლა ძლიერი გუნდის შექმნა გინდათ, აი, როგორ უნდა მოიქცეთო. ფერდინანდმა თქვა, რომ მის კლუბში ფეხბურთელებს შორის სრული თანხმობა და ურთიერთგაგებაა. ამ სიტყვებს „სანმა" მიაბა ასეთი წინადადება — რასაც „მანჩესტერ სიტიზე" ვერ ვიტყვითო. ერთი სიტყვით, ხვალ ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალია...

მანჩესტერული გუნდების შედარებისას ჟურნალისტები იხსენებენ, რომ „სიტიში" ნლეულს რამდენჯერმე მოხდა ისეთი რამ, რაც „იუნაიტედში" არ მომხდარა — თამაშის დროს ფეხბურთელმა შეცვლა გააპროტესტა. მნვრთნელის გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჯარო გალაშქრებისგან თავი ვერ შეიკავეს **კარლოს ტევესმა, ბარიო ბალოტელიმ** და **ჯეიმს მილნერმა** — ეს ინგლისელი კაცი ფიცხ სამხრეთელებს ორშაბათს, „ლივერპულთან" შეხვედრის მეორე ტაიმში „შეუერთდა". 32 ნლის ფერდინანდი კი ამბობს, რომ „იუნაიტედში" მსგავსი არაფერი ხდება:

„ჩვენთან ვერ ნახავთ ფეხბურთელს, მოედნიდან გასვლის დროს, უკმაყოფილოდ თავს რომ აქნევდეს, ანდა სათადარიგოთა სკამზე გაბუტული იჯდეს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელობა ყველას უხარია. მნვრთნელმა ვინმეს ასეთი რამ რომ შეამჩნიოს, დაუყოვნებლივ თავის ადგილს მიუჩენს და მართალიც იქნება. ფერგიუსონის წინაშე ყველა თითის წვერებზე დადის. ყველაფერი კი იქიდან მოდის, რომ ხალხს ამ გუნდში თამაში უნდა. საკმარისია მოთამაშე „იუნაიტედში" მოხვდეს, რომ მერე სხვაგან ნასვლა აღარ უნდა. აქ, დაუნერელი კანონი მოქმედებს: ყველა პატივს სცემს მნვრთნელს და ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდში მის მოსვლამდე თამაშობდნენ. „იუნაიტედის" გასახდელში არავინ არავის ქიშპობს. ჩვენთან თამაშის წინ ერთმანეთს წარმატებას უსურვებენ, თუნდაც ვიღაც ვიღაცის პოზიციაზე გამოდიოდეს".

კიდევ, ფერდინანდმა აღნიშნა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს" ძალებისა და ფორმის აღდგენის საოცარი უნარი აქვს. ვეტერანი სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში მონაწილეობდა — „იუნაიტედმა" „ჩელსი" ორჯერ დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. პრემიერლიგაში გუნდი პირველ ადგილზეა, მდევარ „არსენალს" შვიდი ქულით უსწრებს. ფეხბურთის ასოციაციის თასის ამბავი უკვე მოგახსენეთ. ერთი სიტყვით, „იუნაიტედი" კვლავ სამ ფრონტზე იბრძვის და 1999 წლის უნიკალური შედეგის, ეგრეთ წოდებული, „ტრებლის" გამეორების რეალური შანსი აქვს.

რიო ფერდინანდი ამბობს, რომ წარმატების ნიშნებს ის სექტემბერშივე ამჩნევდა.

„10-15 თამაშის მერევე ვთქვი, რომ ჩვენს გუნდს ძალების და ფორმის აღდგენის დიდებული უნარი აქვს. ასეთ მებრძოლ გუნდში არასდროს მითამაშია. დღევანდელი „იუნაიტედი" წარუმატებლობას არ ეგუება. არადა, თუ საქმისადმი სწორი დამოკიდებულება არ გაქვს, კალაპოტიდან ამოვარდნა ერთი წუთის ამბავია".

რიო ფერდინანდი

„ტრებლის" შესახებ სერ **ალექს ფერგიუსონსაც** ჰკითხეს, თუმცა მან საჯაროდ ტრაბახისა და დაქადნებისგან თავი შეიკავა. ფრანგი მცველი **პატრის ევრა** კი სიმართლის თქმას არ ერიდება:

„რასაკვირველია, როდესაც ფეხბურთელებთან რჩება, ფერგიუსონი ამაზე ლაპარაკობს. ფაქტის წინაშე ვდგავართ და რატომ უნდა მოვიტყუოთ თავი? უკვე გაზაფხულია, სეზონი დასასრულს უახლოვდება და ჩვენ კვლავ სამი ტიტულისთვის ვიბრძვით.

სწორად გამიგეთ, ჩვენ, ბიჭები, ერთმანეთს არ ვეუბნებით, რომ სამივე შეჯიბრებაში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ყოველ კარსმომდგარ შეხვედრაში მოგებაზე ვფიქრობთ".

● ფრანსფერი

დე ხეა გაღაწყდა

„მანჩესტერ იუნაიტედი" და მადრიდის „ატლეტიკო" მეკარე **დავიდ დე ხეას** ტრანსფერზე გარიგდნენ - თანხა, რომელსაც ინგლისური კლუბი ესპანურს გადაუხდის, 17,8 ფუნტის ანუ 20 მილიონი ევროს ტოლია. „დეილი მეილი" ზუსტად ერთი თვის წინ წერდა, რომ მანჩესტერელებმა **ედვინ ვან დერ სარის** შემცვლელად 20 ნლის მადრიდელი ჰყავდათ შეგულებული, რაც ახლა დადასტურდა. დე ხეა „ოლდ ტრეფორდზე" ხუთი ნლით გადავა.

მიმომხილველები ნერენ, რომ სერ **ალექს ფერგიუსონის** მხრიდან ასეთი ახლგაზრდა კაცის კარში ჩაყენება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც ირკვევა, „იუნაიტედის" თავკაცს ესპანელი გოლკიპერის ნიჭისა სწამს. სწორედ ამით გახლდათ განპირობებული ის, რომ ფერგიმ დე ხეას ყიდვა ამჯობინა „შალკეს" გოლკიპერ **მანუელ ნოიერის**, ინტერელი **ჟულიო სეზარის** და აიაქსელი **მარტენ სკეტელენბურგის** ყიდვას.

ფერგიუსონი დე ხეას თამაშს მთელი ნლის განმავლობაში აკვირდებოდა. ამბობენ, რომ ამიერიდან სერ ალქსი აქცენტს ახალგაზრდა მოთამაშეების გადაბირებაზე გააკეთებს. დღეს უკვე ცნობილია, რომ „იუნაიტედის" თავკაცი ნაობს ვან დერ სარი 1999 ნელს, „ფერგიუსონის ოდინდელი კონკურენტი, **არსენ ვენგერი** ამბობს, რომ მანჩესტერელები 40 ნლის ჰოლანდიელის გარეშე დღევანდელივით ძლიერები ვერ იქნებიან. ვენგერმა თქვა:

„ვან დერ სარი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ის 40 ნლისაა და კვლავ „იუნაიტედის" კარს იცავს. არ აქვს მნიშვნელობა ვინ მივა „ოლდ ტრეფორდზე" მის ნაცვლად, ვინც არ უნდა იყოს, ვან დერ სარს ვერ შეცვლის. ჰოლანდიელის დიდი კოზირი ხომ მარტო გამოცდილება კი არა, მისი ბუნებრივი ნიჭიც იყო".

კარიერის ბრწყინვალედ დამთავრებისთვის კი ედვინ ვან დერ სარს ამ სეზონში მართლაც საუცხოო შანსი ეძლევა. მას შეუძლია ორი ფინალი ითამაშოს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასისა და ჩემპიონთა ლიგის.

● ჩელსი

გუსი, გუსი...

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ „ჩელსის" მილიარდერი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** „ლურჯების" მნვრთნელის თანამდებობაზე ჰოლანდიელი **გუს ჰიდინკის** დაბრუნებას ეცდება — **კარლო ანჩელოტიმ** მას უკვე თავი მოაბეზრა. რასაკვირველია, კლუბის ნარმომადგენლები ოფიციალურად ჯერ არაფერს ამბობენ და ანჩელოტიმაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხების შემდეგ, კობჰემის ბაზაზე, ჩვეულებრივ ჩაატარა ვარჯიში, მაგრამ ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ საკმარისია ჰიდინკს თანხმობა წამოცდეს, რომ საქმე დამთავრებულია. აბრამოვიჩს ანჩელოტის დიდ მნვრთნელობაში სერიოზულად შეპარვია ეჭვი. გამოვიდა ხმები, რომ რუსი ოლიგარქი იტალიელს აღარ მიიჩნევს იმ სპეციალისტად, რომელსაც „ჩელსის" მომავალს ანდობს.

მოგეხსენებათ, ჰიდინკი „ჩელსის" სულ სამი თვით ედგა სათავეში და აბრამოვიჩზე შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ამბავი 2009 ნელს მოხდა, როდესაც „ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ბარსელონა" კინაღამ დაამარცხა. ამ სამ თვეში ჰიდინკის ხელმძღვანელობით „ლურჯებმა" 22 თამაშიდან მხოლოდ ერთი წააგეს. თუ გახსოვთ, მაშინ ჰოლანდიელი რუსეთის ნაკრებსაც წვრთნიდა - ხელფასს იქაც აბრამოვიჩი უხდიდა. დღეს ჰოლანდიელი თურქეთის ეროვნულ გუნდს ხელმძღვანელობს და ამბობს, რომ კონრაქტის დარღვევა არ სჩვევია. კიდევ, ჰიდინკი აცხადებს, რომ 64 ნლის ასაკში ნაკრების მნვრთნელად მუშაობა ურჩევნია, მაგრამ აბრამოვიჩი იოლად არ დანებდება. გეხსომებათ, მან ჰიდინკს ჯერ „ჩელსის" სპორტული დირექტორის, **ფრენკ არნესენის** თანამდებობა შესთავაზა, ახლა კი, როგორც ჩანს, ანჩელოტის შემცვლელობაც შეაპარა. საინტერესოა, რომ ამ კვირის დასაწყისში ჰიდინკზე ჰოლანდიური პრესაც წერდა. მისთვის მნვრთნელობა „აიაქსსაც" შეუთავაზებია, მაგრამ მან ამსტერდამელები უარით გაისტუმრა. თუმცა, აბრამოვიჩი სხვაა, მისთვის უარის თქმა ძნელი საქმე გახლავთ. „ჩელსის" კლუბში მომუშავე ერთმა ინკოგნიტო წყარომ განაცხადა, რომ ჰიდინკის დასავლეთ ლონდონში დაბრუნების ამბავი 80 პროცენტით გადაწყვეტილი საქმეა.

გუუს ჰიდინკი (მარცხნივ) და რომან აბრამოვიჩი

მნვრთნელის შეცვლის გარდა რუსი მილიარდერი სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობასაც აპირებს. მისი მთავარი მიზანი ბრაზილიელი ვარსკვლავბიჭუნა **ნეიმარია**.

● ამბები

ერთიანული ბიბლიოთეკა

ვენგერი და გარანტია

„არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი** კლუბის ახალი მეპატრონე **სტენ კროენკისგან** გარანტიას ითხოვს, ფრანგს არ უნდა, რომ ამერიკელმა ზაფხულში **სესკ ფაბრეგასი** გაყიდოს. მნვრთნელს 23 ნლის ესპანელი ნახევარმცველის შესახებ ამერიკელ ბიზნესმენთან ცალკე საუბარიც კი სურს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „მეთოფეები" ვერც ამ სეზონში მოიპოვებენ ჯილდოს. ბოლო პრიზი, რომელიც მათ აღმართეს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი გახლდათ და ეს 2005 ნელს მოხდა. მაისში ექვსი სეზონი შესრულდება, რაც ჩრდილოლონდონელებს აღარაფერი მოუგიათ. გაისად ნავსის გატეხვისთვის ვენგერისთვის წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესი იქნება, თუმცა მას გასაყიდი ფეხბურთელებიც შეგულებული ჰყავს. მათი გაყიდვით მიღებული შემოსავალი, სავარაუდოდ, ახალი მოთამაშეების შეძენას დასჭირდება.

რაც შეეხება „ბარსელონას" სკოლის აღზრდილ ფაბრეგასს, მისი მშობლიური კლუბი „არსენალს" ამ ზაფხულსაც მიმართავს ტრანსფერის მოთხოვნით. ამბობენ, რომ ფაბრეგასის ყიდვის სურვილი „რეალსაც" აქვს.

და კიდევ ერთი ცნობა „არსენალთან" დაკავშირებით: ბიზნესმენი **დენი ფიზმენი**, რომელმაც ორიოდ დღის წინ კროენკს თავისი აქციები, 16 პროცენტი მიჰყიდა, მძიმე სნეულების შედეგად გარდაიცვალა.

მიუახლოვდა

შოტლანდიის პრემიერლიგაში „რეინჯერსმა" გამოტოვებული თამაში ჩაატარა, **ნიკიცა იელავიჩის** მმვენიერი მაკრატელა დარტყმის წყალობით სტუმრად „აბერდინი" დაამარცხა და „სელტიკს" მიუახლოვდა. ახლა გლაზგოს გუნდებს თამაშების რაოდენობა ტოლი აქვთ, ქულებით კი „სელტიკია" წინ — ორით მეტი აქვს. ხორვატმა გოლი 22-ე წუთზე გაიტანა, მანამდე კი „აბერდინს" შეეძლო ორი გოლის გატანა. ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ **სონე ალუკოსა** და **ჯოშ მეგინისს**. მასპინძლებს შესვენების შემდეგაც შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ „რეინჯერსის" მეკარე **ალან მაკგრეგორს** ვერ აჯობეს. ეს „აბერდინის" ზედიზედ მეოთხე მარცხი გახლდათ.

ქუინზ პარკის საშზადისი

ეჭვი აღარავის ეპარება, რომ „ქუინზ პარკ რეინჯერსი" მომავალი სეზონიდან პრემიერლიგაში ითამაშებს — ჩემპიონშიფის შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტურით ადრე ლონდონელები უახლოეს მდევარ „კარდიფ სიტის" 10 ქულით უსწრებენ. მნვრთნელი **ნილ უორნოკი** უკვე ხვალისას და ზეგისას ზრუნავს - როგორც ჩანს, უმაღლეს ლიგაში დიდი ხნით დასარჩენად ემზადება და ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებაზე ფიქრობს. მას „ფულჰემის" თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი** და „ჰალ სიტის" ნახევარმცველი **ჯიმი ბალარდი** მოსწონებია.

ცნობისთვის: როგორც კი უბან შეფერდს ბუშის ბინადარი ძლიერების მარაქაში გაერევა, დასავლეთ ლონდონელებს შეეძლებათ ტრაბახით თავი მთელ ინგლისს მოაბეზრონ — ოციდან სამი გუნდი, „ჩელსი", „ფულჰემი" და „ქუინზ პარკი" მათი რაიონიდან იქნება.

ჯონსონს „ფულჰემის" შემადგენლობაში 23 შეხვედრაში 2 გოლი აქვს გატანილი. მანამდე მას ფეხი სტკიოდა და დიდხანს მკურნალობდა. „ევერტონის" ყოფილი ფორვარდი 30 ნლის არის და ახლანდელ გუნდთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულამდე აქვს გაფორმებული. „ფულჰემში" ჯონსონი კვირაში 40 ათას ფუნტს იღებს და თუ ასეთი ჯამაგირის შემცირებას დათანხმდება, მის „ქუინზ პარკში" გადასვლას წინ არაფერი უნდა აღუდგეს. ერთი ნაღდია, თუ ტრანსფერი შედგა, ფეხბურთელს ახალი ბინის ქირაობა არ დასჭირდება.

რაც შეეხება 32 ნლის ბალარდს, იგი 32 ნლისაა და „ჰალს" „იფსვიჩში" ჰყავს გაქირავებული. მისი ხელფასი კვირაში 45 ათასი ფუნტია.

კოულმა მომისმინეთო

„ვესტ ჰემის" თავდამსხმელი **კარლტონ კოული** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დამნაშავედ სცნო და დასჯას უპირებს, თუმცა თავად ფეხბურთელმა მისი საქმის პერსონალური გარჩევა ითხოვა. რა დააშავა კოულმა? ინგლისისა და განის ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრის შემდეგ სოციალურ ქსელ „ტვიტერში" ასეთი წინადადება დაწერა:

„ემიგრანტებს „უემბლის" სტადიონისთვის ალყა დაურტყამთ. ვიცოდი, რომ ხაფანგს გვიმზადებდნენ. ჰა, ჰა, ჰა".

ეს ნაწერი 27 ნლის ფერადკანიან ინგლისელს, რომელიც იმ დღეს „უემბლიზე" მაყურებლად იყო მისული, რასიზმად ჩამოართვეს.

იმ დღეს კოულმა „ტვიტერში" სხვაც ბევრი დაწერა. მაგალითად, განელებს უთხრა, ყოჩაღ ძმებო, თქვენ აფრიკა ასახელეთო და დასძინა, „უემბლიდან" უსაფრთხოდ რომ გასულიყავი, ინგლისის ნაკრების მაისურა უნდა გეცმოდა და სახეზე ნმინდა გიორგის დროშა დაგეხატაო, მაგრამ იმ ერთ ნათქვამს რატომღაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ კოულს დისკვალიფიკაციას, ალბათ, არ მიუსჯიან, მაგრამ 10 ათას ფუნტს გადაახდევინებენ.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● აიაქსი

სიმშვიდით ჭკბობა

იოჰან გერი დერკსენი ჰოლანდიაში ცნობილი სახელია. ის პროფესიულ დონეზე თამაშობდა ფეხბურთს, მართალია, ჰოლანდიის ნაკრების დონემდე "ვერ გაიზარდა", მაგრამ რამდენიმე ცნობილ კლუბში კი უთამაშია - "გოუ ეჰედ იგლზში", "კამბუურში", "ჰაარლემსა" და "მაასტრიხტში". ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მან ხელი მიყო ჟურნალისტობას და ამით უფრო გაითქვა სახელი. მის სიტყვას სამშობლოში ყოველთვის ყურადღებით უსმენენ. ცოტა ხნის წინ მან ფრანკ დე ბურზე მშვენიერი სტატია დაწერა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

ეს მხოლოდ შეგრძნებაა ასეთი, რომ ფრანკ დე ბური ის ადამიანია, ვინც დღეს "აიაქსს" ყველაზე მეტად სჭირდება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას აუცილებლად წარმატებები ელის წინ. აქამდე ასევე ვიყავი დარწმუნებული, რომ პიმ ფერბეეკი "ფეიენოორდს" მოუხდებოდა და ჰუუბ სტევენსი წარმატებით იმუშავებდა "ეინდჰოვენში". იაზროვნო ჯანსაღად, ნიშნავს, რომ გაქვს შანსი, წარმატებას მიაღწიო ფეხბურთში. თუმცა ჯანსაღად აზროვნება სულაც არ ნიშნავს, რომ ბრძენი ხარ. რატომ არ გაუმართლა ფრედი რუტენს "შალკეში"? რატომ წავიდა "უტრეხტიდან" დროზე ადრე ვინ ვან ჰანეგემი? ასევე ტრონდ სოლიდი, ვინც "ჰეერენვენის" საფეხბურთო კულტურა ვერ შეიგრძნო?

რაც ზემოთ მაგალითები მოვიყვანეთ, "აიაქსში" ანალოგიური დაემართა მარტინ იოლსაც. მისი მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ავტორიტარულ მწვრთნელს თამაშობდა, თუმცა საქმე საქმეზე როცა მიდგა, შემადგენლობის დაყენების დროს დაშვებული შეცდომების მიჩქმალვა ძალზე უსუსურად სცადა. ამიტომაა, რომ "აიაქსს" მხოლოდ ნამდვილი აიაქსელი სჭირდება.



დოსიე

ფრანსისკუს (ფრანკ) დე ბური

დაიბადა: **1970 წელს ნოორდ ჰოლანდის დაბა ჰოორნში**

მის ტყუპისცალ რონალდზე რამდენიმე წუთით პატარაა

სიმაღლე: **180 სმ**

ფეხბურთელობისას ცენტრალური მცველი

ითამაშა: **აიაქსი (1988-1998), ბარსელონა (1998-2003), გალათასარაი (2003-2004), რეინჯერსი (2004), ალ რაიანი (2004-2005)**

ჰოლანდიის ნაკრებში: **112 თამაში, 13 გოლი**

2011 წლის 1 იანვრიდან „აიაქსის" მწვრთნელია

ნამდვილი აიაქსელის ბავშვობა

აიაქსელობა - აი, ეს არის ის თვისება, რაც **იოჰან კრუიფს** მოჭარბებით ჰქონდა და ამიტომაც იყო წარმატებული მწვრთნელი ამ კლუბში. **"14 ნომერი"** ფრანკის დანიშვნას მიესალმა და განაცხადა, რომ მისი ძალა ის იქნებოდა, რომ "ამსტერდამ არენაზე" ყველა იცნობდა და ყველა ენდობოდა. ასეთი რამ კი ფეხბურთში იშვიათად ხდება... თუ ხდება საერთოდ. ალბათ ძნელი გასახსენებელია ადამიანი, ვინც კრუიფის ამ აზრს არ დაეთანხმებოდა და ფრანკს წარმატებას არ უსურვებდა. ფეხბურთში შეიძლება ძალიან მალე შეიცვალოს ყველაფერი, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელს ჯერ საკმარისი ბაზისი აქვს სამუშაოდ.

ფრანკის ცხოვრება შეიძლება რომელიმე საბავშვო წიგნს შევადაროთ. 1970 წლის 5 მაისს, კროტბურხელ ნყვილს **კეეს** და **ჰიტა დე ბურებს** ტყუპი ვაჟი შეეძინათ. ჯერ **რონალდი** დაიბადა, რამდენიმე წუთში - ფრანკი. მათ უკვე ჰყავდათ 4 ნლით უფროსი და **ანია**. ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკე იყო. შშობლები, სამივე შვილთან ერთად, კვირაობით ეკლესიას სტუმრობდნენ ხოლმე. მთელი ბავშვობა ძმებს ერთ ოთახში ეძინათ და მთელი ბავშვობა ბურთს დასდევდნენ. არც არის გასაკვირი, მათი მამა ხომ ადგილობრივი კლუბის ვარსკვლავი იყო და 60-იან ნლებში ნელიწად-ნახევარი "ალკმაარშიც" თამაშობდა. მამამ პროფესიულ ფეხბურთზე უარი მუხლის სერიოზული ტრავმის გამო თქვა. საფეხბურთო ოჯახიდან იყო დედაც. ჰიტას ოთხი ძმა ერთი პერიოდი "ვან ზუავენის" პირველ გუნდში თამაშობდა.

ფრანკი და რონალდი კათოლიკურ სკოლაში დადიოდნენ და მალე მიხვდნენ, რომ ბავშვები იქ ორ ნაწილად იყოფოდნენ: ფერმერებს ფეხზე უხეში ფეხსაცმელები ეცვათ და მაისურებზე როკერების ფოტოები ჰქონდათ დატანილი, ხოლო ე.წ. დისკოს მოცეკვავეები უფრო მოდურად იცვამდნენ. ძმები მეორე ჯგუფს ეკუთვნოდნენ. მათ სკოლაშიც ვერ მოისვენეს ფეხბურთის გარეშე და "ზუავების კათოლიკური კავშირის" გუნდში ჩაირიცხნენ და მალევე მოახდინეს ფურორი საფეხბურთო მინდვრებზე. რონალდი მშვენივრად თამაშობდა მარჯვნივ, ფრანკი კიდევ უკეთესად გამოიყურებოდა მარცხნივ. მათმა მასწავლებელმა სახელად **ბონემამ** გამოცდების წყალობით დაადგინა, რომ ძმები სწავლას დიდად მონყურებულები არ იყვნენ და შესაბამისად, საერთო საშუალო განათლების დიპლომს ვერ შესნვდებოდნენ. პედაგოგმა ამიტომაც ურჩია შეგირდებს, უმაღლესი ტექნიკური განათლება მიეღოთ. ისინი დაჰყაბულდნენ შეთავაზებას და დე ჰუკსტეენის ტექნიკურ სკოლაში ჩააბარეს. რონალდი ზეინკლის პროფესიის სწავლას შეუდგა, ფრანკი – ელექტრიკოსის. სწორედ ამ პერიოდში დაიწყეს მათ "აიაქსის" საშინაო თამაშებზე სიარული.

12 ნლიდან ძმები "ალკმაარის" საფეხბურთო სკოლაში დადიოდნენ, სადაც მათი მწვრთნელი **კო ადრიაანსე** იყო. კლუბის სკაუტებს ძალიან მოსწონდათ ნიჭიერი ძმები და სწორედ ამიტომ იყო, რომ მათი მგზავრობის ხარჯებს სწორედ საფეხბურთო კლუბი იხდიდა. ჰოლანდიის ტელევიზიაში ამ პერიოდში გადიოდა გადაცემა "კრუიფი და კომპანია". გადაცემა ნიჭიერ ფეხბურთელ ბავშვებს ეძღვნებოდათ. კრუიფის მახვილმა თვალმა პირველად სწორედ მაშინ შენიშნა ბიჭების ნიჭი. სწორედ იოჰანის რეკომენდაციით მოხვდა ტყუპი "აიაქსის" სკოლაში. მგზავრობის ხარჯების ანაზღაურების საკითხი, რა თქმა უნდა, თვალის დახამხამებაში მოიხსნა.

პროფესიული კარიერა

1988 ნლიდან 1998 ნლის ჩათვლით ფრანკ დე ბური "აიაქსის" ღირსებას იცავდა, რომლის შემადგენლობაში 5-ჯერ ჩემპიონი გახდა, ორჯერ თასი მოიგო, სამჯერ ჰოლანდიის სუპერთასს დაეუფლა, ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასი აღმართა, მოიგო ასევე უეფას თასი, ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი. კარიერის შემდგომი ნლები კი "ბარსელონაში", "გალათასარაიში", "რეინჯერსსა" და "ალ რაიანში" გაატარა. ნაკრებში დებიუტი მას 1990 ნელს ჰქონდა, სადაც 14 ნელი გაატარა. მის ანგარიშზე 112 შეხვედრა და 13 გოლია.

ფრანკ დე ბურმა მთელი კარიერა ძალზე ჭკვიანურად წარმართა და კარგად გათვალა, როცა 2006 ნლიდან "აიაქსის" იუნიორთა გუნდში მუშაობა დაიწყო. 2007 ნლის ივნისში მან პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია მიიღო.

სამწვრთნელო კრიზისი

1994 ნლიდან "აიაქსში" მწვრთნელთა მთელი პლეადა მუშაობდა. გავიხსენოთ ყველას გვარი: **ლუი ვან გაალი, მორტენ ოლსენი, იან ვოუტერსი, ჰანს ვესტერჰოფი,** კო ადრიაანსე, **რონალდ კუმანი, დანი ბლინდი, ჰენკ თენ კატე, ადრი კოსტერი, მარკო ვან ბასტენი, ჯონ ვან'ტ სხიპი, მარტიონ იოლი.** ყველასთვის არა, მაგრამ ზოგიერთი ამ სპეციალისტისთვის "აიაქსი" დროებითი თავშესაფარი აღმოჩნდა. ყველა იმას ცდილობდა, გუნდში თავისი წესები მოეტანა და წესრიგი ასე დაემყარებინა. ამიტომ იყო, რომ ნლიდან ნლამდე კლუბი თანდათან სუსტდებოდა.

მწვრთნელებს სატრანსფერო ბაზარზე სრული თავისუფლება მიეცათ, თუმცა ის მოთამაშეები, რომლებიც მოდიოდნენ, გუნდს ვერ აძლიერებდნენ და ასე გამოდიოდა, რომ კლუბი ჰოლანდიის მასშტაბებით ძალიან დიდ ფულს ჰაერს ატანდა. ზოგიერთ შემთხვევაში მწვრთნელი არაფერ შუაში იყო, რადგან ტრანსფერს ხელმძღვანელობა გეგმავდა და ახორციელებდა. შესაბამისად, ბრალიც მათი იყო.

ფრანკ დე ბურის მოსვლით ბევრი რამე შეიცვალა. ეს არის იდეალური ადამიანი საჭირო ადგილას და რაც მთავარია, საჭირო დროს. ის ლუის ვან გაალისა და იოჰან კრუიფის ნამდვილი პროდუქტია. ჯერჯერობით ძნელია მას ამ ორი დიდი მწვრთნელის იდეალური ნაზავი უწოდო, მაგრამ ფაქტია, რომ დროსთან ერთად ფრანკის მიმართ პატივისცემა, ნდობა და მხარდაჭერა იზრდება. მრავალი ნლის უპასუხისმგებლო მმართველობის შემდეგ "აიაქსი" სწორედ ფრანკის გარშემო უნდა აენყოს. ამ საქმეში თავისი როლი უნდა ითამაშონ იოჰან კრუიფმა და **კეიე მოლენაარმა** (ყოფილი აიაქსელი, კარიერის დასრულების შემდეგ წარმატებული იურისტი. ამჟამად კლუბის მმართველ საბჭოშია. რედ). ასეთი ავტორიტეტული პერსონებისთვის ხომ ძალაუფლება არაფერს ნიშნავს, ისინი სწორედ ამ კლუბზე არიან ბრმად შეყვარებულნი. ასევე არასამართლიანი იქნებოდა დე ბურისა და მის გვერდით მყოფი ადამიანებისთვის გაურკვეველი მიზნების ლობირება დაგვებრალებინა. მათთვისაც ხომ "აიაქსის" ინტერესი უპირველესია. კლუბის ხელმძღვანელობამ ბოლო ნლებში იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ კლუბმა საგრძნობლად დაიხია უკან.

დე ბური ის ლიდერია, რომელზეც მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. მას შეუძლია უკვე დიდი ხნის წინ რღვევის გზაზე შემდგარი ციხე-სიმაგრის შედუღაბება და კლუბისთვის დამახასიათებელი კულტურის აღორძინება. მან საზოგადოებას უკვე გააცნო თავისი თავი.

დაბოლოს, "აიაქსს" ჰყავს მწვრთნელი, რომლის მიმართ მასმედია დადებითად არის განწყობილი. მას ხომ თავისუფლად შეუძლია თავისი საფეხბურთო ხედვა გასაგებად გადმოსცეს. ფრანკის მიერ გადადგმული ლოგიკური ნაბიჯები მისადმი ნდობას კიდევ უფრო ამაღლებს. დადგა დრო, როცა კლუბში არსებული ყველა სუსტი ნერტილი უნდა აღმოიფხვრას და მათი ადგილი ნამდვილმა აიაქსელებმა დაიკავონ. ამსტერდამში ტოპკლუბის სახელს მხოლოდ ასე თუ დააბრუნებენ.

● ამბები

ლიგა 1-ის ლიდერი პედრეგის დაუმიზნა

ლიგა1-ის ლიდერმა "ლილმა" მომავალი სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა პრაქტიკულად გაინაღდა და შესაბამისად გაძლიერებაზე უკვე აქედან ზრუნავს. "ძაღლებმა" (კლუბის მეტსახელია) ვერ მოახერხა ცენტრალური მცველის, 26 ნლის **ადილ რამის** შენარჩუნება – ის კარიერას "ვალენსიაში" გააგრძელებს. მის შემცვლელზე კლუბში კიდევ იზრუნებენ, იქამდე კი ხელძღვანელობამ "ოსერიდან" **ბენუა პედრეტის** გადაბირება მოისურვა. როგორც ჩანს, მოლაპარაკებები დიდი ხნის დაწყებულია, რადგან გაზეთები ნერენ, რომ 30 ნლის ცენტრალური ნახევარმცველის ტრანსფერზე კლუბები უკვე შეთანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ პედრეტის სერიოზული ტრავმა აქვს და ამ სეზონში ის მინდორზე გასვლას უკვე ვეღარ შეძლებს.

შვედს ლიონი აღარ უნდა?

კიმ კალსტრიომის აგენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სეზონის ბოლოს მისი კლიენტი აღბათ "ლიონს" დატოვებს. ბოლო კვირებში მასმედია შვედ ფეხბურთელზე ბევრს ნერს, თუმცა კონკრეტული კლუბები დღემდე არ სახელდება. *"კიმის კონტრაქტი 2012 ნელს სრულდება. ბუნებრივია, მას აღელვებს თავისი მომავალი და ამაზე ბევრსაც ფიქრობს. ჭორებზე კომენტარს არ გავაკეთებ, თუმცა გეტყვით, რომ მისით ბევრი კლუბია დაინტერესებული. ამასთან, გამორიცხვით არც იმას გამოვრიცხავ, რომ წინადადებების მიუხედავად კიმი "ლიონში" მაინც დარჩეს,"* – განაცხადა აგენტმა.

რა მოუხერხონ ჟინიაკს?

მარსელის "ოლიმპიკის" ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია, რა მოუხერხოს სეზონის დაწყებამდე "ტულუზიდან" 15 მილიონ ევროდ ნაყიდ **პიერ-ანდრე ჟინიაკს. დიდიე დეშამი** შეშფოთებულია იმ თამაშით, რასაც ფეხბურთელი "ველოდრომზე" აჩვენებს და მზადაა, ის მსურველებს დაუთმოს. თუმცა მაღალი ფასის გამო პიერ-ანდრეზე მოთხოვნა პრაქტიკულად არ არის. იანვარში მისით დაინტერესებული "იუვენტუსი" იყო, თუმცა მას მერე, რაც "ქალბატონმა" **ლუკა ტონი** და **ალესანდრო მატრი** გადაიბირა, მათ ახალი თავდამსხმელი აღარ სჭირდებათ. გამორიცხული არც ის არის, რომ დეშამმა ფეხბურთელს მომავალ სეზონში კიდევ ერთი შანსი მისცეს.

დომენეკი არ ისვენებს

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **რაიმონ დომენეკმა** მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციისგან კონტრაქტის ვადამდე გაწყვეტის გამო კომპენსაციის სახით 2,9 მილიონი ევრო მოითხოვა. ფედერაცია ბუნებრივია არ დაეთანხმა ამ მოთხოვნას და დომენეკს თავისი წინადადება შესთავაზა. მხარეებმა შეთანხმებას 2,5 ნლის განმავლობაში ვერ მიაღწიეს. შესაბამისად, მწვრთნელის ადვოკატებმა სასამართლოს მიმართეს. სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო და საქმის განხილვა 2012 ნლის იანვარში დანიშნა. მუსიე რაიმონის ადვოკატ **ჟან-იკ კონესომის** განცხადებით, ის და მისი თანაშემნეები საბოლოო წარმატებაში აბსოლუტურად დარწმუნებულები არიან.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● ფიორენტინა

მიხაილოვიჩის ბუნდოვანი მომავალი

სერბის ბედს დასკვნითი მატჩები გადაწყვეტს

სინიშა მიხაილოვიჩი

სერია A-ს მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი მთავარი იმედგაცრუება ფლორენციის „ფიორენტინაა“ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს, გუნდი ასე თუ ისე თამაშობს. „მილანთან“ დამარცხებამდე სულაც ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო, მაგრამ სატურნირო ცხრილში ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. „ვიოლა“ ევროტურნირებს მიღმა რჩება, არადა, კლუბის მესვეურთა მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება გახლდათ. მესვეურებზე ჩამოვარდა სიტყვა და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გუნდის წარუმატებელ ასპარეზობაში მათი პასუხისმგებლობაც ძალიან დიდია - ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში დიდად არ უაქტიურიათ, თანაც ტრავმის გამო **სტევან იოვეტიჩის** სახით, შეტევის ერთ-ერთი ლიდერი დაკარგეს და სრულიად ნათელი იყო, რომ წინა ხაზს გაძლიერება ესაჭიროებოდა. „ვიოლას“ წარუმატებელ ასპარეზობაზე მოსაზრება გუნდის ყოფილმა ლიდერმა, **ანჯელო დი ლივიომ** გამოთქვა:

„ყველა ზე ცუდი ის არის, რომ არ იგრძნობა პოტენციალი - გუნდს თითქოს არ შესწევს იმის ძალა, რომ შეტევაში უფრო კრეატიული იყოს, დაცვასა და შუა ხაზში კი სტაბილური. კლუბის მესვეურებმა ზაფხულში იპასიურეს, რაც ძვირად უჯდებათ და დღევანდელი გადასახედიდან, ძნელი სათქმელია, როგორ უნდა გამოსწორდეს ასეთი მძიმე მდგომარეობა. ალბერტო ჯილარდინო მეტად რთულ ვითარებაშია - ის ერთადერთი ფორვარდია სერია A-ში, ვისთანაც ბურთი უბრალოდ არ მიდის. მიუხედავად ამისა, საკუთარ მოვალეობას ასრულებს და გოლებს იტანს. მართალია, დაქვეითებას გადაურჩნენ, მაგრამ ასეთი ტრადიციების მქონე გუნდი ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა იბრძოდეს. მოკლედ, აუცილებელია, რომ დელავალეებმა ჯიბეზე ხელი გაიკრან და ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი დაიმატონ“.

ყველაზე აქტუალური თემა მაინც **სინიშა მიხაილოვიჩი** და მისი ფლორენციული მომავალია. ჟურნალისტთა ნანილი მიიჩნევს, რომ გამოსავალი მის გათავისუფლებაში და ახალი მწვრთნელის მოყვანაშია - ამ მოსაზრებას არ იზიარებს კლუბის სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო**: *„არა მგონია, რომ მთავარი პრობლემა მწვრთნელში იყოს, რადგან არ შეიძლება, რომ გუნდი მხოლოდ ერთი ადამიანის გამო იგებდეს, ან აგებდეს. მიზნად მართლაც ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა დავისახეთ, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. შეიძლება ვიმე კმაყოფილი იყოს იმით, რომ კატასტროფული სტარტის შემდეგ, მდგომარეობა საგრძნობლად გამოვასწორეთ და ცხრილის შუაგულში ავინაცვლეთ, მაგრამ ჩვენთვის ეს საკმარისი არაა. უკვე მომავალ სეზონზე ვფიქრობთ და ბუნებრივია, რომ გაძლიერებას ვაპირებთ. რაც შეეხება სინიშა მიხაილოვიჩს, ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული თუ როგორ დავასრულებთ ჩემპიონატს. მისი მოსაზრებებიც გვაინტერესებს, ახლო მომავალში აუცილებლად დავსხდებით და ყველაფერზე ვიმსჯელებთ“.*

მართალია, კორვინო მიხაელოვიჩის კრიტიკას ერიდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არც დაცვაში უდგას. მეტიც, პირდაპირ განაცხადა, რომ თუ დასკვნით პაექრობებში „ვიოლამ“ არასტაბილურად იასპარეზა, სავარაუდოდ, სერბს პოსტის დატოვება მოუწევს. თავად სინიშა წასვლაზე არ ფიქრობს და ცდილობს, მთელი კონცენტრაცია მიმდინარე სეზონის დარჩენილ ტურებზე მოახდინოს:

„ხშირად ხდება, როდესაც წარუმატებლობა მხოლოდ ერთ ადამიანს ბრალდება, მაგრამ ამ შემთხვევაში, განსხვავებული ვითარებაა. კლუბის მესვეურები ნდობას მიცხადებენ და იმედია, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება. აშასთან, გულშემატკივრების მხრიდან ვგრძნობ დიდ სიყვარულს და მხარდაჭერას, რაც განსაკუთრებულად მახარებს. ისე, მწვრთნელი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს - ჩვენი პროფესია ბევრ მოგ ზაურობას და ჩემოდნებზე ჯდომას ნიშნავს, მაგრამ ფლორენციიდან აბარგებას ჯერ მაინც არ ვაპირებ. სეზონის დარჩენილ შეხვედრებზე ვარ კონცენტრირებული და მსურს, რომ მაქსიმალური რაოდენობის ქულები ავიღოთ“.

მართალია, მიხაილოვიჩს წასვლის შესახებ სიტყვის გაგონებაც არ უნდა და არც კლუბის მესვეურები ემუქრებიან სერბს, მაგრამ იტალიურ პრესაში მაინც აქტიურად ინერება სინიშას შესაძლო შემცვლელების შესახებ. „გაძეტას“ ვერსიით, სერბი შესაძლოა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **დუნგამ** შეცვალოს. მართალია, დუნგა ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ცნობისთვის, დუნგას კანდიდატურა ზამთრის სატრანსფერო პერიოდშიც განიხილებოდა, მაგრამ მაშინ მიხაილოვიჩის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს. კიდევ ერთი კანდიდატურა, რომელსაც იტალიურ პრესაში სერბის შემცვლელად განიხილავენ, **კლაუდიო რანიერია**. „რომას“ ექთთავკაცი უსაქმოდ გახლავთ და თუ შეთავაზება ექნება, წესით დიდი სიამოვნებით უნდა დათანხმდეს. მისი კომენტარი სწორედ ამაზე მეტყველებს: *„ჯერჯერობით, არავითარი შეთავაზება არ მიმიღია და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან „ფიორენტინას“ ჰყავს მთავარი მწვრთნელი, რომელიც მუშაობას აგრძელებს. მიხაელოვიჩს ძალიან დიდ პატივს ვცემ და მიმაჩნია, რომ შესანიშნავი სპეციალისტია. ისე კი, ფეხბურთში დაბრუნების დიდი სურვილი მაქვს და ადრე თუ გვიან, ამას აუცილებლად გავაკეთებ. „ფიორენტინა“? - ეს გუნდი ყოველთვის მესიმპათიურებოდა თავისი ბრწყინვალე გულშემატკივრებით“.*

ლაშა წიკლაური

● ბაიერნი

ბასტიან შვაინშტაიგერი ლევერკუზენთან ალბათ ვერ ითამაშებს

შვაინი ძალიან საეჭვოა

კრაფტი და ოტლი კოზიაშვილთან, აიევი მიუნხენში?

დიდი შანსია, რომ „ბაიერნს“ კვირას, „ლევერკუზენთან“ უმნიშვნელოვანეს მატჩში **ბასტიან შვაინშტაიგერი** დააკლდეს. რეკორდმაისტერის ერთ-ერთმა ლიდერმა გუშინდელ ვარჯიშზე, **არიენ რობენთან** ორთაბრძოლისას ტრავმა მიიღო და ექიმებს ეჭვი ეპარებათ, კვირამდე გამოჯანმრთელება მოასწროს, მაგრამ პირობას დებენ, რომ შვაინის ფეხზე დასაყენებლად ყველაფერს გააკეთებენ.

შვაინშტაიგერის არყოფნა „ბაიერნისთვის“ სერიოზული პრობლემა იქნება, რადგან დროებითი მწვრთნელი **ანდრის იონკერი** „ლევერკუზენთან“ ისედაც ორ წამყვან ფეხბურთელს ვერ გამოიყენებს: **არიენ რობენი** და **ჰოლგერ ბადშტუბერი** დისკვალიფიცირებულები არიან.

მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებს ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები უკვე დარწმუნებით წერენ, რომ ახალგაზრდა მეკარე **თომას კრაფტი** ზაფხულში „ბაიერნს“ დატოვებს. ცნობა გუშინ „ზუდდოიჩე ცაითუნგმა“ საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ კრაფტი სავარაუდოდ ბერლინის „ჰერტაში“ გადავა და **ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელი გახდება - როგორც იცით, კობის გუნდი მეორე ბუნდესლიგაში პირველ ადგილზეა და ელიტაში ბრუნდება. კრაფტის გარდა, „ჰერტას“ ხელმძღვანელები „ბაიერნის“ საყრდენ ნახევარმცველ **ანდრეას ოტლსაც** ეპატიჟებიან.

ამავდროულად, მიუნხენელები ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე ზრუნვას აგრძელებენ და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, თვალი **ანდრე აიევს** უკვე ძალიან სერიოზულად დაადგეს. „მიუნხენერ თაგესცაითუნგის“ ცნობით, რეკორდმაისტერის მესვეურებმა უკვე წამოიწყეს მოლაპარაკებები მარსელის „ოლიმპიკთან“ - 21 წლის აიევი სწორედ ფრანგული გრანდის ღირსებას იცავს. გაირკვა ისიც, რომ „ოლიმპიკი“ აიევს 12 მილიონ ევროდ აფასებს. „თაგესცაითუნგის“ ცნობით, ბავარიულ გრანდს მისი შეძენა ყოფილმა ფეხბურთელმა, **ვილი სანიოლმა** ურჩია, რომელიც საფრანგეთში „ბაიერნის“ სკაუტად მუშაობს.

გოტფრიდ ლენცი

● ინტერი

შაჰინი მორაგისაც მოუნდა


მორატი მომავალ სეზონზე დაფიქრდა

ITALIURI სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინტერის“ მესვეურები დორტმუნდის „ბორუსიის“ ფეხბურთელით, **ნური შაჰინით** არიან დაინტერესებულნი და მის გადაბირებას ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში შეეცდებიან. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა „ნერაძურის“ სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ**:

„შაჰინი ძალიან კარგი ფეხბურთელია და ვფიქრობ, რომ საინტერესო ვარიანტია გუნდის გასაძლიერებლად. ამიტომ, ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მის გადასაბირებლად გერმანელებთან მოლაპარაკება წამოვიწყოთ. წარმოდგენა არ მაქვს რა ფასი შეიძლება დაადონ ნურის, მაგრამ ფაქტია, რომ მისი გადაბირებით დაინტერესებულნი ვართ“.

მოკლე კომენტარი გააკეთა თავად ფეხბურთელმა და განაცხადა, რომ კარგად იცის მისით ევროპული გრანდების დაინტერესების შესახებ და ეს ძალიან სიამოვნებს. თუმცა, იქვე დასძინა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ მიმდინარე სეზონის დასკვნით ეტაპზე და გერმანიის ჩემპიონატის დარჩენილ ტურებზეა კონცენტრირებული.

გერმანული სპორტული მედიის ცნობით, შაჰინის გადაბირება მადრიდის „რეალის“ და ლონდონის „ჩელსის“ მესვეურებსაც სურთ, ასე რომ, მილანელებს სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევთ. გამომდინარე აქედან, ჟურნალისტთა ვარაუდით, შაჰინის სატრანსფერო ფასი მინიმუმ 20 მილიონი ევრო იქნება. თუ **მასიმო მორატის** მიზნის მიღწევა სურს, ვაჭრობა სწორედ ამ თანხიდან უნდა დაიწყოს. თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ შაჰინის კონტრაქტში ერთი მეტად უცნაური პუნქტია, რომლის თანახმადაც მისი გადაბირება „რეალს“ მხოლოდ 6 მილიონ ევროდ შეეძლება. თუ ეს ამბავი სიმართლეა და მადრიდელებს მართლაც სურთ ნურის გადაბირება, „ინტერი“ აშკარად ნამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ლაშა წიკლაური

● იუვენტუსი

იუვეს სკაუტები მოსკოვში

ტურინის „იუვენტუსის“ სკაუტები მოსკოვში იმყოფებოდნენ, სადაც ორ ფეხბურთელს დააკვირდნენ. არ გეგონოთ, რომ „ვეკია სენიორა“ რუსეთში მოასპარეზე მოთამაშეებით იყო დაინტერესებული - საქმე იმაშია, რომ ტურინელებს „პორტუს“ მცველის და ნახევარმცველის გადაბირება სურთ, ეს გუნდი კი წუხელ ევროპის ლიგის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკს“ შეხვდა.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ტურინელთა ინტერესის სფეროში მცველი **როლანდო** და ნახევარმცველი **ფერნანდო** არიან. პირველმა **მოჰამედ სისოკო** უნდა შეცვალოს, რომელიც ზაფხულში დატოვებს გუნდს, მეორე კი უბრალოდ შესანიშნავ სეზონს ატარებს და მისი სახით, ტურინელებს დაცვის გაძლიერება სურთ. მით უმეტეს, როლანდო უნივერსალია და თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც ცენტრში, ისე ფლანგზე.

ლაშა წიკლაური

როლანდო

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩები

გაგიკვირდებათ: შალკე მანჩესტერსაც ემუქრება

ინტერში ეპოქა დასრულდა, გელზენკირხენში დაიწყო

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

შალკე (გერმანია) 2:1 ინტერი (იტალია)

13 აპრილი. გელზენკირხენი. აუფ შალკე. 54 142 მაყურებელი

პირველი მატჩი 5:2

შალკე (4-4-2): ნოიერი - უჩიდა, მეტცელდერი, ჰოვედესი, სარაჩი - ბუმიოჰანი (73. დრაქსლერი), მატიპი, პაპადოპულოსი, ხურადო (87. შმიტცი) - რაული, ედუ (77. ხარისტეასი).

ინტერი (4-4-2): ულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, ლუსიო, ნაგატომო - სტანკოვიჩი (46. პანდევი), ტიაგო მოტა, სნეიდერი (80. კოუტინიო), ძანეტი - ეტო'ო, დ. მილიტო.

გოლები: 1:0 რაული (45), 1:1 ტიაგო მოტა (49), 2:1 ჰოვედესი (81)

არბიტრი: სკომინა (სლოვენია)

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერს" პირველი მატჩი, თანაც საკუთარ მოედანზე, 2:5 ჰქონდა წაგებული, სამეული ეტო'ო მაინც ოცნებობდა ნახევარფინალში გასვლაზე. ოცნებას კაცი არ მოუკლავს, „შალკემ" კი „ინტერი" საპასუხო შეხვედრაშიც დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული გათამაშებას გამოთიშა. „ინტერის" გავარდნით, ამ გუნდისთვის გარკვეული ერა დასრულდა, „შალკესთვის" კი პირიქით - დაიწყო. შარშანდელი ტრიუმფატორი (იტალიის ჩემპიონობა, თასი, ჩემპიონთა ლიგა), ევროპის ყველაზე ელიტარულ საკლუბო ტურნირს ძალიან სამარცხვინოდ გამოეთიშა. „შალკე" კი ნახევარფინალშია, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედი" ელის. პირველი მატჩი გელზენკირხენში, 26 აპრილს გაიმართება, საპასუხო კი 3 მაისს, „ოლდ ტრეფორდზე".

მატჩის წინ

გელზენკირხენულ კლუბს ლაზარეთიდან **კრისტოფ მეტცელდერი** დაუბრუნდა - სპეციალური, დამცავი ნიღბით. შესაბამისად, **ჯოელ მატიპმა**, რომელიც მილანში სწორედ მეტცელდერს ცვლიდა, ნახევარდაცვის ცენტრში გადაინაცვლა, სადაც **პაპადოპულოსთან** ერთად, საყრდენი ნახევარმცველების ახალგაზრდული ტანდემი შექმნა. დისკვალიფიცირებული **ჯეფერსონ ფარფანი** კი, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე, **ალექსანდერ ბაუმიოჰანმა** შეცვალა.

„ინტერის" ძირითად შემადგენლობაში კი ორი ცვლილება ვიხილეთ: წინა მატჩის უსუსტესი წერტილის, **კივუსა** და **ესტებან კამბიასოს** ნაცვლად, სასტარტოში **ლუსიო** და **ნაგატომო** ვიხილეთ. **ლეონარდომ** ტაქტიკა შეცვალა და 4-3-1-2-დან 4-3-3-ზე გადაერთო, **მანუელ ხურადოსთვის** თვალყურის დევნება კი გამოცდილ **ხავიერ ძანეტის** დაავალა.

რეაქციები

კლემენს ტიონიესი („შალკეს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე): *„ეს სასწაულია, ნამდვილი სასწაული! ვამაყობ ამ გუნდით და ყველას ვულოცავ გამარჯვებას. წარმატებამ არ უნდა დაგვაბრმავოს, მაგრამ პირველ მატჩშიც და დღესაც, მილანელებს ვუჩვენეთ, რატომაა ბუნდესლიგა სერია A-ზე უკეთესი. დავამტკიცეთ, რომ „შალკე" ძალიან ძლიერი გუნდია, რაც ახლა „მანჩესტერ იუნაიტედსაც" უნდა დავუმტკიცოთ."*

რალფ რანგნიკი („შალკეს" მწვრთნელი): *„ორივე შეხვედრაში ძალიან კარგად ვითამაშეთ. მილანში დავამტკიცეთ, რომ ძალიან მაგარი შეტევების განხორციელება შეგვიძლია, დღეს კი ვაჩვენეთ, რომ თავის დაცვაც კარგად გამოგვდის. ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა ჩვენს კართან მხოლოდ ორი რეალური საგოლე მომენტი შექმნა. ვფიქრობ, ეს უდიდესი მიღწევაა!"*

რაული (შალკე): *„დაუჯერებელია, ჩვენ ნახევარფინალში ვართ! კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია - მთავარია, ძალიან მოინდომო. თუ „ინტერი" გავაგდეთ, რატომ ვერ უნდა მოვუგოთ „მანჩესტერს"? ფინალზე ვოცნებობ, „შალკესა" და „რეალის" ფინალზე!"*

ლეონარდო („ინტერის" მწვრთნელი): *„პირველი მატჩი ძალიან დიდი ანგარიშით წავაგეთ, რამაც საპასუხო შეხვედრისთვის ძალიან დაგვაკომპლექსა. მიუხედავად ამისა, გვჯეროდა, რომ ნახევარფინალში მაინც გავიდოდით, მაგრამ ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო."*

TOP ფეხბურთელი

გენედიქტ ჰოვედესი (შალკე)

ცენტრალური მცველი, რომელსაც გერმანიაში ჯერ ისევ არ აფასებენ ისე, როგორც იმსახურებს, რანგნიკის ხელში ძალიან კარგად თამაშობს - ისე, როგორც უმაღლესი დონის მცველს ეკადრება. ჰოვედესმა **მილიტოს** აბსოლუტურად არაფერი გააბედვინა! მეტცელდერთან და ორივე საყრდენთან ერთად კი, „შალკეს" ცენტრში გადაულახავი ზღუდე შექმნა და თანაც, გამარჯვების გოლიც მის ანგარიშზეა. **ბენედიქტ ჰოვედესი** მოედანზე აშკარად საუკეთესო იყო.

FLOP ფეხბურთელი

სამუელ ეტო'ო (ინტერი)

თუ „ინტერის" გულშემატკივრები ვინმესგან რამეს ელოდნენ, პირველ რიგში ეს სწორედ კამერუნელ თავდამსხმელზე ითქმის. რაკი „შალკეს" მარჯვენა ნახევარმცველი ფარფანი ვერ თამაშობდა, ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ეტო'ოს მეტი სივრცე და თავისუფლება მიეცემოდა. რეალურად ასეც იყო, რადგან „შალკეს" მარჯვენაფლანგელები, მცველი უჩიდა და ნახევარმცველი ბაუმიოჰანი კარგად ვერ თამაშობდნენ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ისინი კომბინაციური ფეხბურთით მოექცია წნეხში, ეტო'ო უმეტესად ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას. არადა, მესი არ არის...

მსაჯი

ეს მატჩი უფრო დაძაბული იყო, ვიდრე პირველი შეხვედრა და მიუხედავად ამისა, სლოვენიელ **დამირ სკომინას** სადავეები ხელიდან არ გაექცა - თუმცა, რამდენჯერმე ნამდვილად იყო ამის ზღვარზე. ჰოვედესს პირველი გოლი რომ არ ჩაუთვალა, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

ანალიზი

„ინტერს" ოთხი (!) გოლის გატანა სჭირდებოდა და შესაბამისად, „შალკეს" თავიდანვე მედგრად შეუტია. გელზენკირხენელთა მთავარ მეპასეს, ხურადოს ძანეტი აკონტროლებდა, ნერაძურის წინა ხაზზე კი, ეტო'ო, მილიტო და **სნეიდერი** პოზიციებს ხშირად ცვლიდნენ. მიუხედავად ამისა, შალკელები ერთხელაც არ დაბნეულან.

დაახლოებით მე-20, 25-ე წუთიდან, „ინტერს" შეტევები უფრო და უფრო კარგად გამოსდიოდა - ლეონარდოს გუნდმა, რანგნიკის სამწყსო საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვა. აქედან გამომდინარე, მოულოდნელი და ცოტათი ალოგიკური იყო გოლი, რომლითაც რაულმა „შალკე" დააწინაურა.

თუ პირველი ტაიმი ტაქტიკური და პოზიციური თამაშით იყო დატვირთული, მატჩის მეორე ნახევარი ძალიან ჰგავდა „ჯუზეპე მეაცაზე" გამართულ უხვგოლიან თამაშს - პირველ რიგში იმიტომ, რომ „ინტერი" მაქსიმალურად გაიხსნა. თანაც, მილანელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და რაკი მოედანზე **გორან პანდევიც** გამოჩნდა, რითაც ლეონარდომ წინა ხაზი კიდევ უფრო მეტად გააძლიერა, მილანელები დაცვაზე საერთოდ აღარ ფიქრობდნენ და უკვე უკანმოუხედავად უტევდნენ. შესაბამისად, „შალკეს" ბრწყინვალე კონტრშეტევების შანსი გაუჩნდა. მაგრამ **ედუ**, ბაუმიოჰანი და მატიპი ბევრ არაზუსტ პასებს აკეთებდნენ...

დაახლოებით 70-ე წუთისთვის, გელზენკირხენელები მიხვდნენ, რომ მილანელებს ძალებიც აღარ ჰქონდათ და სასწაულისაც აღარ სჯეროდათ. „პროფესორი რალფის" ბიჭებმა ბოლოს და ბოლოს მოახერხეს ხერიანი კონტრშეტევა და ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე აღმოჩენილმა ჰოიოედესმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

„შალკეს" ნახევარფინალში გასვლას შემთხვევითობას ვერავინ უწოდებს. თამაამად შეიძლება ითქვას, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა მრისხანე მეტოქე ყველა ასპექტში დაჩაგრა და სამართლიანად გაანადგურა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „ინტერის" გაგდების შემდეგ, შალკელები „მანჩესტერსაც" ემუქრებიან.

„ინდივიდუალური თვალსაზრისით, „ინტერს" „შალკეზე" გაცილებით უკეთესი შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ ჩვენ ორივე შეხვედრაში უფრო ჭკვიანურად, უკეთესი ტაქტიკით ვითამაშეთ. ეს უდიდესი წარმატება მეტნილად რალფ რანგნიკის დამსახურებაა", - ასეთია **მანუელ ნოიერის** მოსაზრება.

რაული გამარჯვებას ფანებთან ერთად ზეიმობდა

მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში 2003 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ

რეალმა ბარსასკენ გაისეირნა

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

ტოტენჰემი (ინგლისი) 0:1 რეალი (ესპანეთი)

13 აპრილი. ლონდონი. უაით ჰართ ლეინი. 36 000 მაყურებელი

პირველი მატჩი 0:4

ტოტენჰემი (4-4-1): გომეში - ჩორლუკა, გალასი, დოუსონი, ასუ-ეკოტო - ლენონი (61. დეფო), ჰადლსტოუნი (71. სანდრო), მოდრიჩი (83. კრანჩარი), ბეილი - ვან დერ ვაარტი - პავლიუჩენკო.

რეალი (4-2-3-1): კასილიასი - სერხიო რამოსი (57. გრანერო), რიკარდო კარვალიო, ალბიოლი, არბელოა - ჩაბი ალონსო (75. ბენზემა), ხედირა - რონალდო (65. კაკა), იოზილი, მარსელო - ადებაიორი.

გოლი: 0:1 რონალდო (50)

არბიტრი: რიცოლი (იტალია)

მაშ ასე: ფეხბურთის გულშემატკივრებმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში საოცნებო წყვილი მივიღეთ: „რეალი" „ბარსელონას" წინააღმდეგ! მადრიდელებს „ტოტენჰემი" საკუთარ მოედანზე 4:0 ჰყავდათ დამარცხებული და ინგლისური კლუბი „უაით ჰართ ლეინზეც" (მართალია, მოკრძალებული ანგარიშით, 1:0, მაგრამ მაინც) დაამარცხეს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2003 წლის შემდეგ, „სამეფო გუნდი" პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. იმასაც გაგახსენებთ, რომ მაშინ „რეალს" ფინალისკენ მიმავალი გზა ტურინის „იუვენტუსმა" გადაუკეტა.

მატჩის წინ

„ტოტენჰემის" თავკაცს **ჰარი რედნაპს** ტაქტიკა არ შეუცვლია და გუნდი ისევ 4-4-1-1-ით ათამაშა. დისკვალიფიცირებული **პიტერ კრაუჩის** ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში **რომან პავლიუჩენკო** ვიხილეთ, **ჯერმეინ დეფო** კი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. ხოლო ნახევარდაცვის ცენტრში, რედნაპმა **სანდრო ჰადლსტოუნით** შეცვალა.

მადრიდელთა მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** კი უდიდეს რისკზე წავიდა, როცა **კარვალიოს, რამოსისა** და **ალბიოლის** სახით, სასტარტოში სამი ისეთი ფეხბურთელი ათამაშა, რომლებსაც უკვე მიღებული ჰქონდათ გაფრთხილებები და ყვითელი ბარათები გუშინწინაც რომ დაემსახურებინათ, „ბარსელონასთან" პირველ შეხვედრაში დისკვალიფიცირებულები იქნებოდნენ. სამიდან მხოლოდ კარვალიოს არ გაუმართლა, რომელიც „ბარსელონასთან" პირველ მატჩს გამოტოვებს.

აი, **ჰეპემ** კი, სწორედ ამ შეხვედრით მოიხადა დისკვალიფიკაცია და „ბარსასთან" მოედანზე გასვლა შეეძლება. რაც შეეხება **ანხელ დი მარიას** - ჟოზემ არგენტინელი სკამზე დატოვა და ამის ნაცვლად, მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე **მარსელო** ათამაშა.

რეაქციები

ჟოზე მოურინიო („რეალის" მწვრთნელი): *„მე ყველა თამაშის მოგება მინდა და ფეხბურთელებსაც ვუთხარი, მიუხედავად იმისა, რომ სამბურთიანი სხვაობით ნაგებაც არაფერს გვავნებს, „ტოტენჰემს" სტუმრადაც უნდა მოვუგოთ-მეთქი. ჩვენ ვერავის ვერაფერს ვაჩუქებთ, მათ შორის, „ტოტენჰემსაც". ახლა, „ბარსელონასთან" ოთხი უმძაფრესი ბრძოლა გველის. „ბარსა" გენიალური გუნდია და ხშირად მაშინაც იგებს, როცა ცუდად თამაშობს. ფინალში გვინდა, „ბარსელონა" უნდა გავაგდოთ!"*

სამი ხედირა (რეალი): *„ბარსელონასთან" ზედიზედ ოთხი დუელი უდიდესი გამოწვევაა - ჩვენც სწორედ ეს გვინდოდა. ესპანეთის ჩემპიონობის შანსი ფაქტობრივად აღარ გვაქვს. ამიტომაც, ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის თასი აუცილებლად უნდა მოვიგოთ."*

TOP ფეხბურთელი

ჩაბი ალონსო (რეალი)

მსოფლიოს ჩემპიონმა ამ მატჩშიც დაამტკიცა, რომ „რეალისთვის" უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. **ჩაბო ალონსომ** მოედნის ცენტრში ყველა ხვრელი იდეალურად გადაკეტა და ხშირად, მესამე ცენტრალური მცველის რანგში გვევლინებოდა, განსაკუთრებით კი **მოდრიჩი** გაამწარა. ესპანელ საყრდენს იდეალურად ახასიათებს მე-60 წუთზე დაფიქსირებული მომენტი: ჰადლსტოუნმა მას უნებურად სახეში მოარტყა და ალონსოს ტუჩიდან სისხლი წამოუვიდა, მიუხედავად ამისა, მან ბოლომდე იბრძოლა, **ბეილს** ფეხებში სუფთად ჩაუვარდა და ბურთი აართვა.

FLOP ფეხბურთელი

გომეში (ტოტენჰემი)

ვერ ვიტყვით, რომ „ტოტენჰემის" მეკარეს ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ **კრიშტიანო რონალდოს** გოლის მომენტში ისეთი შეცდომა დაუშვა, ეს საკმარისი გახდა, რომ მატჩის Flop ფეხბურთელად დაგვესახელებინა. „ტოტენჰემს" მასზე უკეთესი მეკარე რომ ჰყოლოდა, ნახევარფინალში მაინც ვერ გავიდოდა, მაგრამ გომეშმა ამ მატჩს უმცირესი ინტრიგაც მოუსპო.

მსაჯი

იტალიელმა **ნიკოლა რიცოლიმ** ძალიან კარგად იმსაჯა, მისი ყველა გადაწყვეტილება მართებული გახლდათ.

ანალიზი

შეხვედრის წინ მხოლოდ „ტოტენჰემის" უკიდურესად ოპტიმისტ ფანებს ჰქონდათ იმის იმედი, რომ ინგლისური კლუბი „რეალის" ბარიერს მაინც გადალახავდა, მაგრამ მოურინიოს გუნდმა მათ იმედის ნაპერწკალი პირველივე წუთებში ჩაუქრო. „რეალმა" ძალიან კარგად დაიწყო, „ტოტენჰემს" კი აზრზე მოსასვლელად დაახლოებით ათი წუთი დასჭირდა. მადრიდელებმა ტემპს უკლეს და მხოლოდ იმაზე დაიწყეს ზრუნვა, რომ ინგლისელები მათ საჯარიმოს ვერ მიახლოვებოდნენ. რედნაპის გუნდი თავის შანსს მეტწილად ფლანგებიდან ეძებდა, სადაც ბეილი და ლენონი აქტიურობდნენ.

მაგრამ „ტოტენჰემს" ცენტრში კრეატიულობა აკლდა - მოდრიჩი ალონსოს სახით „საიმედო ხელში" იყო და **ვან დერ ვაარტიც** არ ჩანდა. მადრიდელები თამაშს აკონტროლებდნენ.

მეორე ტაიმში რედნაპმა ლენონის ნაცვლად მოედანზე დეფო შეუშვა და 4-4-2-ზე გადაერთო, მაგრამ „ტოტენჰემმა" მაინც ვერაფერი გაანყო - თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შორეულ დარტყმას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მილანის" გამგზებმა „ტოტენჰემმა" „რეალს" წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

გვერდი მოამზადა

გოტფრიდ ლენცმა

● კლასიკოს წინ

მესი VS მოურინიო

არგენტინელს ჯერ განსაკუთრებულის გუნდების კარში არ გაუტანია

იცით თუ არა, რომ **ლეო მესის** ჯერ არასოდეს გაუტანია იმ გუნდისთვის, რომელსაც **ჟოზე მოურინიო** წვრთნიდა? თანაც, მას საამისო 8 ოფიციალური და ერთიც არაოფიციალური შანსი მიეცა, რაც ასეთი კაშკაშა ვარსკვლავისთვის არცთუ ცოტაა. არადა, საუბარია ფეხბურთელზე, რომელმაც ახლახან „დონბას არენაზე" საკლუბო რეკორდი დაამყარა - ერთ სეზონში 48 გოლი გაიტანა, თანაც სეზონის დასრულებამდე თვეზე მეტი რჩება. სხვათა შორის, სწორედ მესი და მოურინიო არიან თავიანთ საქმეში ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირები: პორტუგალიელი მწვრთნელთა შორის ყველაზე მაღალი შემოსავლით დაიკვეხნის, არგენტინელი - ფეხბურთელებში.

ლეო მესი და ჟოზე მოურინიო

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მიუახლოვდა კარიერაში 200-გოლიან ნიშნულს. ის უკვე მეოთხეა „ბარსელონას" ყველა დროის ბომბარდირთა შორის. თუკი ორ გოლსაც გაიტანს, ის ესპანეთში პირველი იქნება, ვინც სეზონში 50-გოლიან ნიშნულს მიაღწევს. მაგრამ, ვაგლახ, „ლა პულგას" გოლთა „გალერეადან" ერთიც არაა ჟოზე მოურინიოს გუნდის კარში გატანილი. ლეო მესი დიდი ენთუზიაზმით ელის ხვალინდელ „ელ კლასიკოს", რათა ეს „გაუგებრობა" აღმოფხვრას.

მესი და მოურინიო ერთმანეთისთვის უცხოები სულაც არ არიან. ბოლობოლო პორტუგალიელი ერთი ხანობა **ბობი რობსონისა** და **ლუის ვან გაალის** ასისტენტად მუშაობდა „კამპ ნოუზე". თუმცა მაშინ მათი გზები არ გადაკვეთილა - 13 წლის „ლა პულგა", რომ „ბარსელონაში" მიიყვანეს, „განსაკუთრებული" იქიდან 2 თვის წასული იყო.

პირველად მათი გზები სამნახევარი წლის შემდეგ გადაიკვეთა; აი, საოცარი დამთხვევაც: ლეომ სულ პირველად „ბარსას" ძირითადი გუნდის ფორმა „პორტუსთან" ამხანაგურ მატჩში მოირგო. იმ „პორტუსთან", რომელსაც ჟოზე მოურინიო წვრთნიდა. თამაში „დრაგაუზე" ჩატარდა და „პორტუმ" 2:0 მოიგო. სხვათა შორის, იმ თამაშში მესიმ ყველას (მათ შორის, ჟოზესაც) მოაწონა თავი. ის შეცვლაზე შევიდა. და კინაღამ გაიტანა. თითქმის ცარიელი კარის წინ 16 წლის არგენტინელმა გადაწყვიტა ბოლო მცველის მოტყუებაც და ამისთვის დაისაჯა. ეს იყო ამხანაგური თამაში და მას მესის ცდაში არ „ჩავუთვლით". ამის შემდეგ კი მესისა და მოურინიოს გზები 8-ჯერ გადაიკვეთა. ვნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები.

1. 2006 წლის თებერვალი:
ჩელსი-ბარსელონა 1:2

ჟოზე მაშინ „ჩელსის" წვრთნიდა, არგენტინელი კი პირველი გუნდის უცვლელი წევრი იყო. მესი ამ თამაშის ნამდვილი ვარსკვლავი იყო, დაანოკა „ჩელსის" დაცვა, კარში 5-ჯერ დაარტყა და ხუთჯერვე - ზუსტად. გოლის გატანასთან ლეო ყველაზე ახლოს ბოლოსკენ იყო, როცა მისი „გასროლა" ინგლისელთა კარის ხარიხამ უკუაგდო. ამ თამაშში მან შეტევის მარჯვენა ფლანგზე ითამაშა. სწორედ ამ თამაშში მოხდა ინციდენტი, რამაც საბოლოოდ „ბარსას" მოუტანა ნარმატება - ბასკი **ასიერ დელ ორნო** დაიღალა მესის დევნით და ისე ეუხეშა მას, რომ მოედნიდან მიაბრძანეს.

2. 2006 წლის მარტი:
ბარსელონა-ჩელსი 1:1

საპასუხო მატჩის დასაწყისში მესი ძალზე აქტიური იყო, მაგრამ 25-ე წუთზე ის ატირებული სტოვებდა მოედანს - ლეომ მარჯვენა ფეხის კუნთი გაიწყვიტა. ამ ტრავმამ ლეოს მთელი დარჩენილი სეზონი გაუცდინა.

3. 2006 წლის ოქტომბერი:
ჩელსი-ბარსელონა 1:0

„ჩელსი" და „ბარსელონა" ახლა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ ერთად. მესიმ ამ თამაშში ორი ძალიან კარგი შანსი გაუშვა ხელიდან, ჯერ მისი დარტყმული მეკარე **ილარიომ** აიღო, შემდეგ კი თავითვე ააცილა ბურთი კარს. **დიდიე დროგბამ** გაიტანა და მოურინიოს „ბარსაზე" შური აძიებინა.

4. 2006 წლის ოქტომბერი:
ბარსელონა-ჩელსი 2:2

ალბათ, ყველას ეს თამაში **ფრენკ ლემპარდის** უზადო დარტყმით და დროგბას მიერ ბოლო წუთზე შეგდებული გოლით ახსოვს. მესი შედარებით უკანა პლანზე იყო, ერთხელ ძალიან კარგი პასი მისცა **რონალდინიოს**, ილარიო კი არ შეუწუხებია. „ბარსასგან" გოლები სულ სხვებმა, **დეკუმ** და **გუდიონსენმა** გაიტანეს.

5. 2009 სექტემბერი:
ინტერი-ბარსელონა 0:0

სამი წლის შემდეგ ჟოზე მოურინიო ისევ გადაეყარა მესის, ახლა „ინტერთან" ერთად. ეს გუნდები ლიგის ერთ ჯგუფში მოხვდნენ. მესის ორჯერ შეეძლო გატანა - პირველ ტაიმში მას სასწაულებრივ (ცალი ხელით) აუღო **ჟულიო სეზარმა**, მატჩის მინურულს კი ბოლო მომენტში **კრისტიან კივუმ** იყოჩაღა. ნოემბერში უკვე „ბარსამ" 2:0 მოიგო, მაგრამ იმ შეხვედრაში მესის მონაწილეობა არ მიუღია - ის მთლად ჯანზე არ იყო და სათადარიგოთა სკამიდან უყურა თამაშს.

6. 2010 წლის აპრილი:
ინტერი-ბარსელონა 3:1

ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი. კატალონიელები აშკარა ფავორიტები იყვნენ, მაგრამ მოურინიოს გუნდისგან მოულოდნელი მარცხი იწვნიეს. წინა რაუნდში ლეომ 4 გოლი გაუტანა „არსენალს", მილანურ შეხვედრასაც მაგარ ფორმაში შეხვდა, მაგრამ მილანში არაფერი გამოუვიდა. არ დაგვავიწყდეს ერთი დეტალი, თუმცა მნიშვნელოვანი - იმ დროს ევროპის ცა ვულკანურ ფერფლს ჰქონდა დაფარული და ფრენები არ იყო, „ბარსელონას" იტალიაში ავტობუსით მოუწია ჩასვლა.

7. 2010 წლის აპრილი:
ბარსელონა-ინტერი 1:0

მოგება, რომელიც მარცხის ტოლფასი იყო, ჟოზემ ორი მატჩის ჯამში დაამარცხა „ბარსა" და „ინტერი" ფინალში გაიყვანა, შემდეგ კი ლიგა მოაგებინა. პირველ ტაიმში მესი დაახლოებით 15 მეტრიდან ურტყამდა სახიფათოდ. „ბარსა" უტევდა, „ინტერი" კი მონდომებით შლიდა კატალონიელთა შეტევებს, **პიკეს** გოლი კი საკმარისი არ აღმოჩნდა.

8. 2010 წლის ნოემბერი:
ბარსელონა-რეალი 5:0

ეს იყო მესისა და ჟოზეს პირველი დაპირისპირება ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში. ეს დაპირისპირება „ბარსას" სრული ტრიუმფით, ხოლო „განსაკუთრებულის" სრული კრახით კი დასრულდა, მაგრამ მესის არც ამ თამაშში გაუტანია გოლი. უკვე მე-4 წუთზე მან „რეალის" კარის ძელს მოარტყა ბურთი, ისედაც, სტუმართა მცველებს მესის ფინტები „ყელში ეჩხირებოდათ", მაგრამ საქმე არგენტინელის გოლამდე არ მისულა.

ჟოზე: ამქვეყნად ყველაფერი ხდება, მაგრამ ეს სიგიჟეა

ბოლო დროს იტალიაში სულ უფრო ბევრს საუბრობენ **კრიშტიანო რონალდოს** „მილანში" შესაძლო გადასვლაზე. ამბობენ, რომ მის სანაცვლოდ „სამეფო კლუბს" **ზლატან იბრაჰიმოვიჩსა** და ჯერაც გაურკვეველ თანხას შესთავაზებენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ **ჟოზე მოურინიო** იძულებული გახდა ეს ხმები გაებათილებინა.

„არ ვამბობ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან კარგად ვიცი, რომ საფეხბურთო სამყაროში შეუძლებელი არაფერია. ბერლუსკონის აქვს იმის შესაძლებლობა, რომ „რეალს" გამაოგნებელი წინადადება შესთავაზოს. მაგრამ კრიშტი „მილანში" ნამდვილი სიგიჟეა, რადგან „რეალს" მისი გაყიდვა არ სურს", - განაცხადა „სამეფო კლუბის" თავკაცმა.

სხვათა შორის, სწორედ მან ერთი კვირის წინ ისიც თქვა, რომ „რეალიდან" დაუყოვნებლივ წავა თუკი მის თანამემამულეს გაყიდიან, თუნდაც ეს შანტაჟად ჩამითვალონო.

„რონალდო ძალიან დიდი ფეხბურთელია და მისი შესაფერისი სატრანსფერო თანხის გადახდა ბუნებაში არც ერთ კლუბს არ შეუძლია. „რეალში" საბოლოო სიტყვა ფლორენტინო პერესს ეკუთვნის და დარწმუნებული ვარ, რომ „მილანის" გახსნილ მადას ის ძირშივე მოულებს ბოლოს".

შეგახსენებთ, რომ რონალდოს ტრანსფერი მსოფლიოს რეკორდია - 2009 წლის ზაფხულში ის „მანჩესტერ იუნაიტედმა" „რეალში" 94 მილიონ ევროდ გაყიდა. რონალდომ „რეალში" 80 თამაშში 73 გოლი გაიტანა, რაც ფენომენალური მიღწევაა.

● ევროპის ლიგა. საპასუხო მატჩები

14 აპრილი

სპარტაკი (რუსეთი)	2
პორტუ (პორტუგალია)	5

პირველი მატჩი 1:5

სპარტაკი (4-4-2): დიკანი - კ. კომბაროვი (46. დ. კომბაროვი), სუხი, შეშუკოვი, მაკეევი - მაკგიდი, რაფაელი (69. იბსონი), ალექსი, იაკოვლევი - ძიუბა, ველიტონი (46. არი).

პორტუ (4-3-3): ელტონი - ფუსილე (28. სეპუნარუ), როლანდო, ოტამენდი, ა. პერეირა - გუარინი, ფერნანდო, მოუტინიო (46. რუბენი) - ჰალკი, ფალკაო (72. ჯ. როდრიგესი), კ. როდრიგესი.

გოლები: 0:1 ჰალკი (28), 0:2 კ. როდრიგესი (45), 0:3 გუარინი (47), 1:3 ძიუბა (52), 1:4 ფალკაო (54), 2:4 არი (72), 2:5 რუბენი (89)

მაყურებელი: 20 000

14 აპრილი

ტვენტე (ჰოლანდია)	1
ვილიარეალი (ესპანეთი)	3

პირველი მატჩი 1:5

ტვენტე (4-3-3): ბოსხკერი - ტიენდალი, დუგლასი, ონიეკუ, ლეუგერსი - ბრამა (61. ლანდზაატი), იანსენი, ბუისე - რუისი (78. ბანინკი), იანკო (71. იონი), ბაირამი.

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპესი - მარიო, მუსაჩიო, მარჩენა (76. ორიოლი), კატალა - ბ. ვალერო (62. კანი), მატილია, ბრუნო, მუბარაკი - მ. რუბენი, როსი (73. ჰერესი).

გოლები: 1:0 ბაირამი (32), 1:1 როსი (60-პენ), 1:2 მ. რუბენი (84-პენ), 1:3 კანი (90)

გაძევება: ტიენდალი (59)

მაყურებელი: 15 000

იყო ევროპის, გახდა იბერიის ლიგა

14 აპრილი

ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	2
ბენფიკა (პორტუგალია)	2

პირველი მატჩი 1:4

პსვ (4-3-3): ისაკსონი - მანოლევი (85. ნილანდი), მარსელო (72. ბერგი), როდრიგესი, ტამატა (72. ვუკოვიჩი) - ბაკალი, ჰატჩინსონი, ვუიტენსი - ლაბიადი, ლენსი, ჯუჯაკი.

ბენფიკა (4-4-2): რობერტო - მ. პერეირა, ლუიზაო, ჟარდელი, კოუნტრაო - სალვიო (20. კ. მარტინში), ხ. გარსია, პეიშოტო, გაიტანი (79. აირტონი) - საგიოლა (67. აიმარი), კარდოსო.

გოლები: 1:0 ჯუჯაკი (17), 2:0 ლენსი (25), 2:1 ლუიზაო (45), 2:2 კარდოსო (63-პენ)

მაყურებელი: 20 000

14 აპრილი

ბრაგა (პორტუგალია)	0
დინამო (უკრაინა)	0

პირველი მატჩი 1:1

ბრაგა (4-2-3-1): არტური - პაულო სეზარი, ვანდინიო, პაულაო, სილვიო - კუსტოდიო, ვიანა - ალანი, სალინო, ლიმა (91. ელდერი) - მეიონგი (70. მოსორო).

დინამო (4-4-2): შოკკოვსკი - დ. სილვა, ხაჩერიდი (46. ალმეიდა), იუსუფი, პოპოვი - გუსევი, ერიომენკო, ვუკოვიჩი, იარმოლენკო - კრავეცი (65. გარმაში), მილევსკი.

გაძევება: პაულოსეზარი (29), პოპოვი (87)

მაყურებელი: 20 000

პორტუ და ვილიარეალი ნახევარფინალში გასვლას ზეიმობენ

შერცხვენა ისეთი უნდა, როგორც რუსთა „სახალხო გუნდი" შერცხვა ევროპის ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე - **ანდრე ვილას-ბოასის** მართლაც ბრწყინვალე „პორტუმ" ორი მატჩის ჯამში 10:3 დაამარცხა „სპარტაკი". გუშინ რუსებს არც მოსკოვურ სიცივეში დაჰყრიათ უკეთესი დღე, ვიდრე ერთი კვირის წინათ „დრაგაოზე" - **ანდრიი დიკანმა** ახლაც 5 გოლი გამოიტანა საკუთარი კარის ბადიდან. შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის ერთადერთი შემორჩენილი ქართველი **ჯანო ანანიძე** ტრავმირებულია და მას არც საპასუხო მატჩში უთამაშია. ასე რომ, რუსთა იმედთან ერთად ჩვენიც დასრულდა - წლეულს ტიტულის მფლობელი არ გვეყოლება.

არ ვიცით, შეძლებს თუ არა „პორტუ" ევროპის ლიგის მოგებას, მაგრამ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ერთით მეტი ანგარიშგასანევი ძალა რომ იქნება, ამას წყალი არ გაუვა.

ნახევარფინალში გასული ოთხივე გუნდი პირნეის ნახევარკუნძულიდანაა, სამი გუნდი პორტუგალიურია, ერთიც ესპანური. მართალია, პირველ თამაშებში ბევრი რამ გაირკვა, მაგრამ ბრძოლა ყველგან იყო - ის კი არა, „ბენფიკამ" კინაღამ ვერ გაუძლო „ეინდჰოვენის" შტურმს. ბრაგაში ბრძოლაც იყო, ჩხუბიც და წითელი ბარათებიც, მაგრამ გოლები არ გასულა და კიევის „დინამო" გათამაშებას შინ გაშვებული გოლის გამო გამოეთიშა. ერთი ხანობა აგებდა „ვილიარეალიც", მაგრამ, ცხადია „ტვენტეს" ეს თავგანწირვა თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის.

ნახევარფინალი

პირველი მატჩები
28 აპრილი
ბენფიკა-ბრაგა
პორტუ-ვილიარეალი

საპასუხო მატჩები
5 მაისი
ვილიარეალი-პორტუ
ბრაგა-ბენფიკა

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● მშვილდოსნობა. ევროპის დიდი პრიზი

უსიამოვნო ტრადიცია ამჯერადაც გაგრძელდა

სამწუხაროდ, ანტალიაში მიმდინარე ევროპის „დიდ პრიზზე“ მშვილდოსნებმა იმედები ბოლომდე ვერ გაგვიმართლეს - გუშინ გამართული პირადი პირველობის პლეი ოფს ექვსივე ჩვენებური ნაადრევად გამოეთიშა. მეტიც - ექვსიდან სამმა პირველივე შეხვედრა დათმო.

საკმაოდ დამაჯერებლად ჩატარებულმა საკვალიფიკაციო ეტაპმა ჩვენი მანდილოსნების გუშინდელი გამოსვლისადმი ინტერესი გაგვიძლიერა, მაგრამ სამწუხაროდ, უსიამოვნო ტრადიცია ამჯერადაც გაგრძელდა - ისინი შესარჩევში ყოველთვის კარგად ისვრიან, თუმცა პლეი ოფში ტემპს ვეღარ ინარჩუნებენ ხოლმე. არადა, როგორც ამბობენ, ნამდვილი შეჯიბრება სწორედ პლეი ოფიდან იწყება. ამიტომ გვაინტერესებდა, უმველიდა თუ არა მათ ამჯერად კორეელი მწვრთნელის ხელი... ჯერჯერობით დასკვნების გამოტანა ძალზე ნაადრევია, თუმცა ქართველმა მანდილოსნებმა ხასიათის სათანადო სიმტკიცე ვერც ახლა გამოავლინეს.

გუშინ თითო გამარჯვების მოპოვება საკვალიფიკაციო ეტაპის გამარჯვებულმა **ქრისტინე ესებუამ, ასმათ დიასამიძემ** და **ლანა ვერულიძემ** შეძლეს. შესარჩევის მოგება ესებუას პლეი ოფის დასაწყისში სუსტ მეტოქეებთან შეხვედრის უპირატესობას ხომ ისედაც აძლევდა, მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, ამან კიდევ ერთი დიდი შეღავათი მისცა - პირველ ორ წრეში ისვენებდა. მესამეში არცთუ ურიგო პოლონელ **მალგორჟატა გვინცზეკის** შეხვდა და სამივე სერია მოუგო - 27:26; 28:25 და 28:24 ანუ ჯამში მშრალი ანგარიშით, 6:0 დაჯაბნა. მისი მომდევნო მეტოქე რუსი **ინა სტეპანოვა** გამოდგა, რომელმაც მანამდე უკვე დაიდო ერთი ქართველის „სისხლი“ - დიასამიძეს ასევე სამ სერიაში 6:0 აჯობა. სტეპანოვა პლეი ოფში მე-16 ნომრად შევიდა, თუმცა როგორც რუსთა ნაკრების ანუ ძლიერი გუნდის წევრის შეუფასებლობა არანაირად არ იქნებოდა. ამის მიუხედავად, ვერც იმას ვიტყვით, რომ მასთან ესებუა უშანსოდ იყო, თუმცა სტეპანოვა ანტალიაში საგანგებოდ მომზადებული ჩავიდა - ნახევარფინალამდე უპრობლემოდ გააღწია, იქ კი ბრიტანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ალისონ ვილიამსონთან** დამარცხდა და წუხელ გვიან ღამით ბრინჯაოსთვის უნდა ეასპარეზა. რაც შეეხება ესებუას შეხვედრას მასთან, ჩვენებურმა ვერც ერთი სერია ვერ მოუგო და მშრალად დამარცხდა - 0:6, სერიების მიხედვით კი ასეთი შედეგები აღინიშნა: 25:27; 25:26; 20:24 რუსის სასარგებლოდ.

დიასამიძემ სტეპანოვასთან ნაგებამდე ბრიტანელი **რებეკა მარტინი** დაამარცხა - 6:2, ოღონდ საამისოდ მეოთხე სერია დასჭირდა. თავიდან დიასამიძე მინიმალური უპირატესობით დაწინაურდა - 23:22. ამის შემდეგ მარტინმა ანგარიში გაათანაბრა ისევ ერთქულიანი სხვაობით - 27:26, მაგრამ ჩვენებურმა მომდევნო ორში იყოჩაღა (24:20, 24:17) და მეორე წრეში გავიდა, სადაც სტეპანოვასთან მშრალად დამარცხდა.

ტურნირზე ბათუმის ანუ ადგილობრივი ბიუჯეტის და არა ფედერაციის დაფინანსებით წასული ვერულიძე ჩვენი ნაკრების აღმოჩენად იქცა - ქართველთაგან მესამე შედეგი აჩვენა და გუნდური შეჯიბრებისთვის ნაკრებიდან დიასამიძე ამოაგდო. მან შესარჩევი 19-ე შედეგით დაამთავრა, თუმცა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი მაჩვენებელია - 1239 ქულა, რაც საკმაოდ ახლოსაა 1250-იან ოლიმპიურ ნორმატივთან. პლეი ოფის პირველ წრეში ვერულიძეც ისვენებდა, მეორეში კი ესტონელ **რეენა პარნატს** უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში 6:5 მოუგო. აქ პირველი სერია ფრედ დასრულდა - 24:24, მომდევნოში კი ჩვენებურმა მცირე უპირატესობით იმარჯვა - 24:23. ამის შემდეგ ვერულიძეს საქმე ცუდად წაუვიდა - მომდევნო ორი სერია წააგო (21:26; 22:25), თუმცა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და უპრინციპულესი მეოთხე ეტაპი 27:23 მოიგო. ამით სეტებში ანგარიში 5:5 გახდა და დაინიშნა დამატებითი სროლები, სადაც ვერულიძემ მცირე უპირატესობით იმარჯვა. ეტყობა, ამ დაძაბულმა შეხვედრამ იმდენად დიდი ენერგია წაიღო, მომდევნო შეხვედრაში დანიელ **ლუისე ლაურსენს** ერთი სეტიც ვერ მოუგო და სამივეში დამარცხდა - 0:6. ვფიქრობთ, ვერულიძეს საყვედური მაინც არ ეთქმის, ვინაიდან ნამდვილად აკლია საშეჯიბრო პრაქტიკა და არც სუსტთან წაუგია - ლაურსენმა მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა და ღამე სტეპანოვას ბრინჯაოს მედალს სწორედ ის ეცილებოდა.

ჩვენი გუნდის ლიდერი **ხათუნა ნარიმანიძე** მასპინძელ **ბეგულ ლუკულოღლუსთან** სამ სეტში დამარცხდა - 0:6. ჩვენებურმა მხოლოდ მესამე სერიაში გაიბრძოლა, რომელიც ერთი ქულით დათმო - 26:27, წინა ორში კი თურქი უფრო დიდ უპირატესობას ფლობდა (26:28; 21:25).

გუნდის დებიუტანტმა და კორეელი მწვრთნელის ფავორიტმა **თეონა კუტალაძემ** ბრიტანელ **ემმა დონიესთან** წააგო, თუმცა ძალზე დაძაბულ, ხუთსეტიან ბრძოლაში. კუტალაძე ჯერ ახალგაზრდაცაა და გამოუცდელიც, მაგრამ ამის მიუხედავად, თავიდან მეტოქეს მედგარი ბრძოლა გაუმართა და პირველი სერია მოუგო კიდეც - 27:26. მომდევნო ორი კი დათმო, მაგრამ ერთქულიანი სხვაობით - 22:23; 23:24. აქედანაც ჩანს, რომ ბრიტანელს ბევრი არაფერი დაუთმო, მეოთხეში კი სულაც გაანადგურა - 22:11 იმარჯვა და საერთო ანგარიშიც გაათანაბრა, 2:2. ეტყობა, გადამწყვეტ, საპასუხისმგებლო სერიაში ფიზიკურად ძალა აღარ ეყო და 27:18 წააგო. ასე დასაბამად გამოეთიშა შეჯიბრებას კუტალაძე, თუმც დიდი ბრძოლისუნარიანობა კი გამოავლინა.

დღეს ანტალიაში გუნდური პირველობა გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები პლეი ოფში პირველ ნომრად შევიდა და პირველ წრეში ისვენებს, რადგან ტურნირში 16-ის ნაცვლად სულ 13 ნაკრები გამოვიდა. მათი მეტოქე ბელარუსისა და პოლონეთის შეხვედრაში გაირკვევა

იტალიელ **გვანდელინა სარტორისთან ნათია ცინცაძემაც** იომა, მაგრამ მაინც დამარცხდა - 2:6. ჩვენებური თავიდან დაწინაურდა (27:24), თუმცა მერე ვერაფერს გახდა და სამი სეტი დათმო, ოღონდ ორჯერ - მინიმალური სხვაობით (27:28; 22:26; 23:24).

ბრინჯაოსთვის მებრძოლ წყვილზე უკვე გითხარით, ხვალ კი პირადი პირველობის ფინალში ზემოხსენებული ბრიტანელი ვილიამსონი და იტალიელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** შეერკინებიან ერთმანეთს. ფინალში მათი გასვლა ლოგიკურიცაა, რადგან ორივე მართლაც რომ უძლიერესია ევროპელთა შორის.

დღეს ანტალიაში გუნდური პირველობა გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები პლეი ოფში პირველ ნომრად შევიდა და პირველ წრეში ისვენებს, რადგან ტურნირში 16-ის ნაცვლად სულ 13 ნაკრები გამოვიდა. მათი მეტოქე ბელარუსისა და პოლონეთის შეხვედრაში გაირკვევა. ლოგიკურად, პოლონელებს უფრო ძლიერი გუნდი ჰყავთ, თუმცა ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ბადის ამავე მხარეს არიან გერმანიისა და რუმინეთის გუნდები, მაგრამ მეორე ნახევარი ცოტა უფრო ძლიერი გვგონია - ვალეევას იტალია, ბრიტანეთი, უკრაინა და რუსეთი იქით არიან. ჩვენს გუნდში ესებუა, ნარიმანიძე და ვერულიძე დადგებიან. დღეს აქ შეხვედრები ნახევარფინალების ჩათვლით გაიმართება, დღესვე გამოვლინდება ბრინჯაოს მედლის მფლობელიც, ფინალი კი, როგორც პირადში, ხვალ ჩატარდება.

ვნახოთ, გუნდურში რას იზამენ ჩვენები და რამდენად შეძლებს მათ მობილიზებას კორეელი მწვრთნელი. როცა ჩვენებმა მარტში ესპანეთში ევროპის ზამთრის ჩემპიონატი მოიგეს, მაშინ ყველამ აღნიშნა ნაკრების პროგრესი სწორედ გუნდური თვალსაზრისით. თურმე უცხოელებმაც კი აღნიშნეს, რომ ჩვენები გაცილებით მაღალ დონეზე იყვნენ, როგორც მობილიზებული, დამუხტული და შეკავშირებული გუნდი, რომელმაც დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა. იმედია, მსგავსი პროგრესი ახლაც გაგრძელდება.

ირაკლი თავაძე

● ხელბურთი, საქართველოს ჩემპიონატი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლიდერი ქულას დასჯერდა, ქუთაისი მეორეა

ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპორტკომპლექსში საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურის შეხვედრების კიდევ ერთი დღე დასრულდა. გათამაშების ცხრილის ლიდერმა, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის გუნდმა „თბილისმა“ მე-20 გამარჯვება ვეღარ მოიპოვა. დაძაბული შეხვედრის დარჩენილ წუთებში „ბათუმის“ ხელბურთელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, საბოლოოდ 31:31 დაფიქსირდა.

სსაუ/თბილისი: თევზაძე, თეთრუაშვილი, გოგიშვილი, კალანდაძე, წივწივაძე, გონჩაროვი, ელგანდაშვილი, მაისურაძე, გელაშვილი, ლობაშვილი, კიკნაძე.

ბათუმი: ვინგრადსკი, გოგიჩაიშვილი, გაგლოშვილი, ვარშანიძე, ნიკურაძე, ქავთარაძე, ნიტაიშვილი, ქადაგიძე, ზუბიაშვილი, სამყურაშვილი, ურუშაძე, ტოგონიძე, სიხარულიძე.

კვლავ ხელი მოეცარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს. ამჯერად მარცხი „ქუთაისთან“ იწვნია - 36:38.

თსუ: ხონელიძე, კერანაძე, შელეღლაშვილი, ქარსელაძე, ჩუბინიძე, ჩიკვილაძე, სულიკაშვილი, სიხარულიძე, მუმლაძე, ჩიქოვანი, ზაალიშვილი, ისიყმაშვილი.

ქუთაისი: შიშინაშვილი, თუთბერიძე, ჩიხლაძე, ახალაძე, გობეჯიშვილი, სტურუა, კობახიძე, ჯორბენაძე, ყიფიანი, ჩიხლაძე, კვერნაძე, ტორონჯაძე.

დღის დასკვნით შეხვედრაში სტუმრებმა მასპინძლებს სძლიეს. აზერბაიჯანის ნაკრებმა გათამაშების ცხილში მესამე ადგილზე მოკალათებული „ქარიშხალა“ დაამარცხა — 32:23. ორივე გუნდის ხელბურთელებმა შეხვედრის პირველივე წუთებიდან საკმაოდ დაბალი ტემპი შესთავაზეს ერთმანეთს, გოლიც ნაკლები გადიოდა და ძირითად აქცენტს ზონების ჩაკეტვაზე აკეთებდნენ. ქულების დაკარგვით მეორეადგილოსან „ქუთაისთან“ „ქარიშხალას“ ჩამორჩენა 6 ქულით გაიზარდა.

აზერბაიჯანის ნაკრები: სერგუნინი, ალჰაზოვი, ბაბაევი, გაფაროვი, აფანდიევი, იმანოვი, ჰუსეინზადე, შარიფლი, ჯაჰანგინოვი, ისმაილოვი, სალიმოვი, ვალიევი, რ. სლემანოვი, ი. სლემანოვი.

ქარიშხალა: კიზირია, გოგოლაშვილი, მაჭავარიანი, სიმონია, სურმავა, ჭელიძე, ყაზაიშვილი, კენჭოშვილი, ნარსია, ბეჟანიშვილი, ჩაფიძე, მძელური, აბრამიშვილი, ცერცვაძე, მეზვრიშვილი, ნემსინვერიძე.

დღეს

ქარიშხალა - ბათუმი
ქუთაისი - სსაუ/თბილისი
აზერბაიჯანი - თსუ

	თ	მ	ფ	ნ	ქ
1. სსაუ/თბილისი	19	18	1	0	37
2. ქუთაისი	19	11	0	8	22
3. ქარიშხალა	19	8	0	10	16
4. ბათუმი	19	5	4	9	14
5. თსუ	19	5	2	10	12

სალომე ხარატიშვილი

● ჭიდაობა

დიდი ჩემპიონის მეშვიდე ტურნირი

ონმი **დავით გობეჯიშვილის** სახელობის მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 20-წლამდელ ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში.

სომხეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა რაჭაში 2 პირველი ადგილი მოიპოვა დაბალ წონებში იქ, სადაც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი წევრები არ მონაწილეობდნენ.

ადგილობრივ ხელისუფლების მხარდაჭერით კარგად ორგანიზებული ამ ტურნირის მიმართ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მას თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები გუნდების მწვრთნელები...

რაღა თქმა უნდა, მშობლიურ რაიონში იმყოფებოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილი.** ზემო რაჭიდან არაერთი ჩემპიონი-ფალავანი აღი ზარდა, მაგრამ დავით გობეჯიშვილი განსაკუთრებული და გამორჩეული ათლეტია. ის არის დიდი ჩემპიონი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჩემპიონობა ყველა წონაში საპატიოა, მაგრამ მძიმე წონაში გამარჯვებას მაინც სხვა ხიბლი აქვს და მეტად პრესტიჟულია, დავითი კი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მძიმეწონიანი ფალავანია (იგულისხმება ჭიდაობის ყველა სახეობა). ამიტომაცაა მისი წარმატება უნიკალური.

ახლა გაგაცნობთ ონის ხალიჩაზე გამარჯვებულებს: **ერვან თათეოსიანი** (55 კგ), **ნორიკ სირუნიანი** (60, ორივე-სომხეთი), **ლევან ქელეხსაშვილი** (66, ხაშური), **ალექსანდრე ჯაჭვაძე** (74, გარდაბანი), **ლევან გოგრიჭიანი** (84, თბილისი), **მამუკა კორძაია** (96, აჭარა), **თედორე ებანოიძე** (120, ხარაგაული).

დავით გობეჯიშვილის სახელობითი პრიზი გადაეცა თედო ებანოიძეს.

23 აპრილს, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ბაქოში იჭიდავებს „აზერბაიჯანის თასზე“. მაისის ბოლოს გერმანიაში მსოფლიოს თასია, ივნის-ივლისში კი მათ ევროპის (სერბეთი) და მსოფლიოს (რუმინეთი) ახალგაზრდული პირველობები ელით.

გაბრიელ ბარჯაძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ტომბა; 5. ნატურბანი; 7. უშგული; 9. სეკუნდანტი; 11. ტური; 12. მელუა; 14. რომა; 15. ჟირესი; 17. ვეტერანი; 21. დომინო; 22. თარჯი; 23. დანი; 25. ჯობავა; 26. რიჩი; 29. უშუ; 30. რემიზი; 31. ლუკა; 32. "არისი".

შვეულად: 1. ტუშე; 2. ანისიმოვა; 3. "ზადარი"; 4. ვიქტორი; 6. ტაკელაური; 8. ურუშაძე; 10. "მარგვეთი"; 13. აკრედიტაცია; 16. "სამგურალი"; 18. ტერენკური; 19. "რეინჯერსი"; 20. კორტი; 24. ალავიძე; 27. ჩოკო; 28. კულა.

● ჩოგბურთი



კალაშნიკოვას რუსული ბარიერი

ოქსანა კალაშნიკოვამ (189) იოჰანესბურგის საერთაშორისო ტურნირში (100 ათასი დოლარი) ასპარეზობა მერვედფინალში დაასრულა, სადაც მას რუსმა **ვალერია სავინიხმა** (204) იოლად აჯობა - 6:2, 6:2. ასე რომ, ჩვენებურმა ამ შეჯიბრებაში 20 სარეიტინგო ქულა იკმარა. ოქსანა სავინიხთან კიდევ ერთხელ დამარცხდა - ამჯერად, წყვილთა ბადის მეოთხედფინალში, სადაც ქართველი ბერძენ **ეირინი გეორგატუს** (201) შეუწყვილდა. მათ სავინიხთან და **ნინა ბრატჩიკოვასთან** (რუსეთი, 132) ორ სეტში დათმეს - 4:6, 0:6.

იტალიურ პომეციანში (10 ათასი დოლარი) მიზნისკენ იოლად მიიწევს პირველ ნომრად განთესილი **მაკა ჩახნაშვილი** (235). მეორე წრეში მან ორ სეტში დაამარცხა „უაილდ ქარდით“ მიწვეული ბულგარელი **მარტინა გლედაჩევა** (415) - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი მასპინძელი **ვიქტორია ლარიერა** (355). **ეკა გორგოძემ** (497) ანთალიის ტურნირის ძირითად ბადეში (10 ათასი დოლარი) „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით გააღწია, მაგრამ იქ პირველივე წრეში ესპანელ **ხეორხიანა გარსია პერესთან** (799) წააგო - 1:6, 3:6. გორგოძე ბელარუს **ქსენია მილევსკაიასთან** (678) ერთად წყვილთა ბადეში მე-4 ნომრადაა განთესილი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

საკონტროლო შეხვედრებს დაესწრნენ

წლეულს 21-24 აპრილს სტამბოლი ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის დუშეთის ოლიმპიური მზადების ბაზაზე დასკვნით შეკრებას გადის საქართველოს ავსტრიელი მწვრთნელის. **პიტერ ზაიზენბახერის** ხელმძღვანელობით. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ შარშან შემოღებული წესის თანახმად, ასპარეზობის მონაწილე ყველა ქვეყანას თითო წონით კატეგორიაში ორ-ორი ძიუდოისტის დაყენება შეუძლია. საქართველოს ნაკრები ამ კვოტას მაქსიმალურად გამოიყენებს და ჩემპიონატზე ინდივიდუალურ ჩათვლაში 14 სპორტსმენი იჭიდავებს. შესაძლოა, რამდენიმე ფალავანი მხოლოდ გუნდურ პირველობაზე გამოსასვლელად შეიყვანონ განაცხადში. პირად შეჯიბრებებს თურქეთში სამი დღე დაეთმობა, ხოლო გუნდურს - მეოთხე. ზაიზენბახერი შემადგენლობას დღეს, 15 აპრილს, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოაცხადებს.

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი,** მინისტრის მოადგილეები - **დავით ნამგალაური** და **გია გალდავა,** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** დუშეთის ოლიმპიური მზადების ცენტრს ესტუმრნენ და ქართველ ძიუდოისტთა ვარჯიშს დაესწრნენ.

ლადო ვარძელაშვილი: „ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ასრულებს და გვაინტერესებდა, სპორტსმენები როგორ ფორმაში არიან. ამიტომ ეროვნული გუნდის წევრთა საკონტროლო შეხვედრებს დავესწარით. ახალი ვარჯიშებითა და პროგრამით გაკეთებულმა ტესტებმა დადებითი პასუხები აჩვენა, რაც ძალიან კარგია. ამ ტემპითა და ხარისხით თუ განვაგრძობთ მომზადებას, ლონდონის ოლიმპიადისთვის უკვე კარგი შედეგი გვექნება“.

გია ნაცვლიშვილი: „ჩვენი მთავარი ორიენტირი მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელიც ზაფხულის მიწურულს პარიზში გაიმართება. წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, ფალავნებმა საუკეთესო სპორტულ ფორმას სწორედ ამ შეჯიბრების წინ უნდა მიაღწიონ. კონტინენტის პირველობაც მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიიჩნევა, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ სალიცენზიო წელია და ნებისმიერ ტურნირს თავისებური დატვირთვა აქვს“.

მარცხნიდან: პიტერ ზაიზენბახერი, გია ნაცვლიშვილი და ლადო ვარძელაშვილი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ქადრაკი

გაფრინდაშვილს ოქრო, ხმიადაშვილს ბრინჯაო

იტალიურ კურმაიერში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 20 ქვეყნის 101 წარმომადგენელი მონაწილეობდა. გუშინ ბოლო მე-9 ტურის პარტიები გაიმართა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** თეთრი ფიგურებით იტალიელ **როსინოსთან** დამარცხდა, თუმცა ამ წაგებით მისმა კონკურენტებმა ვერ ისარგებლეს: რუსი **გალინა სტრუტინსკაია** ლიტველ **ალგიმანტას ბუტნორიუსს** დანებდა, **ელენა ფატალიბეკოვა** (რუსეთი) **ქენეთ ნორმანს** (ინგლისი) დაუზავდა, **თამარ ხმიადაშვილმა პაოლო კოლომბოს** (იტალია) აჯობა. ამდენად, 9 ტურის შემდეგ გაფრინდაშვილმა, სტრუტინსკაიამ, ხმიადაშვილმა და ფატალიბეკოვამ 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს. კოეფიციენტით პირველი-მეოთხე ადგილებით სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: გაფრინდაშვილმა ჩემპიონობა მოიპოვა, სტრუტინსკაიას და ხმიადაშვილს, შესაბამისად, ვერცხლი და ბრინჯაო ერგოთ.

საგულისხმოა, რომ ნონა გაფრინდაშვილს 3 მაისს 70 წელი უსრულდება. საიუბილეოდ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა კარიერის განმავლობაში მოხვეჭილ ტიტულებს, მედლებსა და პრიზებს ორი იტალიური ჯილდოც შემატა (ამ შეჯიბრებამდე მან სწრაფ ჭადრაკში ევროპის პირველობის ვერცხლის მედალი დაიმსახურა).

რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით მოსკოვში მიხეილ ბოტვინიკის სახელობის მოჭადრაკეთა ცენტრალურ სახლში 26-31 მაისს გაიმართება ქალთა შორის მსოფლიოს მე-5 ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილს** იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში 10 ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 225 ათასი რუსული რუბლია. ტურნირის დირექტორია **რიმა ბილუნოვა.**

რაც შეეხება მამაკაცთა ტურნირს, ყველას რუმინელმა **მიხაი შუბამ** აჯობა. გუშინ იგი სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე **გენადი ტიმოშჩენკოს** დაუზავდა და 7,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ტიმოშჩენკოს 7 ქულა მოუგროვდა, ანუ იმდენივე, რამდენიც **ალექსანდრ ვიკულოვის** (რუსეთი) მძლეველ **ვლადიმირ ოხოტნიკს** (საფრანგეთი) და **ვიქტორ კუპრეიჩიკის** მჯობნ **მაიკლ პერეცს** (ისრაელი). ვერცხლი ოხოტნიკმა დაისაკუთრა, მესამე ადგილი ტიმოშჩენკოს ხვდა.

ვაჟა დანელია

ქართულ-ინდური ჭრიო

მიხეილ მჭედლიშვილი

დუბაიში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. გუშინ მე-5 ტურში იყოჩაღა თბილისელმა დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა,** რომელმაც რუსი **სერგეი ვოლკოვი** დაამარცხა და 4,5 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა მოაგროვეს შავი ფიგურებით ბერძენი **სტელიოს ჰალკიასის** მძლეველმა ინდოელმა **კრიშნან სასიკირანმა** და მისმა თანამემამულემ **ნეგი პარიმარიჯანმა,** რომელიც **ჩაბა ბალოგს** (უნგრეთი) დაუზავდა.

ლიდერებთან მიახლოების კარგი შანსი ჰქონდა **მერაბ გაგუნაშვილს,** მაგრამ მან მე-5 ტურის პარტია თეთრებით უზბეკ **დმიტრი კაიუმოვთან** დათმო. ასევე დამარცხდნენ **სოფიკო ხუხაშვილი** და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **დავით ზარქუა,** შესაბამისად, შეკხარ განგულისთან (ინდოეთი) და ემანუელ ბერგერთან (შვედეთი), არადა, ზარქუას ეტლების ენდშპილში უკეთესი პოზიცია ჰქონდა. სამაგიეროდ, გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს **ლევან ფანცულაიამ** (სომეხ ოვიკ აირაპეტიანს აჯობა) და **დავით არუთინიანმა** (მას ბელგიის სახელით მოასპარეზე ბელარუსი ანა ზოზულია დანებდა).

ხუთი ტურის შემდეგ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: მჭედლიშვილი-4.5, ფანცულაია, არუთინიანი-3.5-3.5, გაგუნაშვილი-3, ხუხაშვილი, ზარქუა-2.5-2.5 ქულა.

ვაჟა დანელია

სპორტი. ცნობილი ადამიანები

მარცხნივ ვასო გოძიაშვილი

ვასო გოძიაშვილი

სახალხო არტისტს ვასო გოძიაშვილს ხშირად ვხვდებოდი მის სახლთან, მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში.

- იქნებ შეიტყვე რაიმე ახალი ფიშერზე? - მეტყოდა შეხვედრისას. - ვერ მომისვენია, კაცო, ასეთმა მოთამაშემ ჭადრაკს თავი როგორ დაანება. გაგიუდა ნამდვილად!

მერე ბატონი ვასო სხვა ახალ ამბებს გამომკითხავდა. ყველაფერი დაწვრილებით უნდა მეამბნა.

- არ გეგონოს გაზეთებით თვალს არ ვადევნებდე საჭადრაკო სამყაროს, მაგრამ შეიძლება რაიმე გამომეპაროს, - იტყოდა თავის მართლებით, სიტყვა რომ გაგვიგრძელდებოდა.

ვასო გოძიაშვილს მარტო ჭადრაკი როდი უყვარდა. ახალგაზრდობაში, რუსთაველის თეატრში მუშაობის პერიოდში, ფეხბურთით ყოფილა გატაცებული. ტანვარჯიშშიც ვარჯიშობდა.

ერთხელ შინ ვეწვიე და ბევრი რამ მიამბო თავის საჭადრაკო ცხოვრებიდან.

- ჭადრაკის თამაში ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკემ ვიქტორ გოგლიძემ მასწავლა. მან რუსთაველის თეატრში ჩამოაყალიბა წრე, რომელშიც ჩემთან ერთად თამაშობდნენ ელგუჯა ლორთქიფანიძე, ვანო ლაღიძე, გიორგი საღარაძე და სხვები. ჭადრაკმა ყველა გაგვიტაცა და ხშირად ტურნირებსაც ვაწყობდით. მაშინ თეატრში რეჟისორად კოტე მარჯანიშვილი მუშაობდა. ვიცოდით, რომ მასაც უყვარდა ჭადრაკი, ინტერესით ადევნებდა თვალს მსოფლიო პირველობის მატჩს კაპაბლანკასა და ალოხინს შორის. ერთხელ გავუბედე, ვითამაშოთ-მეთქი. გამიღიმა და დამთანხმდა. ვიდრე ფიგურებს ვაწყობდი, დაუძახეს და „ისტორიული პაექრობა“ აღარ შედგა, თუმცა ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა თამაშის საყურებლად. მანამდე ვიქტორ გოგლიძის ერთდროული თამაშის სეანსში მივიღე მონაწილეობა და წარმოიდგინეთ მოვუგე. თუმცა, ვერ დავმალავ, ბოროტმა ენებმა ხმა გავრცელეს, ვიქტორმა ხათრით მოაგებინაო. მერეც ვთამაშობდი, მაგრამ ჭადრაკს დიდ დროს ვერ ვუთმობდი, იმითლა ვკმაყოფილდებოდი, რომ დიდ მოჭადრაკეთა გამოსვლებს ვადევნებდი თვალს.

ვასო გოძიაშვილს ჰყავდა თავისი კერპები, მაგალითად, ბორის სპასკის ქომაგი იყო. მას უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას ტიგრან პეტროსიანთან მატჩში. მოსწონდა ამერიკელი დიდოსტატი რობერტ ფიშერი. ამბობდა, სპასკის დამმარცხებელი უთუოდ დიდი მოჭადრაკე უნდა იყოსო.

სახე გაუბრწყინდებოდა, როცა ნონა გაფრინდაშვილზე დაიწყებოდა საუბარი. მახსოვს, 1961 წელს, პრეტენდენტთა ტურნირის დროს, ვასო გოძიაშვილი „ლელოს“ რედაქციაში გვირეკავდა ღამის სამ-ოთხ საათზე (მხოლოდ ამ დროს ვილებდით ცნობებს იუგოსლავიიდან, სადაც შეჯიბრება ტარდებოდა), რათა ახალი შედეგები გაეგო. როცა ნონას მოგების ამბავს ვეტყოდით, გაიხარებდა, დაგვლოცავდა და გაგვამხნევებდა. დიდი საქმისთვის ძილის გატეხა მსხვერპლი არ არისო, იტყოდა ხოლმე.

1962 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩის წინ ვასო გოძიაშვილი წერდა: „ნონასი არ ვიცი და მე კი მეშინია! მაგრამ, როცა ვუფიქრდები და ყველა ფაქტორს ავწონ-დავწონი, გული მეუბნება, ნონა გაიმარჯვებსო... ნეტავ ასე იყოს“. აუხდა კიდეც.

ერთხელაც, 1973 წლის დასაწყისში, ჩვეულებრივ შევხვდი ვასო გოძიაშვილს, მაშინვე მომახალა:

- ეს რა ხდება, კაცო. ამას წინათ ტელევიზიით ვნახე, როგორ მოუგო ნონას სეანსში ვიღაც პატარა გოგონამ. ნეტავ ვინაა? ხომ არ უმიზნებს იგი ტახტს?

ეს გოგონა მაია ჩიბურდანიძე გახლდათ. მის აღმასვლას და გადედოფლებას ვასო გოძიაშვილი ვერ მოესწრო.

თენგიზ გიორგაძე

აფროსნობა

ჰეინისში სალიცენზიო ტურნირზე

ქართველი აფროსნები დიდი ხანია, საერთაშორისო ტურნირებზე არ გამოსულან. და აი, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სპორტის სამინისტროს და ფოთის პორტის თანადგომით ჩვენებურები ერთი თვეა, შავიზღვისპირეთში საწვრთნელ შეკრებას გადიან. ისინი ამ დღეებში საფრანგეთს გაემგზავრებიან და ქალაქ ჰეინისში ლონდონის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ. 60 ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში **მიხეილ კილასონიას** ხელმძღვანელობით ძალებს მოსინჯავენ **გოგა გოჩალეიშვილი, ლევან სისაური, დავით გიორგაძე** (სამივე-ფოთი), **კახა** და **ტატო გრიგოლიები** (ორივე-თბილისი). მართალია, ბიჭებს საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ნაკრებისა და ფედერაციის თავკაცები წარმატების იმედს არ კარგავენ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● ბელგიური სენსაცია

თორნიკე... გამარჯვების ქალღმერთი შენგელიასკენ

რა არის სენსაცია? მაგალითად, საქართველოს ჩემპიონატში „ენერჯიმ" „არმიას" რომ მოუგოს, ან ევროლიგაზე „შარლერუამ" „რეალი" რომ დაამარცხოს... ბელგიის ჩემპიონატში? - ვთქვათ, ევროლიგელი „შარლერუა" **თორნიკე შენგელიას** „პეპინსტერ-მა" რომ დაამარცხოს. ასეთი შედეგი სენსაცია იმიტომაა, რომ შემადგენლობით „პეპინსტერი" ჩამორჩება შარლერუელებს, ხოლო ეს უკანასკნელნი - მადრიდის „რეალს".

...კალათბურთი იმიტომაცაა საინტერესო, რომ მოულოდნელობები ხშირად ხდება: ამ სეზონში, ევროლიგაზე „შარლერუას" „რეალი" დამარცხებული ჰყავს (67:49), ახლა კი „პეპინსტერმა" ბელგიის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს 85:80 აჯობა. ეს გახლდათ ბელგიის პირველობის 25-ე ტურის მთავარი მოვლენა. ამ წარმატებაში წვლილი ახალგაზრდა ქართველ ფორვარდ თორნიკე შენგელიასაც მიუძღვის.

მატჩი „პეპინსტერის" მოედანზე გიმართა და თავიდან ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლები პირველივე პერიოდში დაწინაურდნენ - 22:16, ხოლო დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ფორით გავიდნენ (40:33).

„შარლერუასთან" წინა მატჩისგან განსხვავებით „პეპინსტერის" კალათბურთელებმა შეხვედრა ბოლო წუთებამდე სტაბილურად ჩაატარეს და ხუთქულიანი უპირატესობით გაიმარჯვეს.

თამაშის მთელმა სიმძიმემ ექვს კალათბურთელზე გადაიარა, დანარჩენმა ორმა 10-ზე ნაკლები წუთი ითამაშა. შეუცვლელად ითამაშა **დომინიკ ვოთერსმა** და მატჩის ბომბარდირიც გახდა - 28 ქულა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა შენგელიამ მოედანზე 21 წუთი გაატარა, 4-4 ქულა-მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. მან მეტოქის კალათის მიმართულებით 5 ორქულიანი ისროლა და 2 ჩააგდო. დამარცხებულთა შემადგენლობაში ბელგიის ნაკრების ერთადერთი კალათბურთელია - **კრისტოფ ბეგინი**, რომელმაც 19 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა ჩაიწერა.

წაგების მიუხედავად „შარლერუამ" ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნა. „პეპინსტერმა" მეექვსე პოზიციაზე აინაცვლა (პლეი ოფში სწორედ ექვსი გუნდი გადის). მის აქტივში 9 გამარჯვებაა, პასივში - 16 მარცხი.

შენგელიასა და მის თანაგუნდელებს ზემოთნახსენები მძიმე მატჩის შემდეგ დასვენების საშუალება თითქმის არ აქვთ - დღეს, 15 აპრილს უშუალო კონკურენტ „ლიეჟს" (8 მოგება აქვს) ესტუმრებიან.

● ისტორია და დღევანდელობა

სოხუმმა იური ძიძიგურის სახელობის თასი დააწესა

სუპერლიგის კლუბ "სოხუმის" ხელძღვანელობამ საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით დააწესა წარსულში თბილისის "დინამოს" კალათბურთელის **იური ძიძიგურის** სახელობის თასი. დამზადდა ორი ანალოგიური პრიზი, რომლებიც 16 აპრილს შსს-"სოხუმის" მატჩის დასრულებისთანავე გადაეცემათ როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის საუკეთესო მოთამაშეებს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გუშინ, დილმის „დინამოს" ბაზაზე პრესკონფერენცია გაიმართა. ვიდრე შეხვედრის შესახებ მოგითხრობდეთ, გაგახსენებთ, რომ გაგრაში დაბადებულმა იური ძიძიგურმა კარიერა 60-იანი წლების მიწურულს თბილისის „ბურევესტნიკში" დაიწყო. იგი 1970-80 წლებში სსრკ-ს უმაღლეს ლიგაში, თბილისის "დინამოში" ასპარეზობდა. 1977 წელს დინამოელები საბჭოთა ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალს დაეუფლნენ. იმავე წელს კრაკოვში (პოლონეთი) გამართული "დინამიადა" მოიგეს.

1980 წელს მძიმე ტრავმის გამო იური ძიძიგურმა კარიერა დაასრულა, რის შემდეგაც 12 წელიწადი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გაგრაში მუშაობდა: მან განვლო გზა რიგით პოლიციელიდან სისხლის სამართლის სამძებრო ქვედანაყოფის უფროსის თანამდებობამდე.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე (1992 წლის აგვისტო) იური ძიძიგური საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა. ...1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრის დაცვისას გმირულად დაიღუპა.

პრესკონფერენცია „სოხუმის" პრესცენტრის ხელმძღვანელმა **თენგიზ პაჭკორიამ** გახსნა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, **თემურ ჩილაჩავამ** კი აღნიშნა:

ინიციატივით დავაწესეთ ძიძიგურის სახელობის თასი. იგი გადაეცემა შსს-სა და „სოხუმის" შაბათის მატჩის საუკეთესო კალათბურთელებს. ეს გუნდები ჩემპიონატის მეოთხედფინალშიც ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშებენ და იმედი მაქვს, ისეთი შეხვედრები გამოვა, ქართულ კალათბურთს წინ რომ წასწევს.

ძიძიგურს „დინამოში" წვრთნიდა ლევან მოსეშვილი, რომელმაც გუნდში მის როლზე ილაპარაკა:

- „დინამოს" მწვრთნელად რომ დავინიშნე, ცენტრალური თავდამსხმელების დეფიციტი იყო. ოთარ ქორქია ტანმაღალ კალათბურთელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებდა. სწორედ მაშინ ჩაირიცხა „დინამოში" იური ძიძიგური. იგი სხვა მეფარეებისგან განსხვავებით კალათიდან ზურგშექცევით არ მოქმედებდა. ამასთან ძალიან მოძრავი იყო და მხოლოდ ფარქვეშიდან როდი ესროდა - ალბათ, ბევრს ახსოვს მის მიერ მოედნის კუთხიდან ნატყორცნი ბურთები, რაც მაშინ იშვიათობა იყო.

იური ძიძიგური „დინამოში" „ბურევესტნიკიდან" **გივი ბიჭიაშვილთან** ერთად გადავიდა. ბატონმა გივიმ გაიხსენა:

- იურისთან ერთად დიდი ხანი ვითამაშე. იგი კარგი პარტნიორი და ასეთივე მეგობარი იყო. რომ მოგენდომებინა, ვერ გააბრაზებდი. მახსენდება ერთი ეპიზოდი: ძიძიგური მხედველობის ლინზებით თამაშობდა. სპორტის სასახლეში სსრკ-ს პირველობის ერთ-ერთი მატჩისას მას იდაყვი მოხვდა და ლინზები იატაკზე დაცვივდა. მატჩი 10 წუთით შეწყდა და ორივე გუნდის კალათბურთელები ლინზებს ეძებდნენ... იმ შესვენების შემდეგ მატჩი შემოვატრიალეთ და გავიმარჯვეთ.

- იური რომ გავიცანი, ხუმრობით ვუთხარი, სპორტსმენი ხარ, ჭკუა ფეხებში გაქვს-მეთქი. რეალურად ასე არ



- დღევანდელი შეხვედრა ქართული ენის დღეს დაემთხვა. სადღეისოდ აფხაზეთში ქართული სიტყვა ჭირს... სწორედ ამისთვის იბრძოდა იური ძიძიგური. გუნდის პრეზიდენტის, მინდია გულუას

იყო - მას თავისუფალ დროს წიგნის გარეშე ვერ ნახავდით. ჭკვიანი ადამიანი იყო, - გაიხსენა ძიძიგურის მეუღლემ, ქალბატონმა ქეთევანმა.

გუშინდელ შეხვედრაზე შეკრებილებს გვიჩვენეს ვიდეოფირები თბილისის „დინამოს" მატჩების მონაწილეობით და აფხაზეთის ომისას გაგრაში გადაღებული ტრაგიკული ვიდეოკადრიც...

პრესკონფერენციას ესწრებოდა ბოლო დღეს იური ძიძიგურთან ერთად ნაბრძოლი **ბორის ფიფია:**

- ეს ვიდეოფირი ქალბატონმა გიული ჩხენკელმა მაშინ გადაიღო, როცა გაგრაში რუსები იყვნენ შესულები. იგი მათ რუს ჟურნალისტად წარუდგა. იმ დღეს რუსებმა გაგრის დაბომბვა დაიწყეს. გემიდანაც გვბომბავდნენ. ჩვენ შსს-ს შენობაში ვიყავით და დავინახეთ, რომ სამხედროები ქალაქს ტოვებდნენ. გაიცა ბრძანება, სასტუმრო „გრუზიასთან" დავბრუნებულიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ფეხში იყო დაჭრილი, იური ძიძიგური სამ მეგობართან ერთად მანქანით გაემართა. ჩვენც გავყევით. თუმცა, მისი მანქანა სასტუმროს გასცდა თუ არა, რუსების ტანკს შეეფეთა. ამ შეტაკებისას დაიღუპა იური...

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● ქართველი NBA-ში

...მორჩა, კინო იწყება

„ატლანტა ჰოქსმა" რეგულარული ეტაპი შარლოტში დაამთავრა და **მაიკლ ჯორდანი** გაახარა („შარლოტის" მფლობელია). მასპინძლებმა „ქორები" 96:85 დაამარცხეს.

ჯორჯიელთა მწვრთნელმა, **ლარი დრიუმ** კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ უმთავრესად პლეი ოფში „ორლანდოსთან" დაპირისპირებაზე ფიქრობს. ეს „შარლოტთან" მატჩშიც გამოჩნდა: ძირითადი ხუთეულის სამი კალათბურთელი მსუბუქად დატვირთა, ხოლო ბოლო პერიოდი იმ შემადგენლობით ჩაამთავრა, რომელსაც რეგულარულისას იშვიათად ენდობოდა. მეოთხე რაუნდში ზაზას არ უთამაშია. მან შეხვედრა 10 მოხსნით დაასრულა.

ქვემოთ კალენდარსაც ნახავთ და აქაც შეგახსენებთ, რომ „ატლანტა" მერვედფინალური სერიის პირველ მატჩს 16 აპრილს გამართავს. ჯორჯიელებს ორლანდოელებზე შური აქვთ საძიებელი: შარშანდელი პლეი ოფის მეოთხედფინალში „ჯადოქრებმა" „ჰოქსს" 4:0 მოუგეს.

შარლოტი-ატლანტა 96:85

ზაზა ფაჩულია: 25:19 წუთი, 2 ქულა (3-დან 1 ორქულიანი), 10 მოხსნა, 2 პასი, 3 ფოლი.

I პერიოდი	
09:00	მოხსნა: შეტ-1, დაც-0
08:53	მოხსნა: შეტ-2, დაც-0
08:33	მოხსნა: შეტ-2, დაც-1
05:13	ორქულიანი: არაზუსტი
02:35	ორქულიანი: არაზუსტი
00:23	მოხსნა: შეტ-3, დაც-1
II პერიოდი	
11:06	პასი: 1 (პაუელი 2ქ, 22:32)
10:41	ფოლი: 1
10:41	ტომასმა ზაზა შეცვალა
III პერიოდი	
10:46	მოხსნა: შეტ-3, დაც-2
10:15	მოხსნა: შეტ-3, დაც-3
09:37	მოხსნა: შეტ-3, დაც-4
07:38	მოხსნა: შეტ-3, დაც-5
07:32	ჩატენვა: 2ქ (54:65)
06:55	პასი: 2 (ჰაინრიხი 2ქ, 56:65)
05:52	ფოლი: 2
03:27	მოხსნა: შეტ-3, დაც-6
03:14	ფოლი: 3
01:45	მოხსნა: შეტ-3, დაც-7

1/8 ფინალი

16 აპრილი	26 აპრილი
ორლანდო-ატლანტა	ორლანდო-ატლანტა*
19 აპრილი	28 აპრილი
ორლანდო-ატლანტა	ატლანტა-ორლანდო*
22 აპრილი	30 აპრილი
ატლანტა-ორლანდო	ორლანდო-ატლანტა*
24 აპრილი	
ატლანტა-ორლანდო	

* - თუ საჭირო გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ

საქართველოს თასს პატრონი გამოუჩნდა

საქართველოს თასის გათამაშებას ამიერიდან ოფიციალური სპონსორი ეყოლება და მისი სახელი, „ლიბერთი თასი“ დაერქმევა. ამის გარდა „ლიბერთი ბანკმა“ საქართველოს რაგბის კავშირთან „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფას“ სპონსორობაზე ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ყოველივე ამასთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** და „ლიბერთი ბანკის“ დირექტორმა **ლადო გურგენიძემ** პრესკონფერენცია გამართეს.

ლადო გურგენიძე: „რაგბი ქართული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სახეობაა. წელს ჩვენი მორაგბეები მესამედ იასპარეზებენ მსოფლიო თასზე. ამასთან დაკავშირებით გვინდა ქომაგებს, რომელებიც ჩვენი ბანკის მომხმარებლები გახდებიან, „ბორჯღალოსნების“ მხარდამჭერი აქცია შევთავაზოთ.

„ლიბერთი ბანკმა“ გადანყვიტა ეროვნულ ნაკრებს მისცეს პრემია. რაც მეტი თანხა შეგროვდება ანაბრით, მით მეტი იქნება პრემიის მოცულობა.

ამის გარდა „ლიბერთი ბანკი“ გახდა საქართველოს თასის გათამაშების სპონსორი და ამიერიდან ამ შეჯიბრებას „ლიბერთი თასი“ დაერქმევა.

მაისის ბოლოს თბილისში დაიწყება „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფას“ გათამაშება, რომელიც იმავდროულად 2012 წელს გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიცაა. ჩვენი ბანკი ამ შეჯიბრების სპონსორიცაა. ამით საქართველოს რაგბის კავშირთან ჩვენი ურთიერთობა არ შემოიფარგლება და მომავალში ბევრ საინტერესო პროექტს შემოგთავაზებთ.“

გიორგი ნიჟარაძე: „უნინარესად, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ლადო გურგენიძეს რაგბის ასეთი აქტიური მხარდაჭერისთვის. ეს მისი მხრიდან ახალი არ არის, რადგან სწორედ ლადო გურგენიძის პრემიერმინისტრობის დროს შემუშავდა და დღეს განხორციელების სტადიაშია რაგბის განვითარების სახელმნიფო პროგრამა, რომლის გარეშეც ძნელად წარმოსადგენია საქართველოში რაგბის არსებობა.

ლიბერთი ბანკის აქცია და ხელმოწერილი სასპონსორო პაკეტი, სწორედ რომ დროული იყო. საქართველოს თასის გათამაშება ერთ ჩვეულებრივ, უმოტივაციო ტურნირად გადაიქცა. „ლიბერთი ბანკის“ ინიციატივით გამარჯვებული საპრიზო ფონდიდან სოლიდურ პრემიას მიიღებს, რაც, ვფიქრობთ, ტურნირს უფრო დაძაბულს, საინტერესოს გახდის.

საკმაოდ საინტერესო წამოწყებაა, აქცია საქართველოს ნაკრების ნევრებს კიდევ ერთ დამატებით მოტივაციას მისცემს, რათა თვითონაც იხეირონ და ქომაგიც გაახარონ. ვფიქრობ, ეს დიდი დახმარებაა ქართული რაგბისთვის“.

მარცხნიდან: ლადო გურგენიძე, გიორგი ნიჟარაძე, ირაკლი ნატრიაშვილი და ზვიად მაისურაძე

ЗА РАГБИ



ბულზი შელახული რეპუტაციის აღდგენას ეცდება

ზე რაგბის გათამაშების მე-9 ტური ახალზელანდიური დერბით გაიხსნება. ჰემილთონში „ჩიფსი“ B ჯგუფის ლიდერს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ უმასპინძლებს. ამ მატჩში წლეულს პირველად ითამაშებს ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი **რიჩი მაკქოუ**. „ოლ ბლექსის“ ლიდერს ტრავმის გამო თითქმის ნახევარი სეზონი გაუცდა.

მაკქოუს გარდა „კრუსეიდერზს“ ნაკრების კიდევ ერთი ლიდერი **მალილი მულიაინა** დაუბრუნდა. კვლავ ვერ ითამაშებს მგეზავი **დენ კარტერი.** მისი არყოფნა გუნდს, ცხადია, სერიოზულად ასუსტებს, მაგრამ დენის დუბლიორმა **მეთ ბერკვისტმაც** თავი შესანიშნავად წარმოაჩინა.

ერთი სიტყვით, კრუსეიდერზელები არაოპტიმალური შემადგენლობითაც მრისხანე ძალას წარმოადგენენ. მაგალითისთვის წინა, მე-8 ტურის მატჩიც გამოდგება, სადაც „ჯვაროსნებმა“ შინ შარშანდელი ჩემპიონი მშრალი ანგარიშით - 27:0 დაამარცხეს.

„ჩიფსმა“ აქამდე მხოლოდ ორი მატჩი მოიგო. ჰემილთონელებმა საკუთარ მოედანზე ჯერ დებიუტანტი „მელბურნ რებლზი“ დაამარცხეს. მერე კი, დურბანის „ნატალ შარქსს“ სძლიეს, რომელიც იქამდე დაუმარცხებელი იყო.

planetrugby-ს მიაჩნია, რომ ქრაისთჩერჩელები ამჟამად უძლეველნი არიან და მინიმუმ 15 ქულით მოიგებენ.

ზე რაგბის გათამაშების დებიუტანტმა „მელბურნ რებლზმა“ ყველასთვის გასაოცრად სამი თამაში მოიგო. ახალბედასთვის უმაღლესი რანგის გუნდებთან ჭიდილში ეს შესანიშნავი შედეგია.

მელბურნელები მე-9 ტურში სტუმრად ითამაშებენ დანიდინის „ჰაილენდერზთან“, რომელმაც აქამდე ხუთი გამარჯვება მოიპოვა და B ჯგუფში მე-3 ადგილზეა. წინა ტურში დანიდინელებმა შინ ურთულეს ბრძოლაში დაამარცხეს „ჩიტაზი“ - 24:21. მათ რიგებში მხოლოდ ერთი ცვლილებაა, ჯიმი ქოუანის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **აარონ სმითი** ითამაშებს.

სერიოზული დანაკლისი აქვს „მელბურნ რებლზს“. დაშავდა და „ჰაილენდერზთან“ თამაშს ვერ შეძლებს შუამარბი **სტირლინგ მორთლოქი,** მას **ჯეიმზ ჰილგენდორფი** შეცვლის. კვლავ მწყობრში არიან და მნიშვნელოვნად განაპირობებენ გუნდის წარმატებულ თამაშს მგეზავი **დენი სიპრიანი** და ცხრა ნომერი **ნიკ ფილიპსი.**

როგორც planetrugby წერს, რომ არა სტირლინგ მორთლოქის ტრავმა „მელბურნ რებლზი“ ფავორიტი იქნებოდა. ამდენად, გამარჯვებას, მინიმუმ ხუთი ქულით მასპინძლები იზეიმებენ.

A ჯგუფის ლიდერი ბრისბენის „რედსი“ შინ პრეტორიის „ბლუ ბულზს“ ეთამაშება. სამხრეთაფრიკელთა მთავარმწვრთნელმა **ფრენკ ლუდეკმა,** გასულ უქმეებზე „კრუსეიდერზთან“ განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, გუნდის შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა.

ლუდეკამ ცხრა ნომერი **ფური დუ პრი** სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, მის ნაცვლად **ფრანსუა ჰუგარი** ითამაშებს, რომელიც „ჯვაროსნებთან“ მატჩში გარემარბად ირჯებოდა. შერკინების კვაჭს, **გერჰარდ ფან დერ ჰევერს,** ტრავმამოშუშებული **ჩილიბოი რელეპელე** შეცვლის. არ ითამაშებს შუამარბი **იაკო პრეტორიუსი,** ამ პოზიციაზე ლუდეკი **სტივენ დიპინარს** ენდობა.

„კრუსეიდერზთან“ მარცხმა პრეტორიელების რეპუტაცია საგრძნობლად შეარყია. არადა, მომდევნო მეტოქე, ბრისბენის „რედსი“ წლეულს შესანიშნავად თამაშობს და წინა ტურში, C ჯგუფის ლიდერ, კეიპთაუნის „სტორმერზს“ პირველი მარცხი აგემა.

planetrugby-ს პროგნოზით, ბრისბენელები შინ ურთულეს ბრძოლაში, მინიმალური სხვაობით მოიგებენ.

მე-9 ტურის სხვა მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ოქლენდის „ბლუზისა“ და სიდნეის „ვორათაზის“ დაპირისპირება ინვევს, რომლებიც, შესაბამიდად B და A ჯგუფებში მე-2 ადგილზე არიან. ოქლენდელებს სერიოზული დანაკლისი აქვთ. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს **ტონი ვუდკოქი,** რომელსაც **ტევიტა მაილაუ** შეცვლის. „ვორათაზი“ კი, სავარაუდოდ ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს.

IX ტური

A ჯგუფი

მელბურნ რებლზი-ჰაილენდერზი, რედსი-ბლუ ბულზი, ბრამბიზი-ფორსი

საბურნირო მდგომარეობა

1. რედსი - 30 ქულა, 2. ვორათაზი - 27, 3. მელბურნ რებლზი - 19, 4. ბრამბიზი - 17, 5. ფორსი - 12.

B ჯგუფი

ჩიფსი-კრუსეიდერზი, ბლუზი-ვორათაზი

საბურნირო მდგომარეობა

1. კრუსეიდერზი - 30 ქულა, 2. ბლუზი - 29, 3. ჰაილენდერზი - 25, 4. ჩიფსი - 16, 5. ჰარიკენზი - 13.

C ჯგუფი

ლაიონზი-სტორმერზი, ჩიტაზი-ჰარიკენზი

საბურნირო მდგომარეობა

1. სტორმერზი - 29 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 25, 3. ბლუ ბულზი - 21, 4. ჩიტაზი - 9, 5. ლაიონზი - 9.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

МСОФЛИО ТАСИ

მსოფლიო თასი 3D ფორმატში

ახალზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის შეხვედრებს ტელემაყურებელი პირველად ისტორიაში სამგანზომილებიან ფორმატში იხილავს. ეს მისია ახალზელანდიურმა კომპანიამ „3DLive“-მა იკისრა. რაგბის ქომაგები ამ ფორმატში ნახევარფინალებს, მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩს და ფინალს იხილავენ.

ეს შეთანხმება მსოფლიო თასის ორგანიზატორებსა და „3DLive“-ს შორის ნიშნავს, რომ ტელემაყურებელს ისეთი შეგრძნება ექნება, თითქოს სტადიონზე იმყოფება.

„2007 წელს გამართული მსოფლიო თასის შეხვედრები 4 მილიარდზე მეტმა ტელემაყურებელმა ნახა. რაგბი, ეს არის სპორტის სახეობა, რომელშიც ტრადიციები და ახალი ტექნოლოგიები ხელიხელჩაკიდებულნი მიაბიჯებენ. „3DLive“-თან გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებას გვაძლევს, ადამიანებს რაგბი ახალ განზომილებაში დავანახოთ, უფრო გასაგები გავხადოთ და შევაყვაროთ“ - თქვა IRB-ს პრეზიდენტმა **ბერნარ ლაპასემ.**

ვირტუო რაგბის ვირტუოზების სამსახურში

სამხრეთ აფრიკაში, კეიპთაუნის „ნიულენდს სთედიუმზე“ ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის გათამაშების ოფიციალური ბურთის პრეზენტაცია გაიმართა.

„ვირტუო“ კომპანია „ჯილბერტის“ ნაწარმია, რომელიც ახალ ზელანდიელი აბორიგენების ტრადიციული ორნამენტებითაა მოხატული.



msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკაგო ჩემპიონია

ჯინობილიმ რეგულარული ტრავმით დაასრულა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო დღეს ლიგის ყველა გუნდმა ჩაატარა შეხვედრა, თუმცა ისეთი მატჩები, რომელშიც რაიმე სერიოზული ირკვეოდა, ცოტა იყო.

ერთ-ერთი გამორჩეული შეხვედრა ჩატარდა ფინიქსში, სადაც „სანზი" იმ მომენტისთვის ლიგის საუკეთესო გუნდს „სან ანტონიოს" მასპინძლობდა. სტუმრებს აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ იმისთვის, რომ მინიმუმ გაეყოთ რეგულარულის ჩემპიონობა აღმოსავლეთის ლიდერ „ჩიკაგოსთან". წინა დღის მატჩისგან განსხვავებით, „სპურსის" დამრიგებელმა **გრეგ პოპოვიჩმა** თავისი ყველა ლიდერი გაიყვანა მოედანზე, მაგრამ ამან უმოტივაციო „ფინიქსის" წინააღმდეგ არ უშველა. „სპურსმა" წააგო და რეგულარულის ჩემპიონი „ჩიკაგო" გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდების ფინალურ სერიაში გასვლის შემთხვევაში, საკუთარი მოედნის უპირატესობა „ბულზს" ექნება. სამაგიეროდ, „სპურსს" იოლი ბადე შეხვდა - პირველ რაუნდში „მემფისს" ხვდება, მეორეში „ოკლაჰომა"-„დენვერს" შორის გამარჯვებულს, იმ დროს, როცა „დალასი" და „ლეიკერსი" უკვე კონფერენციის ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

„ფინიქსთან" მატჩში „სპურსის" სამწვრთნელო შტაბის მთავარი უსიამოვნება არა წაგება, არამედ **მანუ ჯინობილის** ტრავმა გახდა, რომელიც არგენტინელმა პირველივე მეოთხედში მიიღო. სტუმრების მცველი ცუდად შეეჯახა თავისივე თანაგუნდელ **ტიმ დანკანს** და მარჯვენა იდაყვი დაიზიანა. მანუს თამაში აღარ გაუგრძელებია. პირველმა სამედიცინო შემოწმებამ სერიოზული ტრავმა არ დააფიქსირა, თუმცა უფრო ზუსტი დიაგნოზი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

■ ■ ■

ბოლო დღეს მოგება „ლეიკერსსაც" სჭირდებოდა - დასავლეთ დივიზიონში მეორე ადგილის გასანაღდებლად. ამ ამოცანის გადაჭრისთვის ჩემპიონს იოლი მეტოქე ჰყავდა - აუტსაიდერი „საკრამენტო". და თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა - მეოთხე მეოთხედი ახალი დაწყებული იყო, როცა „ლეიკერსის" უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია - 91:71. ფილ ჯექსონის შეგირდებმა ნაადრევად ჩათვალეს საქმე გაკეთებულად და დროის შემდეგ მონაკვეთი 5:28 წააგეს. ძირითადი დროის დასრულებამდე 9 წამით ადრე 20-ქულიანი უპირატესობა 3-ქულიან ჩამორჩენად იქცა. ჩემპიონის გადარჩენა **კობი ბრაიანტმა** ითავა - მეოთხე მეოთხედის ბოლო ათი წუთი მხოლოდ ის აგროვებდა თავისი გუნდიდან ქულებს, გარდა ამისა სამქულიანი ჩააგდო, რითაც თამაში ოვერტაიმში გადავიდა. და კიდევ, დააფარა **მარკუს ტორნტონის** ტყორცნას, რომლის გამოც, შეიძლება ეს ოვერტაიმი არ ყოფილიყო. დამატებით დროში კი „ლეიკერსი" იოლად გაუსწორდა „მეფეებს".

ორლანდო-ინდიანა 92:74

28:14, 25:15, 18:26, 21:19

ო: ანდერსონი (14+7 მოხსნა), ჰოვარდი (13+13 მოხსნა), თურქოგლუ (13), ბასი (12+6 მოხსნა).
ი: დანლივი (16), რაში (16).

ფილადელფია-დეტროიტი 100:104

24:29, 32:23, 21:31, 23:21

ფ: ჰოლიდეი (21+7 პასი), ტერნერი (18+7 პასი+6 მოხსნა), ნოჩიონი (18), იანგი (13).
დ: სტაკი (29+8 პასი), პრინსი (14), მონრო (10+13 მოხსნა), მაქსიელი (10), გორდონი (10), სამერსი (10).

ოკლაჰომა-მილუოკი 106:110 (ო)

21:16, 22:30, 31:18, 22:32, 10:14

ო: უესტბრუკი (20+5 პასი), დურანტი (14+6 მოხსნა), მუჰამედი (12+10 მოხსნა), ჰარდენი (12+6 მოხსნა+5 პასი), კუკი (11), მალენსი (10).
მ: ჯენინგსი (16+7 პასი+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), სალმონსი (15+5 ჩაჭრა), ილიასოვა (14+9 მოხსნა), რედი (11), სანდერსი (10+8 მოხსნა), გუდენი (10), დელფინო (10).

იუტა-დენვერი 107:103

29:31, 32:27, 21:20, 25:25

ი: ჰეივორდი (34), ჰარისი (21+6 პასი), ჯეფერსონი (17+10 მოხსნა), ფევორსი (12+7 მოხსნა), მილსეპი (12+6 მოხსნა+5 პასი).
დ: ჩენდლერი (27+6 მოხსნა), ფორბსი (17+6 მოხსნა), ჰარინგტონი (15+6 მოხსნა), კუფოსი (14+6 მოხსნა), სმიტი (14), ანდერსენი (4+10 მოხსნა).

შარლოტი-ატლანტა 96:85

29:18, 32:25, 13:23, 22:19

შ: ჰენდერსონი (20+6 მოხსნა+6 პასი), ოგუსტინი (17+7 პასი), კანინგემი (14+6 მოხსნა), უაიტი (12), ბრაუნი (11+8 მოხსნა).
ა: პაუელი (16), კროუფორდი (14), უილკინსი (14), ტიგი (10), პაინრიხი (10), ფაჩულია (2+10 მოხსნა).

მინესოტა-ჰიუსტონი 102:121

30:32, 22:37, 37:21, 13:31

მ: ბიზლი (34+7 მოხსნა), რენდოლფი (23), უებსტერი (11), პეკოვიჩი (10), რიდნური (7+11 პასი).
ჰ: ბადინგერი (35+6 მოხსნა), მარტინი (25), ლი (22), პატერსონი (14), დრაგიჩი (11+11 მოხსნა+11 პასი), მილერი (10).

დალასი-ნიუ ორლეანი 121:89

28:27, 30:34, 28:13, 35:15

დ: ნოვიცკი (32+6 მოხსნა), ბარეა (14+8 პასი), ტერი (13), კიდი (12+8 პასი), ბრიუერი (11), მერიონი (10+8 მოხსნა), ჰეივუდი (10+7 მოხსნა).
ნ-ო: ჯეკი (22+7 პასი), ბელინელი (14), პონდექსტერი (10), ლენდრი (10), გრეი (0+10 მოხსნა).

ტორონტო-მაიამი 79:97

20:29, 31:21, 18:20, 10:27

ტ: ბეილესი (21), დეროზანი (18), ჯონსონი (12+6 მოხსნა+6 პასი).
მ: ჰაუსი (35), ჰოვარდი (18+6 მოხსნა), ჯონსი (12), მაგლოირი (8+19 მოხსნა), ჩელმერსი (5+13 პასი).

ჩიკაგო-ნიუ ჯერსი 97:92

26:20, 24:23, 18:25, 29:24

ჩ: კორვერი (19), როუზი (15), დენგი (11+6 მოხსნა), ნოა (10+10 მოხსნა), ბატლერი (10).
ნ-ჯ: ფარმარი (21+12 პასი), ლოპესი (17), პეტრო (13+8 მოხსნა), გრემი (11), ვუიაჩიჩი (10).

კლივლენდი-ვაშინგტონი 100:93

23:35, 24:15, 24:24, 29:19

კ: სეშენსი (27), ჰიქსონი (15+13 მოხსნა), ჰოლინზი (12+6 მოხსნა), გიბსონი (10).
ვ: ბლეტჩი (20+7 მოხსნა), ევანსი (15), იანლიანი (10+12 მოხსნა), უოლი (10), მაკგი (10).

ბოსტონი-ნიუ იორკი 112:102

27:28, 34:29, 25:27, 26:18

ბ: ბრედლი (20), პავლოვიჩი (19), დევისი (17+8 მოხსნა), გრინი (14+8 მოხსნა), ვაფერი (14+6 მოხსნა+5 პასი), კრსტიჩი (13+6 მოხსნა).
ნ-ი: ფილდსი (16+7 მოხსნა), სტაუდმაიერი (14), უოკერი (12).

კლიპერსი-მემფისი 110:103

34:20, 32:17, 26:37, 18:29

კ: გრიფინი (31+10 მოხსნა+10 პასი), გორდონი (24+6 პასი), ჯორდანი (14+10 მოხსნა), ბლედსოუ (13+6 პასი).
მ: იანგი (22+7 მოხსნა), ვასკესი (17), ბატიე (13+8 მოხსნა), მაიო (12), გასოლი (10+7 მოხსნა), ჰადადი (10).

გ. სტეიტი-პორტლენდი 110:86

30:28, 21:17, 34:24, 25:17

გ-ს: უილიამსი (28+7 მოხსნა+5 პასი), რაიტი (20+6 პასი), კარი (18+9 პასი), ლი (13+6 მოხსნა), ლინი (12+5 პასი).
პ: მილსი (23), მეტიუზი (18), ჯონსონი (12), ბებიტი (11+11 მოხსნა).

ფინიქსი-სან ანტონიო 106:103

43:27, 18:26, 24:21, 21:29

ფ: გორტატი (21+13 მოხსნა), ფრაი (17+9 მოხსნა), დადლი (17+8 მოხსნა), ჰილი (14), ლოპესი (11).
ს-ა: დანკანი (17+12 მოხსნა), ნოა (14), გრინი (13), ჰილი (13), პარკერი (12+7 პასი), მაკდაესი (8+10 მოხსნა).

საკრამენტო-ლეიკერსი 108:116 (ო)

26:31, 22:25, 22:32, 29:11, 9:17

ს: ტორნტონი (33+6 მოხსნა), ევანსი (19+7 მოხსნა+6 პასი), დალემბერი (16+18 მოხსნა), ტომპსონი (16+8 მოხსნა), უდრიხი (11+6 პასი).
ლ: ბრაიანტი (36+9 მოხსნა+6 პასი), ოდომი (22+8 მოხსნა+7 პასი), გასოლი (18+13 მოხსნა+6 პასი), ბრაუნი (15), ფიშერი (11).

აღმოსავლეთი

	თ	მ	წ	%
1. z-ჩიკაგო	82	62	20	75.6
2. y-მაიამი	82	58	24	70.7
3. y-ბოსტონი	82	56	26	68.3
4. x-ორლანდო	82	52	30	63.4
5. x-ატლანტა	82	44	38	53.7
6. x-ნიუ იორკი	82	42	40	51.2
7. x-ფილადელფია	82	41	41	50.0
8. x-ინდიანა	82	37	45	45.1
9. მილუოკი	82	35	47	42.7
10. შარლოტი	82	34	48	41.5
11. დეტროიტი	82	30	52	36.6
12. ნიუ ჯერსი	82	24	58	29.3
13. ვაშინგტონი	82	23	59	28.0
14. ტორონტო	82	22	60	26.8
15. კლივლენდი	82	19	63	23.2

დასავლეთი

	თ	მ	წ	%
1. z-სან ანტონიო	82	61	21	74.4
2. y-ლეიკერსი	82	57	25	69.5
3. x-დალასი	82	57	25	69.5
4. y-ოკლაჰომა	82	55	27	67.1
5. x-დენვერი	82	50	32	61.0
6. x-პორტლენდი	82	48	34	58.5
7. x-ნიუ ორლეანი	82	46	36	56.1
8. x-მემფისი	82	46	36	56.1
9. ჰიუსტონი	82	43	39	52.4
10. ფინიქსი	82	40	42	48.8
11. იუტა	82	39	43	47.6
12. გ. სტეიტი	82	36	46	43.9
13. კლიპერსი	82	32	50	39.0
14. საკრამენტო	82	24	58	29.3
15. მინესოტა	82	17	65	20.7

* - დივიზიონის ლიდერი, x - გავიდა პლეი ოფში, y - დივიზიონის ჩემპიონი, z - დივიზიონის ჩემპიონი

ქულა

კევინ დურანტი (ოკლ)	27.7
ლებრონ ჯეიმსი (მაი)	26.7
კარმელო ენტონი (ნ-იორ)	25.6
დუეინ უეიდი (მაი)	25.5
კობი ბრაიანტი (ლეი)	25.3
ამარე სტაუდმაიერი (ნ-იორ)	25.3
დერიკ როუზი (ჩიკ)	25.0
მონტა ელისი (გ-სტ)	24.1
კევინ მარტინი (ჰიუ)	23.5
დირკ ნოვიცკი (დალ)	23.0

მოხსნა

კევინ ლავი (მინ)	15.2
დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	14.1
ზაკ რენდოლფი (მემ)	12.2
ბლეიკ გრიფინი (კლიპ)	12.1
კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ)	10.3
პაუ გასოლი (ლეი)	10.2
დეივიდ ლი (გ-სტე)	9.8
ელ ჯეფერსონი (იუტ)	9.7
ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ)	9.5
ტაისონ ჩენდლერი (დალ)	9.4

პასი

სტივ ნეში (ფინ)	11.4
რაჟონ რონდო (ბოს)	11.2
დერონ უილიამსი (ნ-ჯერ)	10.3
კრის პოლი (ნ-ორლ)	9.8
ხოსე კალდერონი (ტორ)	8.9
ჯონ უოლი (ვაშ)	8.3
რეიმონდ ფელტონი (დენ)	8.3
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	8.2
ჯეისონ კიდი (დალ)	8.2
დერიკ როუზი (ჩიკ)	7.7

ჩაჭრა

კრის პოლი (ნ-ორლ)	2.4
რაჟონ რონდო (ბოს)	2.2
მონტა ელისი (გ-სტ)	2.1
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	1.9
ტონი ალენი (მემ)	1.8
მაიკ კონლი (მემ)	1.8
ჯეისონ კიდი (დალ)	1.7
რეიმონდ ფელტონი (დენ)	1.7
ტრევორ არიზა (ნ-ორლ)	1.6
ლებრონ ჯეიმსი (მაი)	1.6

დაფარება

ენდრიუ ბოგუტი (მილ)	2.6
დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	2.4
ჯაველ მაკგი (ვაშ)	2.4
სერჟ იბაკა (ოკლ)	2.4
ენდრიუ ბინუმი (ლეი)	2.0
დარკო მილიჩიჩი (მინ)	2.0
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	1.9
ელ ჯეფერსონი (იუტ)	1.9
ამარე სტაუდმაიერი (ფინ)	1.9

ამბები

გასოლს ევრობასკეტი უნდა

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერჯო სკარიოლომ** ამერიკის შეერთებულ შტატებში იმოგზაურა. იტალიელმა სპეციალისტმა კონგოელ **სერჟ იბაკასთან** ერთად განიხილა ამ კალათბურთელის ესპანელთა ეროვნულ გუნდში თამაშის შესაძლებლობა, გარდა ამისა, შეხვდა ნაკრების ლიდერ **პაუ გასოლს**.

სკარიოლოს სიტყვებით, „ლეიკერსის" ცენტრთან ორსაათიანი საუბარი მეტად ნაყოფიერი გამოვიდა. იტალიელი ირწმუნება, რომ გასოლი ზაფხულში ნაკრებთან ერთად შეკრების გავლასა და ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე ევროპის მოქმედი ჩემპიონი პოლონეთის, ბრიტანეთის, ლიტვის, თურქეთისა და კვალიფიკაციის გამარჯვებულის წინააღმდეგ ითამაშებს.

ლებრონი კობიზე ძლიერია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ამ სეზონში ლიგის ვარსკვლავთა მაისურების რეალიზაციის სტატისტიკა გამოაქვეყნა. პირველად ამ მაჩვენებლით ლიდერი გახდა „მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი**. ასეთი რამ ამ კალათბურთელის NBA-ში დებიუტის შემდეგ არ მომხდარა. ბოლო წლების მუდმივი ლიდერი, „ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა, მესამეზე აღმოჩნდა „ბოსტონ სელტიქსის" გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**.

პირველ ათეულში მოხვდნენ ამ სეზონში „ნიუ იორკ ნიქსის" ახალბედები - **ამარე სტაუდმაიერი** და **კარმელო ენტონი**. მკვეთრად დაეცა ისეთი ვარსკვლავების პოპულარობა, როგორებიც არიან **შაკილ ო'ნილი, რეი ალენი** და **კევინ გარნეტი**. სამივე მათგანი „ბოსტონის" ღირსებას იცავს.

ბრაიანტმა გეები შეურაცხყო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა „ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი**. კალათბურთელს მსაჯის შეურაცხყოფის გამო 100 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს. „სან ანტონიო სპურსთან" მატჩში კობიმ ტექნიკური ჯარიმა მიიღო, რის შემდეგაც წყობიდან გამოვიდა და მსაჯს „გეი" უწოდა.

NBA-ის კომისარის **დევიდ სტერნის** თქმით, ლიგის ერთ-ერთი ვარსკვლავის ასეთი გამოხტომა ჩრდილს აყენებს მთელ ასოციაციას. თავის მხრივ, ბრაიანტმა შეხვედრის მთავარ არბიტრსა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენლებს ბოდიში მოუხადა.

„მინდა ბოდიში მოვიხადო შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო. ვაღიარებ, რომ უბრალოდ თავი ვერ შევიკავე - იმ მომენტში ემოციებმა გაიმარჯვეს. არ უნდა იფიქროთ, რომ ზიზღით ვუყურებ არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლებს. გავიმეორებ, რომ იმ მომენტში საკუთარ თავს ვერ ვაკონტროლებდი", - განაცხადა ბრაიანტმა.

პლეი ოფის კალენდარი. 1/8 ფინალი

აღმოსავლეთი

ჩიკაგო (1)-ინდიანა (8)

16 აპრილი. ჩიკაგო-ინდიანა
18 აპრილი. ჩიკაგო-ინდიანა
21 აპრილი. ინდიანა-ჩიკაგო
23 აპრილი. ინდიანა-ჩიკაგო
23 აპრილი. ჩიკაგო-ინდიანა*
28 აპრილი. ინდიანა-ჩიკაგო*
30 აპრილი. ჩიკაგო-ინდიანა*

ბოსტონი (3)-ნიუ იორკი (6)

17 აპრილი. ბოსტონი-ნიუ იორკი
19 აპრილი. ბოსტონი-ნიუ იორკი
22 აპრილი. ნიუ იორკი-ბოსტონი
24 აპრილი. ნიუ იორკი-ბოსტონი
26 აპრილი. ბოსტონი-ნიუ იორკი*
29 აპრილი. ნიუ იორკი-ბოსტონი*
1 მაისი. ბოსტონი-ნიუ იორკი*

მაიამი (2)-ფილადელფია (7)

16 აპრილი. მაიამი-ფილადელფია
18 აპრილი. მაიამი-ფილადელფია
21 აპრილი. ფილადელფია-მაიამი
24 აპრილი. ფილადელფია-მაიამი
27 აპრილი. მაიამი-ფილადელფია*
29 აპრილი. ფილადელფია-მაიამი*
1 მაისი. მაიამი-ფილადელფია*

ორლანდო (4)-ატლანტა (5)

16 აპრილი. ორლანდო-ატლანტა
19 აპრილი. ორლანდო-ატლანტა
22 აპრილი. ატლანტა-ორლანდო
24 აპრილი. ატლანტა-ორლანდო
26 აპრილი. ორლანდო-ატლანტა*
28 აპრილი. ატლანტა-ორლანდო*
30 აპრილი. ორლანდო-ატლანტა*

დასავლეთი

სან ანტონიო (1)-მემფისი (8)

17 აპრილი. სან ანტონიო-მემფისი
20 აპრილი. სან ანტონიო-მემფისი
23 აპრილი. მემფისი-სან ანტონიო
25 აპრილი. მემფისი-სან ანტონიო
27 აპრილი. სან ანტონიო-მემფისი*
29 აპრილი. მემფისი-სან ანტონიო*
1 მაისი. სან ანტონიო-მემფისი*

დალასი (3)-პორტლენდი (6)

16 აპრილი. დალასი-პორტლენდი
19 აპრილი. დალასი-პორტლენდი
21 აპრილი. პორტლენდი-დალასი
23 აპრილი. პორტლენდი-დალასი
25 აპრილი. დალასი-პორტლენდი*
28 აპრილი. პორტლენდი-დალასი*
30 აპრილი. დალასი-პორტლენდი*

ლეიკერსი (2)-ნიუ ორლეანი (7)

17 აპრილი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი
20 აპრილი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი
22 აპრილი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
24 აპრილი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
26 აპრილი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი*
28 აპრილი. ნიუ ორლეანი-ლეიკერსი*
30 აპრილი. ლეიკერსი-ნიუ ორლეანი*

ოკლაჰომა (4)-დენვერი (5)

17 აპრილი. ოკლაჰომა-დენვერი
20 აპრილი. ოკლაჰომა-დენვერი
23 აპრილი. დენვერი-ოკლაჰომა
25 აპრილი. დენვერი-ოკლაჰომა
27 აპრილი. ოკლაჰომა-დენვერი*
29 აპრილი. დენვერი-ოკლაჰომა*
1 მაისი. ოკლაჰომა-დენვერი*

* - საჭიროების შემთხვევაში

● ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი



ფლერიმ ყველაფერი დაიჭირა

მასპინძლების დღე

გუშინ ხუთი მატჩით გაიხსნა ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფი. მხოლოდ ერთ შეხვედრაში მოიგო სტუმარმა - „ნეშვილმა“ გასვლაზე მოუგო „ანაჰაიმს“ და საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა.

აღმოსავლეთი

ვაშინგტონი-რეინჯერსი 2:1 (ო)

0:0, 0:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 გილროი-1 (ვოლსკი-1, პრუსტი-1), 1:1 ოვეჩკინი-1 (სიომინი-1, მაიკ გრინი-1), 2:1 სიომინი-1 (არნოტი-1).

„ვაშინგტონის“ პირველი გამარჯვება მისმა რუსმა ვარსკვლავებმა განაპირობეს. **ალექსანდრ ოვეჩკინმა** მესამე პერიოდში აღადგინა თანაფარდობა, **ალექსანდრ სიომინმა** კი ოვერტაიმში გადამწყვეტი შაიბა გაიტანა. არადა, აქამდე სიომინი პლეი ოფის ზედიზედ 14 შეხვედრაში ვერ ახერხებდა თავის გამოჩენას.

„კეპიტალზის“ კარში ჩეხი მეკარე **მიხალ ნოვირტი** იდგა, რომელმაც 24 დარტყმა მოიგერია და პლეი ოფში დებიუტი მოგებით აღნიშნა. მისი ვიზავი **პეტერ ლუნდკვისტი** 31 დარტყმას გადაეღობა.

„ვაშინგტონისთვის“ კარგი ამბავი ის იყო, რომ გუნდს დაუბრუნდა დაცვის ლიდერი **მაიკ გრინი**, რომელმაც რეგულარულის ბოლო 20 მატჩი გამოტოვა. „რეინჯერსს“ კი აკლდა თავისი მეორე ბომბარდირი **რაიან კელეჰანი** - მას მარჯვენა ფეხი აქვს მოტეხილი.

პიტსბურგი-ზამპა ბეი 3:0

0:0, 0:0, 3:0

გოლები: 1:0 კოვალიოვი-1 (ნილი-1, მარტინი-1), 2:0 ეშმი-1 (ლეტანგი-1, ორპიკი-1), 3:0 კუნიტცი-1 (სტაალი-1, ორპიკი-1).

ზედიზედ მესამე წელია „პიტსბურგი“ მეოთხე განთესვის ნომრით გადის პლეი ოფში. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ მატჩში ვერ ითამაშა **სიდნი კროსბმ**, რომელიც ტვინის შერყევის შემდეგ კვლავინდებურად აღდგენით კურსს გადის. მიუხედავად ამისა, სერიის ნინ უპირატესობა მაინც „პიტსბურგს“ ენიჭებოდა, პირველ რიგში, გამოცდილების გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ „ტამპა ბეიში“ მხოლოდ ორ ჰოკეისტს - **მარტინ სენტ ლუისსა** და **ვენსან ლეკავალიეს** უთამაშიათ პლეი ოფში.

„პიტსბურგის“ პირველი გამარჯვება ორმა ფაქტორმა განაპირობა - მასპიძლების მეკარე **მარკ-ანდრე ფლერის** შეუდარებელმა თამაშმა, რომელმაც 32 დარტყმა მოიგერია და „შათაუტი“ შეასრულა, აგრეთვე მესამე პერიოდში 18-წამიან ინტერვალში გატანილმა ორმა გოლმა. გარდა ამისა, „პინგვინზმა“ აკურატულად ითამაშა დაცვაში და მეტოქეს მხოლოდ ერთხელ მისცა რიცხობრივი უპირატესობის რეალიზაციის შანსი.

დასავლეთი

ვანკუვერი-ჩიკაგო 2:0

2:0, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ჰიგინსი-1 (ბიეკსა-1, კესლერი-1), 2:0 ჰანსენი-1 (სამუელსონი-1).

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა პირველ ტაიმში გაუტანა ორი გოლი სტენლის თასის მფლობელს, რის შემდეგაც მთლიანად თავის მეკარეს **რობერტო ლუონგოს** მიენდო და მანაც არ დააღალატა გუნდი. კანადელმა გოლკიპერმა 32 დარტყმა მოიგერია და დღის მეორე შათაუტი დააფიქსირა. ლუონგოს იმ მხრივადაც გაუმართლა, რომ „ჩიკაგოს“ სამი დარტყმა ძელმა მოიგერია.

დეტროიტი-ფინიქსი 4:2

0:1, 3:0, 1:1

გოლები: 0:1 ტარისი-1 (რეი უიტნი-1, დოუნი-1), 1:1 დაციუკი-1 (ფრანცენი-1, ჰოლმსტრიომი-1), 2:1 ფრანცენი-1, 3:1 რაფალსკი-1 (ფილპულა-1), 4:1 ჰუდლერი-1 (მილერი-1), 4:2 ვრბატა-1 (ჰანჟალი-1, კორპიკოსკი-1).

„დეტროიტ რედ უინგზი“ ზედიზედ მეოცედ გავიდა პლეი ოფში, რაც ჩრდილოეთ ამერიკის ოთხი უდიდესი ლიგის კლუბებს შორის ყველაზე გრძელი მოქმედი სერიაა. ასე რომ, გამოცდილების მხრივ „დეტროიტს“ უდიდესი უპირატესობა ჰქონდა.

მასპინძლებს ძალიან გაუჭირდათ პირველ პერიოდში, რომელიც ერთი შაიბის სხვაობით წააგეს და ოთხჯერ მოუნიათ რიცხობრივ უმცირესობაში თამაშმა. ყველაფერი მეორე პერიოდში შეიცვალა, რომლის შუაშიც **პაველ დაციუკმა** და **იოჰან ფრანცენმა** წინ გაიყვანეს „რედ უინგზი“. ფრანცენმა დაამტკიცა, რომ ყველაზე კარგად სნორედ პლეი ოფში გამოსდის თამაში - შარშანდელ სტენლის თასზე ის ზედიზედ 13 მატჩში მინიმუმ ერთ ქულას აგროვებდა. წლევანდელი რეგულარულის ბოლო ორ თვეში შვედმა მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ დაიწყო პლეი ოფი და ფრანცენმა შედეგიანობას უმატა.

ანაჰაიმი-ნეშვილი 1:4

0:1, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 უებერი-1 (ფიშერი-1, სუტერი-1), 0:2 სალივანი-1 (ფრენსონი-1, ჯოფრონი-1), 0:3 ფიშერი-1 (ჰორნკვისტი-1, კლეინი-1), 0:4 ფიშერი-2 (ბლუმი-1), 1:4 სელიანე-1 (კოიუ-1, გეტცლაფი-1).

ამ წყვილში ხვდებიან გუნდები, რომლებმაც ბრწყინვალედ ჩაატარეს რეგულარულის დასკვნითი ნაწილი - „ანაჰაიმმა“ ბოლო 20 მატჩიდან 15 მოიგო, „ნეშვილმა“ 12-დან ცხრა. ეს უკანასკნელი ბოლო ექვს სეზონში ხუთჯერ გავიდა პლეი ოფში და ხუთივეჯერ წააგო საწყისი სერია, თუმცა ამჯერად ყველაფერი კარგად დაინყო. სტუმრებმა მოახერხეს „ანაჰაიმის“ საუკეთესო ფორვარდის შეჩერება - **კორი პერიმ** უქულოდ დატოვა მოედანი, რაც „ნეშვილის“ ვარსკვლავური დაცვითი დუეტის - **ში უებერისა** და **რაიან სატერის** დამსახურება იყო.

„იხვებს“ შეტევაში პრაქტიკულად არაფერი გამოსდიოდათ და ერთადერთი გოლი მაშინ გაიტანეს, როცა ყინულზე ორი მოთამაშით მეტი ჰყავდათ. არადა, რეგულარულის ბოლო 16 მატჩში „ანაჰაიმს“ მინიმუმ ორი გოლი გაჰქონდა მეტოქეთა კარში.

რა თქმა უნდა, არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება „ნეშვილის“ მეკარე **პეკა რინეს**, რომელმაც 27 დარტყმა მოიგერია, აგრეთვე უნდა გამოვყოთ **მაიკ ფიშერი** თავისი ორი გოლითა და ერთი შედეგიანი პასით.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

1/4 ფინალი. II მატჩები

სპარტაკი-პორტუ	2:5 (1:5)
ბრაგა-დინამო	0:0 (1:1)
ტვენტე-ვილიარეალი	1:3 (1:5)
ეინდჰოვენი-ბენფიკა	2:2 (1:4)

ინგლისი

კონფერენსი

მენსფილდი-ბეტი	2:0

დანია

ლუნგბიუ-მიდტიულანდი	1:0

ჩეხეთის თასი

1/4 ფინალი. I მატჩი

ტეპლიცე-სლავია	2:1

რუმინეთი

უნივერსიტატეა (კრ)-ტარგუ	2:1
ვიქტორია-რაპიდი	0:0
კლუჟი-უნივერსიტატეა (კლ)	1:1

ამხანაგური მატჩები

Under 19

ბელარუსი-მოლდოვა	2:1
ჩერნოგორია-საბერძნეთი	3:4

Under 18

ჩეხეთი-ბულარუსი	3:0

კლუბები

კრემონეზე-ჯენოა	0:3

კალათბურთი

იტალია

მილანი-სიენა	70:78

პოკერი

კალ

ატლანტი-ს. იულიაევი	4:0

ავსტრია

კლაგენფიურტი-ზალცბურგი	2:3 (ო)

შვეიცარია

ფერიესტადი-ფელეფტეო	4:1

ჩოგბურთი

ATP. მონაკო

ლუბიჩიჩი-ბერდიხი	6:4, 6:2
ნადალი-გასკე	6:2, 6:4
ჟილი-მონფილსი	7:6, 6:2
ფერერი-რაონიჩი	6:1, 6:3
ტროიცკი-რობრედო	3:6, 2:1 უარი
ფედერერი-ჩილიჩი	6:4, 6:3
მიურეი-სიმონი	6:3, 6:3
მელცერი-ალმაგრო	6:1 6:4

● TV პროგრამა

15 აპრილი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრონინგენი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ვილიარეალი.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის შოუ.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბორუსია (მ) (LIVE).
00:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-სიტი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ბოსტონი.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მასტერსი. მონაკო (LIVE).
20:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ორლანდო.
22:15 რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
23:55 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ორლანდო.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:25 გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბორუსია (მ) (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:55 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენი-უორფილდი (LIVE).
03:00 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. პიტსბურგი-ტამპა ბეი. II მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
22:45 პროფესიული კრივი. გუნდური პირველობა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. პარიზ იუნაიტედი-ბაქო ფაიარსი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მონაკო (LIVE).

SPORT+

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).

EUROSPORT

17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 69 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
20:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 85 კგ. ყაზანი. რუსეთი (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. საერთაშორისო ტურნირი-Bigger's Better. მძიმე წონა. დანია (LIVE).

EUROSPORT-2

13:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რიჩმონდი-კოლინგვუდი (LIVE).

● ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

კონგურები გამოიკვეთა

მოახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონატი და თანდათან გამოიკვეთა ფავორიტი გუნდების შემადგენლობები. ამ ეტაპისთვის ცნობილია, რომ შვედებს პლანეტის ნლევანდელ პირველობაზე ჰოკეის ეროვნული ლიგის რვა მოთამაშე ეყოლებათ. ესენი არიან: თავდამსხმელები - **მიკაელ ბეკლუნდი** („კალგარი“), **ლუი ერიქსონი**, **ტომ ვანდელი** (ორივე - „დალასი“), **პატრიკ ბერგლუნდი** („სენტ ლუისი“), **მაგნუს პაიარვი-სვენსონი** („ედმონტონი“), **მატიას ტედენბი** („ნიუ ჯერსი“), აგრეთვე მცველები - **კარლ გუნარსონი** („ტორონტო“) და **ნიკლას გროსმანი** („დალასი“).

ამასთან, შვედებს მოუწევთ რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტის გარეშე თამაში: ტრავმა აქვს „ოტავას“ ფორვარდ **დანიელ ალფრედსონს**, გარდა ამისა, ჩემპიონატში გამოსვლაზე უარი თქვეს **ალექსანდრ სტინმა** („სენტ ლუისი“), **ანტონ სტრალმანმა** („კოლამბუსი“), **ტობიას ენსტრიომმა** („ატლანტა“) და **იაკუბ მარქსტრიომმა** („ფლორიდა“).

■ ■ ■

ამერიკის ნაკრების შტაბმა დაასახელა 16 ჰოკეისტის გვარი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიონატზე. აქედან 14 მოთამაშე NHL-ს წარმოადგენს, ერთი - საუნივერსიტეტო ლიგას და ერთი - კჰლ-ს. დანარჩენი ჰოკეისტების ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

ჯერჯერობით ამერიკელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება: მეკარეები - **კონკლინი** („სენტ ლუისი“), **მონტოია** („აილენდერსი“); მცველები - ფეინი („ნიუ ჯერსი“), კომისარეკი („ტორონტო“), **შატენკირკი** („სენტ ლუისი“), **სტიუარტი** („ატლანტა“); თავდამსხმელები - **ბრაუნი** („ტორონტო“), **კრეიდერი** (ბოსტონის კოლეჯი), **მილი** („ფინიქსი“), **პალმიერი** („ნიუ ჯერსი“), **პორტერი** („სენტ ლუისი“), **შენონი** („ოტავა“), **სკილი** („ფლორიდა“), **სტეპლტონი**, **უილერი** (ორივე - „ატლანტა“), **ი. შჩასტნი** (ცსკა, კჰლ).

■ ■ ■

კიდევ ორი ჰოკეისტი დაემატა კანადის ნაკრებს - ამ გუნდში თამაშის სურვილი გამოთქვეს „აილენდერსისა“ და „კაროლინასა“ ფორვარდებმა **ჯონ ტავარესმა** და **ჯეფ სკინერმა**.

ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ არის ედმონტონელი ფორვარდის **ჯორდან ებერლეს** თამაში. კანადელთა ძირითადი მეკარე ჯერჯერობით **ჯეიმს რემიერი** გახლავთ, მაგრამ ის შეიძლება შეცვალოს პლეი ოფში „პიტსბურგისა“ და „ტამპა ბეის“ წყვილში დამარცხებული გუნდის მეკარემ - **დუეინ როლოსონმა** ან **მარკ ანდრე ფლერიმ**.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სლოვაკეთში 29 აპრილს დაიწყება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

მოდანოს ბოლო სეზონი

მაიკ მოდანო

ცნობილმა ამერიკელმა ფორვარდმა **მაიკ მოდანომ** განაცხადა, რომ ამ სეზონის შემდეგ აპირებს კარიერის დასრულებას. „დეტროიტს“ თავდამსხმელის თქმით, მაჯის ტრავმამ, რომლის გამოც მან რეგულარული ჩემპიონატის დიდი ნანილი გამოტოვა, ძველ დონეზე დაბრუნების საშუალება არ მისცა.

„ვფიქრობ, ეს სეზონი ბოლო იქნება ჩემს ხანგრძლივ კარიერაში, - ამბობს მოდანო ESPN-თან კომენტარში. - *მაჯის ტრავმამ, რომლის გამოც ჩემპიონატის დიდი ნანილი გამიცდა, ჩვეულ სპორტულ ფორმაში ჩადგომის საშუალება არ მომცა. ვფიქრობ, თუ თამაშს გავაგრძელებ, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება და დატვირთვებს ვეღარ გავუძლებ. თუმცა მე ყველა ძალას ვიხმარ იმისთვის, რომ წელს „დეტროიტს“ სტენლის თასი ავაღებინო, რადგან ეს ჩემთვის ტიტულის მოგების ბოლო შანსია“.*

მოდანოს კარიერაში 1499 მატჩი აქვს ჩატარებული, რომელშიც 1374 (561+813) ქულა დააგროვა. ამერიკელმა გუშინ პლეი ოფის პირველი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1. ჩინეთის გრანპრის წინ

ლუკა დი მონტეძემოლო

ლუკას მინისტრთა კაბინეტი

„ფერარის“ პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** ხუმრობით უპასუხა ბოლო დროს გავრცელებულ ჭორს იმის შესახებ, თითქოს ის „სკუდერიას“ ტოვებს და პოლიტიკური კარიერისთვის ემზადება.

„მე პოლიტიკაში? დიახ, ეს ასე იქნება და ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრად ფერნანდო ალონსოს ვიხილავთ. სწორედ მას მივინვევდი, რადგან ძლიერი ხასიათი აქვს, ოპტიმისტია და თან რეალობის გრძნობას არ კარგავს, - ამბობს დი მონტეძემოლო. - ასევე დავუძახებდი მინისტრთა კაბინეტში ფეტელს, რომელიც სწრაფი და ჭკვიანია, როსბერგს, რომელსაც შეუძლია შუმახერის შეჩერება, პერესს მისი ნიჭის გამო და ჰემილტონს - ბრწყინვალე ჩემპიონს. ლაუდას არასოდეს არაფერში ფულის გადახდა არ შეეძლო, სასმელისთვისაც კი, შუმახერი არასოდეს ნებდებოდა, სენამ კი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა, რომ „ფერარისთან“ ერთად ჩემპიონობის მოგება ზე ოცნებობს“.

● ჩოგბურთი. მონტე კარლოს მასტერსი

ენდიმ ნავსი გაჭეხა

მონტე კარლოს მასტერსზე მორიგი სათამაშო დღე იმით იყო აღსანიშნავი, რომ გრუნტზე პირველი მატჩი ჩაატარა **რაფაელ ნადალმა**. თავის საყვარელ საფარზე დაბრუნება ესპანელს ყოველთვის კარგად გამოსდიოდა - ზედიზედ ექვსჯერ (!) მოიგო მონაკოს ტურნირი.

შარშან ნადალი მონტე კარლოში ცუდი სერიით ჩავიდა - ერთი წელი არ ჰქონდა მოგებული ATP-ის ტურნირი და სწორედ მონაკოში შეწყვიტა ეს უიღბლო სერია, რითაც დაიწყო აღმასვლა რეიტინგის პირველი საფეხურისკენ. წელსაც რაფა ტურნირის მთავარ ფავორიტად მიიჩნევა. თანაც მონაკოში არ ჩასულა **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (თუმცა სერბს ნადალი გრუნტზე არასოდეს დაუმარცხებია), რაც პირნეელის ამოცანას აიოლებს.

მსოფლიოს პირველი ჩოგანის მეტოქე ფინელი **იარკო ნიემინენი** იყო, რომელმაც წინა დღეს ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა **ჟულიან ბენეტო**. თავის დროზე, ფინელმა ერთხელ სეტი აუღო ნადალს გრუნტზე, მაგრამ ეს ხუთი წლის წინ ბარსელონაში მოხდა, ისე კი ურთიერთშეხვედრებში ესპანელი იარკოს 5:0-ს უგებდა.

პირველივე გათამაშებიდან ნადალმა უდიდესი უპირატესობა მოიპოვა, თანაც მისი თამაში დაბალანსებული იყო და შეტევა კარგად ეხამებოდა დაცვაში საიმედო თამაშს. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი ქულა ნიემინენმა მხოლოდ მესამე გეიმში აიღო. საბოლოოდ, 69 წუთში (19 წუთით მეტი, ვიდრე ფედერერმა ერთი დღით ადრე) პირველმა განთავისუფლა 6:2, 6:2 გაიმარჯვა. შემდეგ წრეში ნადალის მეტოქე **რიშარ გასკე** იქნება.

ნადალის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ამიტომაც მაყურებელს უფრო მეტად **ენდი მიურეის** მდგომარეობა აინტერესებდა. ბრიტანელმა ჩააგდო ინდიან უელსისა და მაიამის მასტერსები, როცა პირველივე წრეში წააგო **დონალდ იანგთან** და **ალექს ბოგომოლოვთან**. საერთოდ, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში თამაშის შემდეგ მიურეიმ ოთხ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ოთხივეჯერ საწყისი მატჩი დაუთმო მეტოქეებს.

მეორე წრეში მიურეის სერიოზული მეტოქე ერგო ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** სახით, რომელმაც წინა დღეს **მარკოს ბაღდატისს** მოუგო. ამჯერად შოტლანდიელმა კარგი მომზადება აჩვენა. პირველი პარტია მან ერთი ამოსუნთქვით მოიგო და 32 წლის ჩეხს მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო. საწყის სეტში მიურეის სტატისტიკა შთამბეჭდავი იყო - 12 „ვინერსი“ და მხოლოდ ერთი უნებლიე შეცდომა.

მეორე სეტში შტეპანეკმა შეცვალა თამაში, რამაც სეტის შუაში წარმატება მოუტანა. ენდიმ შეცდომებს უმატა და მატჩის დასაწყისში მოპოვებული ინიციატივა დაკარგა. ბოლოს და ბოლოს, ფავორიტმა მაინც იმძლავრა - ბრეიკი გააკეთა და 28 იანვრის შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა - 6:1, 6:4. ენდის წინ აქვს შეხვედრა **ჟილ სიმონთან**, რაც გრუნტზე ნამდვილი ტესტი იქნება მსოფლიოს მეოთხე ჩოგანისთვის.

მოულოდნელობა არ ყოფილა მეექვსე განთესილის **ფერნანდო ვერდასკოს** მარცხი. ბოლო დროს ეს ესპანელი არასტაბილურად თამაშობს და ბოლო რვა მატჩში შვიდი წაგება დაუგროვდა, თანაც მეტოქედ გამოცდილი თანამემამულე **ტომი რობრედო** ჰყავდა. ორი სეტის განმავლობაში ვერდასკომ 46 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც მის მარცხში გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

სენსაციები არც სხვა მატჩებში მომხდარა. შემდეგ წრეში გავიდნენ **დავიდ ფერერი, მარინ ჩილიჩი, იურგენ მელცერი, ვიქტორ ტროიცკი, გაელ მონფილსი** და **ნიკოლას ალმაგრო**. ამ უკანასკნელმა დღის ყველაზე რთული მატჩი ჩაატარა **მაქსიმო გონსალესის** წინააღმდეგ. ალმაგრომ რამდენიმე მატჩბოლი მოიგერია - 6:7(6), 7:5, 7:6(10).

ATP

Monte-Carlo Rolex Masters

მონტე კარლო. გრუნტი

საპრიზო ფონდი: 2 227 500 ევრო

II წრე

რიშარ გასკე (საფ, 13)-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:2, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:2, 6:0; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 11)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:3, 4:6, 6:4; **ფედერიკო ჟილი (პორ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:5, 6:1; **გაელ მონფილსი (საფ, 8)**-დანიელ ხიმენო-ტრავერო (ესპ) 7:5, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 16)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:3, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)**-ჰაპე რიბა (ესპ) 5:2 უარი; **ტომი რობრედო (ესპ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6) 6:4, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 9)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:7(6), 7:5, 7:6(10); **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:2, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 7)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 3:6, 6:1, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 3)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 6:1, 6:4.

გვერდი მოამზადა

გია თვალაბეიშვილმა

მიურეიმ მოგება დაიწყო

შანხაი სტუმრებს ელოდება

რამდენიმე დღე გავიდა მალაიზიის გრანპრის დასრულებიდან, პილოტები კი უკვე მომდევნო ეტაპისთვის - ჩინეთის გრანპრისთვის ემზადებიან. სეზონის ლიდერი **სებასტიან ფეტელი** შანხაიში ზედიზედ მესამე რბოლის მოგებასა და ისედაც დამაჯერებელი ლიდერობის გამყარებას ეცდება.

თუმცა რბოლისწინა მიმოხილვას ორი ხელმოცარული საჯინიბოთი დავიწყებთ. ახლოს არიან დეპრესიასთან „უილიამსი“ და „მერსედესი“ - მათი შედეგები არ ამართლებს სეზონისწინა მოლოდინს. **ფრენკ უილიამსის** ლეგენდარული გუნდი შარშან სტაბილურად აგროვებდა ქულებს და იმედი ჰქონდა, 2011 წელს მინიმუმ ამ პოზიციას შეინარჩუნებდა. რეალურად კი ასეთი შედეგი მიიღო: ბოლიდის ძალიან დაბალი სიჩქარე და ორივე პილოტის სანყის ორ რბოლაში გამოვარდნა.

„მერსედესმა“ **მიხაელ შუმახერის** ძალისხმევით მალაიზიაში ნელს პირველი ქულები დაისაკუთრა - უფრო ზუსტად, ორი ქულა. ამასთან, მიხაელს რბოლის დროს განსაკუთრებული პრობლემა არ შექმნია და მეცხრე ადგილი დაცინვაა იმ გუნდისთვის, რომელიც სეზონის წინ ეტაპების მოგებას ვარაუდობდა.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა უკვე აღნიშნა, რომ ჩინეთში გუნდი სუფთა ფურცლიდან იწყებს გამოსვლას, ხოლო წინა ორ რბოლაში განცდილმა ფიასკომ მხოლოდ მოტივაცია აუმაღლა. მაგრამ ეს გამონათქვამები შუმის ბანალურ პოლიტკორექტულობას უფრო ჰგავს. აშკარაა, რომ „მერსედესში“ შოკირებულნი არიან მომხდარით. „ფერარიც“ ლაპარაკობს ბოლიდის განვითარების ალტერნატიულ სცენარზე, მაგრამ „მერსედესისგან“ განსხვავებით ღირსეულ ტემპს აჩვენებდა მალაიზიის გრანპრის დროს. თუ „სკუდერია“ მოახერხებს კვალიფიკაციის ერთ წრეზე სიჩქარის ამაღლებას და სტარტის გაუმჯობესებას, **ფერნანდო ალონსო** და შეიძლება **ფელიპე მასაც** პირველად გახდებიან წელს პოდიუმის სტუმრები.

სეზონის აშკარა ლიდერები კი „რედ ბული“ და „მაკლარენი“ არიან, რომლებიც ერთი ნაბიჯით წინ აღმოჩდნენ კონკურენტებზე. შანხაიში ბრიტანული საჯინიბო შეეცდება მესამედ არ გაამარჯვებინოს სებასტიან ფეტელს. და უნდა ითქვას, რომ ამის შანსი არსებობს. **ჯენსონ ბატონისა** და **ლუის ჰემილტონის** გუნდი კვირიდან კვირამდე აუმჯობესებს მანქანას.

ლეგენდარულ შუმის ჯერ ორი ქულა აქვს

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ლოტუს-რენო“, რომელმაც პირველ ორ რბოლაში ორი პოდიუმი მოიპოვა. არადა, მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში ფრანგულმა გუნდმა **რობერტ კუბიცას** მონდომებით მხოლოდ სამჯერ შეაღწია საპრიზო სამეულში.

ნებისმიერ შემთხვევაში ბრძოლა ყველა დონეზე მიმდინარეობს. რაც მთავარია, ეტაპები უფრო სანახაობრივი გახდა. ერთი საინტერესო სტატისტიკა: წინა კვირას „სეპანგზე“ 63 პიტსტოპი და 56 გასწრება დაფიქსირდა. მართლაც ფენომენალური მაჩვენებლებია. რბოლის სანახაობრივი მხარის ამაღლების მიზეზებზე გუშინდელ ნომერში გელაპარაკეთ: მართვადი უკანა ანტიფრთის შემოღება, KERS-ის სისტემა და „პირელის“ საბურავები.

ჩინეთის გრანპრის განრიგი

15 აპრილი. პარასკევი

06.00 I პრაქტიკა
10.00 II პრაქტიკა

16 აპრილი. შაბათი

07.00 III პრაქტიკა
10.00 კვალიფიკაცია

17 აპრილი. კვირა

11. 00 რბოლა